

თემატუი მიმახითუდებუბი ადხუური განათდების დაწესებუდებებში

პრაქტიკული სახელმძღვანელო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და
განათლების აღმზრდელ-პედაგოგებისათვის

თბილისი, 2019 წელი

სახიჯვი

შესავალი	6
თემატუხი მიმახთულება ხეროვნება	7
ხას ნიშნავს ხეროვნება?	7
თემატუხი მიმახთულების განმახტება.....	7
ხას ნიშნავს ვიზუალუხი ხეროვნება?.....	7
ხას ნიშნავს მუსიკა?.....	8
ხას ნიშნავს ცეკვა?.....	9
ხას ნიშნავს ღჰამა?.....	9
სხვადასხვა უნაჰის განვითაჰება და ხეროვნება	10
თემატუხი მიმახთულება ხეროვნება - პჰაქტიკაში მისი დანეჰგვის სტჰატეგიები	11
ვიზუალუხი ხეროვნება	13
საჭიხო სივჰცე	13
საჭიხო ხესუხსი	14
უფხოსის სტჰატეგიები	16
მუსიკა და ცეკვა	18
საჭიხო სივჰცე	18
საჭიხო ხესუხსი	20
უფხოსის სტჰატეგიები	20
ღჰამა	23
საჭიხო სივჰცე	23
საჭიხო ხესუხსი	23
უფხოსის სტჰატეგიები	24
ხეროვნების აქტივობები.....	25
ვიზუალუხი ხეროვნება.....	25
მუსიკა.....	35
ღჰამა.....	42
თემატუხი მიმახთულება წიგნიეჰება	44
ხას ნიშნავს წიგნიეჰება?	44
თემატუხი მიმახთულების განმახტება.....	44
სხვადასხვა უნაჰის განვითაჰება და წიგნიეჰება.....	47
თემატუხი მიმახთულება წიგნიეჰება - პჰაქტიკაში მისი დანეჰგვის სტჰატეგიები.....	48
საჭიხო სივჰცე	48
საჭიხო ხესუხსი	49
უფხოსის სტჰატეგიები	52
წიგნიეჰების აქტივობები.....	55
თემატუხი მიმახთულება მეცნიეჰება	60
ხას ნიშნავს მეცნიეჰება?	60
თემატუხი მიმახთულების განმახტება.....	60
ხას ნიშნავს ადამიანის შემსწავლელი მეცნიეჰებები?.....	61
ხას ნიშნავს სოციალუხი მეცნიეჰებები?.....	61

ჩას ნიშნავს ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები? 62
 ჩას ნიშნავს მათემატიკა?..... 63
 ჩას ნიშნავს საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები? 63
 ჩას ნიშნავს გექნოლოგია?..... 63
 სხვადასხვა უნაჩის განვითარება და მეცნიერება 64
 თემატური მიმართულება **მეცნიერება** - პრაქტიკაში მისი დანერგვის სტრატეგიები 65
 საჭირო სივრცე 66
 საჭირო ხესუსი 68
 უფროსის სტრატეგიები 70
 მეცნიერების აქტივობები 77
 ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები 77
 სოციალური მეცნიერებები 79
 ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები..... 82
 მათემატიკა 86
 საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები 88
 გექნოლოგია 91
 თემატური მიმართულებები სკოლამდელი განათლების კუჩიკულუმებში 93
 თემატური კუჩიკულუმი..... 93
 ემეჩვენტური კუჩიკულუმი 94
 პიროვეტზე დაფუძნებული სწავლება 96
 ბიბლიოგრაფია 98

შესავალი

თქვენ წინაშეა სახელმძღვანელო, რომლის მიზანია, დაეხმაროს აღმზრდელ-პედაგოგებს, ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსებს, შეძლონ **ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების** თემატური მიმართულებების - ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერების ელემენტები - გაგება და პრაქტიკაში დანერგვა. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია კონკრეტული სტრატეგიები: ფიზიკური გარემოს მოწყობა, საჭირო რესურსის ორგანიზება, აღმზრდელ-პედაგოგის მიდგომები. მრავალფეროვანი აქტივობებითა და პრაქტიკული რჩევებით სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს აღმზრდელ-პედაგოგებს ან სხვა დაინტერესებულ პირებს, მოახდინონ თემატური მიმართულებების ინტეგრირება კონკრეტულ კურიკულუმში.

2017 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა **ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები**, რომლის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში იქამდე არსებული საგანმანათლებლო სტანდარტისგან. ბავშვის განვითარების სტანდარტში, გარდა განვითარების სფეროებისა, გაჩნდა ე.წ. თემატური მიმართულებები. ეს ცვლილება საშუალებას აძლევს ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსებს, ბავშვის განვითარება განსხვავებული პერსპექტივიდან დაინახონ.

სტანდარტებში მოცემულია სამი თემატური მიმართულება:

- ხელოვნება
- წიგნიერება
- ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები

წიგნის სტრუქტურა მიჰყვება ბავშვის განვითარების სტანდარტების თემატური მიმართულებებს; შესაბამისად, მოცემულია სამი ვრცელი თავი - ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება. თავის მხრივ, თითოეული თავი შემდეგნაირად არის აგებული:

1. მიმართულების განმარტება - როგორც ზოგადი განმარტება, ასევე, კონკრეტულ, კერძოდ, ადრეული განათლების, კონტექსტში; აღწერილია, როგორ ვითარდება ამ მიმართულების ფარგლებში სხვადასხვა უნარი;
2. თემატური მიმართულების პრაქტიკაში დანერგვის სტრატეგიები - საჭირო სივრცე, რესურსი, უფროსის სტრატეგიები;
3. სამაგალითო აქტივობები - მრავალფეროვანი აქტივობების აღწერა, საჭირო რესურსითა და ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნული სტრუქტურის საფუძველზე ავტორები მსჯელობენ ადრეული ასაკის ბავშვთა ასაკობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით; შესაბამისად, თითოეული კომპონენტი წარმოდგენილია 3 წლამდე და 3 წლის შემდგომი ასაკის თავისებურებებით.

თემატუხი მიმახოტუღება ხელოვნება

ხას ნიშნავს ხელოვნება?

თემატუხი მიმახოტუღების განმახოტება

რა არის ხელოვნება? რა შინაარსს მოვიზარებთ, როდესაც ეს სიტყვა გვემის? სხვადასხვა ლექსიკონში მოცემულ განმარტებებს თუ შევაჯერებთ, კითხვაზე „რას ნიშნავს ხელოვნება?“ დაახლოებით ასეთ პასუხს მივიღებთ: ეს არის ადამიანის მიერ ნამუშევრის შექმნა შემოქმედებითი უნარებისა და წარმოსახვის გამოყენებით. ამ განმარტებით, ყველაფერს, რასაც ადამიანი თავისი ფანტაზიით ქმნის, შეგვიძლია, ხელოვნება დავარქვათ. ისიც თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ხელოვნებას დიდი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრებაზე. მისი საშუალებით შევისწავლით საკუთარ თავს, გარესამყაროს. ეს ითქმის არა მხოლოდ ჩვენზე, უფროსებზე; ხელოვნება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებაში. პატარებისთვის მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია - ხელოვნება ბავშვს საშუალებას აძლევს, აღმოაჩინოს თავისი თავი, განვითაროს მრავალმხრივი უნარები, გამოხატოს საკუთარი ემოციები, გრძნობები, განცდები, შეიმეცნოს გარემო, შეისწავლოს სამყაროს მრავალფეროვნება.

კვლევები მოწმობს, რომ ხელოვნების აქტივობებში ჩართულ ბავშვებს აკადემიური უნარები (მათ შორის, კითხვისა და წერის, მათემატიკური უნარები), სხვა ბავშვებთან შედარებით, უფრო მეტად აქვთ განვითარებული. ხელოვნება, ასევე, ხელს უწყობს სააზროვნო, სოციალური უნარების განვითარებას, ჯანსაღი თვითშეფასების, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ადამიანი მრავალმხრივი შესაძლებლობების მქონე ინდივიდია, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავის სხვადასხვანაირად გამოხატვა შეუძლია. ალბათ ამიტომაც არის, რომ, გამოხატვის ფორმების შესაბამისად, ხელოვნება სხვადასხვა სფეროდ იყოფა: ლიტერატურა (პოეზია, პროზა), ვიზუალური ხელოვნება (ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი, ქანდაკება, ფოტოგრაფია, არქიტექტურა და ა.შ.), საშემსრულებლო ხელოვნება (მუსიკა, ქორეოგრაფია, დრამა). ინფორმაცია ლიტერატურაზე, ზოგადად, წიგნიერების არსზე, ადრეულ ასაკში მის მნიშვნელობაზე ამ წიგნის შესაბამის თავში შეგიძლიათ, იხილოთ, მოცემულ თავში კი ვიმსჯელებთ ვიზუალურ ხელოვნებასა და საშემსრულებლო ხელოვნების დარგებზე - მუსიკაზე, ცეკვასა და დრამაზე. ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტში ხელოვნება ორ ძირითად მიმართულებად იყოფა - ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება - და ისინი წარმოდგენილია ორი სტანდარტის სახით: „ბავშვი ინტერესდება ვიზუალური ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის“; „ბავშვი ინტერესდება საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის“.

ხას ნიშნავს ვიზუალური ხელოვნება?

ესაა ვიზუალური გამოხატვის საშუალებებით ფერწერული ან გრაფიკული ნახატის, კოლაჟის და ა.შ. შექმნა.

რას ნიშნავს ვიზუალური ხელოვნება ადრეულ განათლებაში?

როცა ბავშვი ხატავს სხვადასხვა მასალით, ქმნის ფერწერულ ნამუშევარს საღებავით, აკეთებს კოლაჟს ფერადი ქაღალდით, ქსოვილით თუ სხვა საშუალებებით, ძერწავს

თიხით, პლასტილინით, ქმნის ქანდაკებას მეორადი მასალით, მუშაობს მაკეტზე, ამზადებს თოჯინებს, ბეჭდავს შტამპებით და ა.შ.

3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ვიზუალური ხელოვნება - ეს არის სამხატვრო მასალებით თამაში, სენსორული გამოცდილებით სიამოვნების მიღება. ამ ასაკში ბავშვები საერთოდ არ ფიქრობენ, რა პროდუქტს შექმნიან საბოლოო ნამუშევრის სახით. ისინი იღებენ სიამოვნებას პროცესით - მოსწონთ, როგორ იცვლის წყალი ფერს საღებავის შერევისას, როგორ ტოვებს ფუნჯი ფერად კვალს ფურცელზე, როგორ იჭყლიტება დარბილებული პლასტილინი და ა.შ.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებისთვის ვიზუალური ხელოვნება თამაშსა და კვლევასთან ერთად საკუთარი გრძნობების, ემოციების, განცდების ან რეალობის ასახვის საშუალება ხდება. 3 წლის შემდგომ ასაკშიც ვიზუალური ხელოვნება არ კარგავს უმთავრეს ფუნქციას - სიამოვნება მიანიჭოს ბავშვს პროცესით, გააბედნიეროს მონაწილეობით; ამავე დროს, ბავშვისთვის საკუთარი ნამუშევარიც ფასეული ხდება; ბავშვი თავს იწონებს, უხარია, როცა სხვებიც აღნიშნავენ მის შრომას. თავის მხრივ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ხელოვნება ერთ-ერთი საშუალებაა ამ ასაკის ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის - მაგალითად, ხატვის, ძერწვის, აპლიკაციის კეთების დროს ბავშვებს უვითარდებათ წვრილი მოტორიკა, საკუთარი ან სხვა მხატვრების ნამუშევრების აღწერით - მეტყველება, კოლაჟზე მუშაობისას ხელსაწყოების გაზიარების დროს - სოციალური უნარები, ნამუშევარში ასახულ ემოციებზე საუბრისას - ემოციური კომპეტენციები, სამხატვრო მასალების განსხვავებული ხერხით გამოყენების მოსინჯვისას - შემოქმედებითი აზროვნება, პრობლემის გადაჭრის უნარი; სხვადასხვა მხატვრის რეპროდუქციების დათვალიერებისას ეცნობიან კულტურულ მრავალფეროვნებას და ა.შ.

ჩას ნიშნავს მუსიკა?

ესაა ბგერისა და ინსტრუმენტების საშუალებით მელოდიის შექმნა.

რას ნიშნავს მუსიკა ადრეულ განათლებაში?

როცა ბავშვი ქმნის სხვადასხვა რიტმს, ხმებს მუსიკალური ინსტრუმენტებით, იგონებს სიმღერებს, უსმენს ამა თუ იმ ჟანრის მუსიკას, ხმებსა და სხვადასხვა სახის ხმაურს, თამაშობს მუსიკალურ თამაშებს.

3 წლამდე ასაკის ბავშვისთვის მუსიკა არის მზრუნველის „იავნანას“ მოსმენა ძილის წინ, ნაცნობი, საყვარელი მელოდიის ლილინი, სხვადასხვა საგნის ჟღერადობაზე, ზოგადად, ხმაურზე, დაკვირვება - ბავშვი ურტყამს ერთმანეთს საგნებს, ანჯღრევს, ხელს უტყაპუნებს, უკაკუნებს და თან აკვირდება, რა ხმებს გამოსცემს ესა თუ ის ნივთი; სიამოვნებით უსმენს სხვადასხვა ტიპის მუსიკას. დროთა განმავლობაში პატარებს სიამოვნებას ანიჭებს საყვარელი სიმღერის მღერა, თითებზე გათვლის რიტმული ტექსტის გამეორება. ამ ასაკის ბავშვს შეუძლია სიმღერის დროს თქვენ მიერ გამოტოვებული სიტყვების შევსება.

3 წლის შემდეგ ბავშვს სიამოვნებას ანიჭებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკის მოსმენა. მას შეუძლია, ერთი მხრივ, ტაშით აჰყვეს მუსიკალურ რიტმს, რომელიც ესმის, მეორე მხრივ, მუსიკალური ინსტრუმენტებით თავად ააწყოს მარტივი რიტმული მონახაზი. მას შეუძლია, თავად დაამზადოს მუსიკალური ინსტრუმენტები და მათი გამოყენებით

პატარა ორკესტრი შექმნას; შეუძლია, მოიგონოს მელოდია იმ ლექსზე, რომელიც მოსწონს, ან, პირიქით, ტექსტი შეუცვალოს ნაცნობ სიმღერას.

ჩას ნიშნავს ცეკვა?

ესაა საკუთარი სხეულის მოძრაობით იდეების, განცდების, ემოციების გამოხატვა.

რას ნიშნავს ცეკვა ადრეულ განათლებაში?

როცა ბავშვი საკუთარი სხეულის მოძრაობით აპყვება სხვადასხვა ხასიათის მუსიკას, მოძრაობით გადმოსცემს ემოციებს, იგონებს ილეთებს.

3 წლამდე ასაკის ბავშვი ცქმუტავს, როცა რიტმული მელოდია ესმის, მთელი ტანით ირწევა, თავს ამოძრავებს, ცდილობს, მუსიკის რიტმში ჩაჯდეს - ამ დროს ის ცეკვავს. მოგვიანებით მას მოსწონს სხვადასხვა მოძრაობის გამეორება, ბაძავს ცხოველებს, ფრინველებს - ხელებს განზე შლის და ჩიტივით „დაფრინავს“, ფეხისწვერებზე დგება და პეპელასავით დაფარფატებს და ა.შ.

3 წლის შემდეგ ბავშვი, ერთი მხრივ, სიხარულით იმეორებს ნაცნობ ილეთებს, მეორე მხრივ, შეუძლია, თავად დადგას საცეკვაო ნომრები. ბავშვი სიამოვნებას იღებს საყვარელ მელოდიაზე თავისუფალი მოძრაობით და ცდილობს მეგობრების ჩართვას ამ პროცესში.

ჩას ნიშნავს ძიამა?

ესაა მოქმედებებითა და დიალოგებით ამბის გადმოცემა.

რას ნიშნავს დრამა ადრეულ განათლებაში?

როცა ბავშვი გაითამაშებს ეპიზოდს ნაცნობი სიტუაციებიდან ან ზღაპრიდან, ატარებს თოჯინურ წარმოდგენას, სურს, პანტომიმით გადმოსცეს ემოციები, ცდილობს სხვადასხვა პერსონაჟის, ცხოველის, ფრინველის იმიტირებას.

3 წლამდე ბავშვი დრამატულ უნარს ამჟღავნებს, როცა თამაშობს ფუმფულა სათამაშო ცხოველებით ან თოჯინებით, ყურადღებას ამახვილებს უფროსების ჟესტებზე, მიმიკებზე და ცდილობს მათ გამეორებას. ბავშვს იზიდავს ნამდვილი საგნებით ან რეალისტური სათამაშოებით თამაში; მოსწონს, როცა უფროსი თოჯინა-ხელთათმანებს ახმოვანებს, თვითონაც ცდილობს მიბაძვას.

3 წლის შემდეგ ბავშვები სიამოვნებით გაითამაშებენ ნაცნობ სიტუაციებს რეალური ცხოვრებიდან, მოგონილ ამბებს წარმოსახვითი გმირებით, წარმოადგენენ საყვარელ პერსონაჟებს - წიგნის თუ ანიმაციური ფილმის გმირებს, დგამენ სპექტაკლს თოჯინა-ხელთათმანებით, მარიონეტებით, თავად მონაწილეობენ პერსონაჟების შექმნაში, ირგებენ სხვადასხვა გმირის ნიღბებს, კოსტიუმებს, ატრიბუტებს და, შესაბამისად, განასახიერებენ მათ.

სხვადასხვა უნახის განვითარება და ხელოვნება

ფიზიკური და სენსორული განვითარება - ხელოვნების აქტივობებში მონაწილეობა ხელს უწყობს ბავშვის წვრილი და მსხვილი მოტორიკის, ასევე, სენსორული უნარების განვითარებას. ბავშვის მიერ ვიზუალური ხელოვნების მრავალფეროვანი მასალების გამოყენება - ფანქრებით თუ ფუნჯით ხატვა, მაკრატლით ფიგურების გამოჭრა, თიხით ან პლასტილინით ძეგნვა - ბავშვს უვითარებს როგორც ნატიფ მოტორიკას, ასევე, თვალისა და ხელის კოორდინირებულ მოძრაობებს. იგივე ხდება, როდესაც ბავშვი კოლაჟზე მუშაობისას სასურათო სიბრტყეზე ანაწილებს ნივთებს, ან სამაჯურის აწყობისას ხის, პლასტმასის ბურთულებს აგებს ძაფზე, ანდა მარტივი ხელნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტის - მარაკასის - დამზადებისას ქილაში ყრის ლობიოს მარცვლებს, დრამატული თამაშის დროს სხვადასხვა ნივთით მანიპულირებს და ა.შ.

როცა ბავშვი მუსიკის გაგონებაზე რიტმულად აყოლებს მას სხეულს, იწყებს ცეკვას ათასგვარი ილეთით სხვადასხვა ხასიათის მუსიკის შესაბამისად, როცა დრამატული თამაშის დროს მოძრაობით ბაძავს ბაჯბაჯა დათვს ან მოფარფათე პეპელას, ამ დროს უვითარდება მსხვილი მოტორიკა.

კოლაჟზე მუშაობისას სხვადასხვა ფაქტურის მქონე მასალებთან შეხებით, პალიტრაზე ფერთა გამის გამოყენებით, მუსიკალური საკრავების განსხვავებული ჟღერადობის მოსმენით, ტაშით მუსიკის რიტმის გამეორებით უვითარდება სენსორული უნარები.

სოციალურ-ემოციური განვითარება - ხელოვნება საუკეთესო საშუალებაა, ერთი მხრივ, ბავშვში ემოციების ჩამოსაყალიბებლად და, მეორე მხრივ, საკუთარი განცდების, ემოციების გადმოსაცემად. დრამატული თამაშებისას ბავშვი ნაცნობ სიტუაციებში სხვადასხვა ქცევის მოსინჯვით ავარჯიშებს სოციალურად მისაღებ ქცევას, სწავლობს მძაფრი ემოციების მართვას. წყვილში ან ჯგუფურად დრამატული თამაშისას ბავშვს უწევს, შეათანხმოს „თამაშის წესები“, გადაინაწილოს სხვებთან ერთად როლები და რეკვიზიტები კონფლიქტის გარეშე, თანამშრომლობით განავითაროს თამაში. ხატვისას ბავშვი საკუთარ გრძნობებზე, ფიქრებზე „საუბრობს“, ემოციურ კომპეტენციებს ივითარებს, სწავლობს საკუთარი ემოციების ამოცნობასა და სახელდებას. იგივე ხდება, მაგალითად, სხვადასხვა ჟანრის მუსიკის მოსმენისას და საკუთარი ემოციების დაფიქსირებისას. მხატვრის ნამუშევრის რეპროდუქციების დათვალიერებისას ან თუნდაც მუსიკის მოსმენისას შეიძლება ბავშვმა ავტორის ემოციებზე ისაუბროს, რითაც სხვისი ემოციების ამოცნობასა და თანაგანცდას სწავლობს; სხვისი პერსპექტივის გაგებას ეუფლება დრამატულ თამაშში მონაწილეობის დროს. ხატვისას მასალების გაზიარებით, ერთად მოსმენის, ერთად ცეკვის დროს ბავშვი სოციალურ უნარებს ივითარებს.

კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება - საკუთარი ნახატის აღწერის ან ფერწერული რეპროდუქციის განხილვისას, მუსიკით მიღებული ემოციების გადმოცემისას, დრამატული როლის შესრულებისას ან განსასახიერებელი პერსონაჟის ტექსტის დამუშავებისას ბავშვი სწავლობს ახალ სიტყვებს, ეცნობა მათ მნიშვნელობას, ივითარებს მეტყველების უნარებს. ცეკვის დროს, როცა არავერბალური საშუალებებით გამოხატავს საკუთარ ემოციებს, შესაბამისად, ეუფლება სხეულის ენით კომუნიკაციას.


შემეცნებითი განვითარება - ბავშვი ივითარებს შემეცნებით უნარებს, როცა აკვირდება, როგორ ერევა პალიტრაზე ერთი ფერი მეორეს და იქმნება სრულიად ახალი ფერი; ან - როგორ ერწყმის ერთმანეთს ორი ინსტრუმენტის ხმა და ისმის ახალი ჟღერადობა. ხელოვნების ნებისმიერი აქტივობა ძიებას, კვლევასა და ახლის შექმნას გულისხმობს - ვიზუალური ხელოვნების აქტივობების დროს იქმნება გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევარი, ქანდაკება, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობების დროს - ახალი რიტმული კომპოზიცია, ან ახალი პერსონაჟი, რაც პრობლემის გადაჭრის უნარის, სიმბოლური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საწინდარია. როცა ბავშვი ირჩევს მისთვის საინტერესო საქმიანობას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩართულია მასში - მაგალითად, თავს არ ანებებს კოლაჟის კეთებას, ვიდრე ბოლო დეტალს არ დააწებებს; სიამოვნებით დგამს საცეკვაო ნომერს, ან მონაწილეობს თოჯინურ სპექტაკლში.

დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება - დამოუკიდებლობის უნარის მაჩვენებელია ბავშვის მხრიდან ინიციატივის გამომჟღავნება სამხატვრო მასალების, მუსიკალური ინსტრუმენტების ან დრამატული როლის შერჩევისას - ძერწვისას თხიხა გამოიყენოს თუ პლასტილინი, პასტელით ხატოს თუ აკვარელის საღებავით, რიტმი მარაკასით ააწყოს თუ დაირით, ჯადოქრის როლის განსახიერებისას ვარსკვლავებიანი ქუდი მოირგოს თუ მოსასხამი. მნიშვნელოვანია მხატვრული ნამუშევრის შესრულების შემდეგ საკუთარი კუთხის მონესრიგება, მასალების დაბინავება, ყველაფრისთვის ადგილის მიჩენა - ამ დროს ბავშვი თვითმოვლის უნარებს ივითარებს.

თემატუხი მიმახითულება ხელოვნება - ჰიაქტიკაში მისი დანეხვის სტიატეგიები

იმისათვის, რომ ბავშვებმა „ხელოვნების ენაზე“ შეძლონ საკუთარი განცდებისა და ფიქრების გადმოცემა, ან მოახერხონ სხვისი „ენის“ აღქმა, მათ შესაფერი გარემო უნდა შევუქმნათ. ეს ნიშნავს შესაბამისი სივრცის მოწყობას, რესურსის ორგანიზებას და უფროსისგან სწორ მხარდაჭერას.





ვიზუალური ხელოვნება

საჭირო სივრცე

მნიშვნელობა არა აქვს, რა ასაკის ბავშვებთან გვიწევს მუშაობა - ვიზუალური ხელოვნების აქტივობებისთვის სპეციფიკური ფიზიკური გარემო არის საჭირო, გარემო, რომლის დასვრა შეიძლება, სადაც წყლის დაღვრა არაფერს გააფუჭებს, სადაც იატაკი ადვილად ინმინდება დაწუნული საღებავისგან, კედლები კი, დალაქავების შემთხვევაში, ადვილად ირეცხება. ასეთი სივრცე შესაძლოა, მოვანყოთ ჯგუფის ოთახსა და ეზოში.

3 წლამდე ბავშვებისთვის ხელოვნების სივრცის ორგანიზებისას, პირველ რიგში, იფიქრეთ იმაზე, რომ ავეჯი მათი ზომის შესაბამისი იყოს. დაგჭირდებათ მაგიდა, რომელზედაც ბავშვებს საკმარისი ფართი ექნებათ სამუშაოდ. გარდა მაგიდისა, ბავშვებმა შეიძლება იატაკზე დაფენილ ქაღალდზე ან ქსოვილზე ხატონ; შესაბამისად, სივრცე ამის საშუალებას უნდა იძლეოდეს. დაგჭირდებათ ღია თარო მასალის შესანახად, ასევე საკიდი, სადაც ბავშვების სამუშაო ტანსაცმელს დაკიდებთ; მოლბერტი ან კედელი, რომლებზედაც სახატავ ქაღალდს დაამაგრებთ. სასურველია, ახლოს იყოს ონკანი, რომ ბავშვებმა იოლად შეძლონ საკუთარი თავის და გარემოს მოწესრიგება.

მცირე რჩევა: თუ წყლის ონკანი ოთახიდან შორსაა, იქვე იქონიეთ ჯამი და წყლით სავსე სანამავი ბოთლი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ წყლით სავსე ბოთლი გახვრეტილი სახურავით). ასე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ხელის დაბანა ხატვის დამთავრებისთანავე, ოთახიდან გაუსვლელად.


3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებისთვის აუცილებელია:

- საკმარისად ფართო მაგიდა, რომლის ირგვლივაც 5-6 ბავშვი მყუდროდ მოთავსდება და საკმარისი სამუშაო ადგილიც ექნება;
- კარგი დღის განათება; საჭიროებისამებრ - ხელოვნურიც;
- დაბალი თაროები სამხატვრო მასალების შესანახად. აუცილებელი პირობაა, რომ მასალები ბავშვების სიმაღლეზე იყოს მოთავსებული, რათა ისინი საჭირო ნივთებს ადვილად მისწვდნენ;
- მცირე ზომის კონტეინერები, რომ მასალები ორგანიზებულად დავახარისხოთ და ამას ბავშვებიც მივაჩვიოთ - ცალ-ცალკე სათავსოებში ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს - ფერად ფანქრებს, მაკრატლებს, ფუნჯებს, საღებავებს და ა.შ.;
- ადგილი ნამუშევრების მოსათავსებლად - კედელზე გაბმული საკიდები ან ღრმა თაროები ნაძერწების, კოლაჟების, მაკეტების შესანახად.

საჭირო ხეხუხი

3 წლამდე - როგორც ზევით უკვე ითქვა, სულ პატარებისთვის ვიზუალური ხელოვნების აქტივობები, უმეტესად, სენსორული გამოცდილებაა. **ამიტომ მათთვის, ძირითადად, სწორედ შესაბამისი სახის მასალები დაგჭირდებათ:**

სხვადასხვა ფაქტურის მარილიანი ცომი, რბილი პლასტილინი, გუაშის საღებავი, თითით სახატავი საღებავი, სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი, მსხვილი ფუნჯები, მსხვილი ფერადი ფანქრები, მსხვილი მარკერები.



3 წლის შემდეგ - შედარებით დიდ ბავშვებთან შეგიძლიათ, კვლავ გამოიყენოთ ყველაფერი ის, რაც სულ პატარებთან გჭირდებოდათ; ასევე, გაამდიდროთ ხელოვნების სივრცე შემდეგი რესურსით:


სახატავი საშუალებები: ფერადი ფანქრები, ცარცის, ცვილის ან ზეთოვანი პასტელი, ცარცი.

საღებავები: გუაში, აკვარელი, ხელით სახატავი საღებავი, წყალი, ფერადი ბოსტნეულის წვენი, ჩაისა და ყავის ნაყენი, საკვები საღებავი, შეღებილი სახამებელი, საპარსი ქაფი.

სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფუნჯები და მათ ნაცვლად გამოსაყენებელი ნივთები: სამზარეულოს ფუნჯი, მაკიაჟის ფუნჯი, საპარსი ფუნჯი, კბილის ჯაგრისი, ღრუბელი, თმის ჯაგრისი, ტანსაცმლის ჯაგრისი, სავარცხელი, პლასტმასის სანამავი ბოთლი, ბამბის ტამპონი, ცოცხი, პიპეტი, ნაყინის ჯოხი, ბუნვის ქურქის ნაჭრები, ხის ჩხირები, რეზინა, საქსოვი ძაფი, ჩალა, საწრუპავი, როლერი.



ძერწვისთვის საჭირო მასალა: თიხა, პლასტილინი, საძერწი ცომი, ფორმების მოსაჭრელი, საბრტყელბელი ჯოხი.




ხეზე სამუშაო იარაღი: ჩაქუჩი, ხერხი, შალაშინი

სხვადასხვა ფაქტურის ქალაღი: თეთრი ქალაღი, ფერადი ქალაღი, აკვარელის ქალაღი, გაზეთის, ჟურნალის ფურცლები, შესაფუთი ქალაღი, ძველი შპალერი და ა.შ., მეორადი და ბუნებრივი მასალები.

მასალები ქანდაკებებისა და კოლაჟის დასამზადებლად:

სხვადასხვა სახის მარცვლეული, ბურღულეული, ბინტი ან მარლა, საათის ნაწილები, ყავის მარცვლები, ბამბა, კვერცხის ნაჭუჭი, საქსოვი ძაფები, ქსოვილის ნაჭრები, გამხმარი ფოთლები და ყვავილები, ნიჟარები, ღილები, ტყავის ნაჭრები, პანანინა მბრწყინავი ნამცეცები, სათევზაო ბადე, მაქმანები, ძველი ბიჟუტერია, ხის სარეცხის სამაგრები, საშლელი, ფაფუკი მავთულის ღეროები, ზონრები, ბაფთები, ბისერი, მძივები, ხის ტოტები, თოკი და ა.შ.

განურჩევლად იმისა, თუ რომელი ასაკის ბავშვებთან ვმუშაობთ, უნდა დავიცვათ მთავარი პრინციპი: რესურსი უნდა იყოს დახარისხებული კონტეინერებში ან ყუთებში და ყველაფერს ჰქონდეს თავისი ადგილი; კონტეინერები უნდა იყოს იარაღიყებით - ნარჩენებითა და სურათებით გაფორმებული. მასალები ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად განვითარების დონისა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს.



უფროსის სტრატეგიები

ვიზუალური ხელოვნების აქტივობებისთვის საჭირო დრო წინასწარ იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, ტექნიკური თვალსაზრისით, რამდენი ხანი დასჭირდება ამა თუ იმ ნაკეთობის დამზადებას და რამდენად აქვთ ბავშვებს ამ ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო უნარები. სხვა მხრივ, აქტივობის ხანგრძლივობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იღებენ ბავშვები სიამოვნებას, რამდენად არიან ჩართული და არის თუ არა მათი მოტივაცია მაღალი. რაც შეეხება განრიგში მათ განაწილებას, ეს აქტივობები შეიძლება ჯგუფის ოთახში თამაშის დროს, კერძოდ, ხელოვნების სივრცეში ან ეზოში ყოფნისას ჩატარდეს.

3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ვიზუალური ხელოვნების აქტივობების დაგეგმვამდე კარგად შეისწავლეთ თქვენი ჯგუფის ბავშვები - რა უნარები აქვთ, რა მოსწონთ.

შესთავაზეთ მასალები, მიეცით დრო, რომ დააკვირდნენ, გამოიკვლიონ. სულ პატარებთან მუშაობისას უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის ვიზუალური ხელოვნების აქტივობებიც კი მსხვილი მოტორიკის გამოყენებას მოითხოვს. ამიტომ მიეცით საშუალება, იმოდროს ექსპერიმენტების დროს, ან დაგეგმეთ ისეთი აქტივობები, რომელთა დროსაც მოძრაობას შეძლებენ, მაგალითად, დააფინეთ ფორმატი იატაკზე და შესთავაზეთ, ტერფებით დატოვონ საღებავიანი კვალი.

3 წლის შემდეგ - შესთავაზეთ ბავშვებს მრავალფეროვანი მასალები: ფერადი ფანქრები, ფლომასტერი, ცარცი, თიხა, პლასტილინი. ნაახალისეთ, რომ განსხვავებულად გამოიყენონ ტრადიციული რესურსი, ნუ მოაქცევთ ჩარჩოში. მაგალითად, თუ გინდათ, რომ საღებავით ხატონ, ეს გააკეთონ ყველაფრის მეშვეობით, რაც კი ფურცელზე კვალს დატოვებს - ღრუბლით, ფოთლიანი ტოტებით, ბალახით და ა.შ. მიეცით საშუალება, თავად აირჩიონ სამუშაო მასალები. დაათვალიერებინეთ დიდი მხატვრების ნამუშევრები, აჩვენეთ რეპროდუქციები ისეთი ნახატებისა, რომლებშიც მხატვრები სამყაროს არარეალისტურად გამოხატავენ - პიკასოს „დამტვრეული“ ფიგურები, ვან გოგის „ცეცხლოვანი“ ტილოები, ჯეკსონ პოლოკის აბსტრაქციები, ფიროსმანის პერსონაჟები და ა.შ. მნიშვნელოვანია, ბავშვებმა იცოდნენ, რომ არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ ხატვა/ნახატი. თუკი დიდი მხატვრები ისე ხატავდნენ, როგორც სურდათ, ბავშვებს, მით უმეტეს, უნდა მივცეთ შემოქმედებითი თავისუფლება და ჩარჩოებით არ შევზღუდოთ. აჩვენეთ რეპროდუქციები, შესთავაზეთ, თავად მოსინჯონ, ხატონ პიკასოსავით, ვან გოგით, ფიროსმანივით, ან შექმნან საკუთარი სიუჟეტები ამ მხატვრების სტილის მიხედვით. მიეცით საშუალება, ითამაშონ, იკვლიონ, გააკეთონ აღმოჩენები და ისიამოვნონ ხელოვნებით.

როგორ „ვასწავლოთ“ ხატვა

იმის ნაცვლად, რომ ბავშვებს აჩვენოთ, როგორ იხატება სხვადასხვა საგანი, ან დაუსხატოთ ფურცელზე ნიმუში და მოსთხოვოთ გამეორება, ასწავლეთ ბავშვებს ნატურიდან ხატვა. თავდაპირველად შეარჩიეთ მარტივი საგნები. ეს შეიძლება იყოს ვაშლი, ფორთოხალი, ფინჯანი და ა.შ. მიეცით ბავშვს საშუალება, ხელში დაიჭიროს დასახატი ნივთი, ნახოს, როგორი ფაქტურა აქვს. ამ დროს ისეთი შეკითხვები დაუსვით, რომ დასახატი საგანი ბავშვისთვის უფრო საინტერესო გახდეს: „როგორი ფორმა აქვს? როგორი კანი აქვს? როგორ ფიქრობ, რაში იყენებენ? რას გაგონებს?“ ამის შემდეგ სთხოვეთ ბავშვს, გაჩვენოთ ფურცელზე ის ადგილი, საიდანაც დაიწყებს ხატვას: „საიდან აპირებ ნახატის დაწყებას? შეგიძლია, დაადო ფანქარი იმ ადგილს? ჯერ რას დახატავ?“ თუ ბავშვს ხატვის დაწყება უჭირს, სთხოვეთ, ჰაერში შემოხაზოს დასახატავი საგნის ფორმა, დაუსვით დამატებითი შეკითხვები და სიტყვიერი მხარდაჭერით დაეხმარეთ ნახატის აგებაში. მზა ჩანახატებით ბავშვებმა შესაძლოა, ახალი კომპოზიციები შექმნან, სიუჟეტურ ნახატში გამოიყენონ ისინი.

როგორ ვესაუბროთ ბავშვს საკუთარ ნამუშევარზე

ბავშვებს სურთ, ხელოვნებით მიღებული სიამოვნება ჩვენც გავგიზიარონ, გაბრწყინებული სახით გვაჩვენებენ ნამუშევარს და ელოდებიან უკუკავშირს ჩვენგან. როგორ ვუპასუხოთ ბავშვს ასეთ შემთხვევაში? შევაქოთ? გავუსწოროთ? მითითება

მივცეთ? - ამ შეკითხვებს ხშირად სვამენ ბაღის აღმზრდელები. ბავშვის ნამუშევარზე საუბრისას მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ, უპირველესად, არ გამოვიყენოთ შემდეგი ფრაზები: „ასე ჯობდა“, „ეს უკეთესად შეგეძლო“, „ეს ფერი სწორად არ გაქვს შერჩეული“. მსგავსი შეფასებითი კომენტარები ბავშვების მოტივაციას ძალიან აფერხებს და უბიძგებს მათ, ნაცვლად თავისუფალი მიდგომისა, შედეგზე იყვნენ ორიენტირებული და იმაზე იფიქრონ, როგორ „მოაწონონ“ ნამუშევარი სხვას, როგორ შექმნან „სწორი“ ნახატი. როცა ბავშვი თავის ნამუშევარს გვაჩვენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იშრომა, შემდეგ კი, უბრალოდ, აღვწეროთ მისი ნახატი: „ეს ხაზები წითელი ფანქრით გაგივლია...“ „შენს გოგონას ყვითელყვავილებიანი კაბა აცვია...“, „როგორი ლურჯი ღრუბლებია...“, „სახლის სახურავი წითლად გააფერადე, ხომ?..“ და ა.შ. ამგვარად, ერთი მხრივ, ბავშვს უკუკავშირს აძლევთ ნამუშევარზე, მეორე მხრივ, არ განსჯით მას.

მუსიკა და ცეკვა

საჭირო სივრცე

მუსიკისა და ცეკვისთვის სივრცე შესაძლოა, მოვანყოთ როგორც ჯგუფის ოთახში, ასევე ეზოში, სადაც საკმარისი ფართია. ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, სურვილისამებრ აირჩიონ მუსიკალური ინსტრუმენტი, თავისუფლად გამოიყენონ მუსიკალური ცენტრი ან მაგნიტოფონი, იცეკვონ, იმღერონ, შეთხზან სიმღერები, დადგან ცეკვები.

3 წლამდე ასაკის ბავშვებს სჭირდებათ უსაფრთხო სივრცე, სადაც ისინი შეძლებენ მოძრაობას მუსიკის თანხლებით. ასეთი სივრცის მოსაწყობად დაგჭირდებათ ხალიჩა ან რბილი იატაკი. ასევე, მნიშვნელოვანია, ცეკვის დროს იატაკზე არ იყოს სხვა ნივთები, რომ წაქცევისას ბავშვები არ დაზიანდნენ. კარგი იქნება, თუ ამ სივრცეში კედლის მთელ სიგრძეზე დაამონტაჟებთ სარკეს, რათა ბავშვებმა საკუთარი სხეულის მოძრაობაზე დაკვირვება შეძლონ. ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სარკე კედელზე მყარად უნდა იყოს დამაგრებული.

3 წლის შემდეგ - შედარებით უფროს ბავშვებთან აუცილებელი არაა ხალიჩის დაგება; უბრალოდ, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი სივრცე, რომ თავისუფლად იმოძრაონ. ასევე დაგჭირდებათ მუსიკალური ინსტრუმენტების, მუსიკალური ცენტრის შესანახი დაბალი თარო, რომელიც კედელთან იქნება მიდგმული, რომ ბავშვები ცეკვის დროს არ დაეჯახონ. ფორტეპიანოს არსებობა არ არის აუცილებელი პირობა, მისი ჩანაცვლება შეიძლება ნებისმიერი ინსტრუმენტით (რომელზეც აღმზრდელი უკრავს) ან მუსიკალური ცენტრით. კედელზე დამაგრებული სარკე აქაც საჭირო რესურსია.



საჭირო ხესხისი

3 წლამდე - ჟღარუნები, დოლი, საყვირი, ქსილოფონი, მუსიკალური სათამაშოები, თოჯინები, წიგნები, მუსიკალური მობილები, მუსიკალური ცენტრი, სამზარეულოს ჭურჭელი, რომელიც არ იმტვრევა და ხმას გამოსცემს, ფერადი ლენტები, ჰულაჰუპები, ბურთები.

3 წლის შემდეგ - ყველა ის მასალა, რომლებსაც 3 წლამდე ბავშვებთან ვიყენებთ, უფროსი ბავშვების შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი რესურსია. მაგალითად, მუსიკალური ცენტრის მეშვეობით ბავშვებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკას მოასმენინებთ. ასევე გამოგადგებათ ის, როგორც ხმის ჩამწერი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვებს, საკუთარი ნამღერი ჩანერონ და შემდეგ მოისმინონ, ან ჩაინერონ, ზოგადად, ხმაური. ასევე, დაგჭირდებათ: დისკები საბავშვო სიმღერების, სხვადასხვა სახის ხმაურის, მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული მუსიკის, სხვადასხვა ჟანრისა და მიმდინარეობის მუსიკის (ფოლკი, კლასიკა, ქანთრი, ჯაზი, როკი, ბლიუზი და ა.შ.) ჩანაწერებით.

მუსიკალურ კუთხეში უნდა მოვთავსოთ ხელნაკეთი ან ბავშვის ასაკის გათვალისწინებით დამზადებული მომცრო ზომის მუსიკალური ინსტრუმენტები: ქსილოფონი, დაირები, მარაკასები, ჟღარუნები, საყვირი, სალამური, დოლი, გიტარა, ფანდური, ჩონგური და ა.შ.; არატრადიციული „საკრავები“: ძველი ქვაბები, ხის კოვზები, ქვაბების სახურავები და ა.შ.

უფროსის სტრატეგიები

3 წლამდე - მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მუსიკისა და ცეკვის აქტივობების დროს თქვენ გენიჭებათ, არის ის, რომ თავად ისიამოვნოთ მუსიკით, გამოხატოთ კმაყოფილება. სულაც არ არის საჭირო, საკუთარ თავს განსაკუთრებული ხმა და სმენა მოსთხოვოთ; მთავარია, ბავშვებმა იგრძნონ, რომ მათთან ერთად ღიღინი, მუსიკის თანხლებით მოძრაობა სიამოვნებას განიჭებთ. შეეცადეთ, მუსიკა არა მხოლოდ ცალკეულ აქტივობებად, არამედ ბავშვების ყოველდღიურობის ნაწილად აქციოთ - მოიფიქრეთ ხელის დაბანის დროს, ძილის წინ, ოთახის დალაგების დროს საღიღინო სიმღერები. შესთავაზეთ ბავშვებს იდეები: „წარმოვიდგინოთ, რომ ხეები ვართ, ხელები ტოტებივით ავნიოთ ზევით, ქარმა დაუბერა და ტოტები ირხევა“; „ახლა პეპლები ვართ და ყვავილებს ვეძებთ, წვიმა წამოვიდა, შევეფაროთ ფოთლებს“; „ახლა ვართ სიმინდის მარცვლები და ბატიბუტად უნდა გადავიქცეთ, ნელ-ნელა ვიბერებით, ერთი... ორი... სამი... და დავინწყეთ ხტუნვა“. მსგავსი მინისცენარები ბავშვებს დაეხმარება, ერთი მხრივ, შემოქმედებითობის განვითარებაში, მეორე მხრივ, საშუალებას მისცემთ მათ, სხვადასხვაგვარად იმოძრაონ.


3 წლის შემდეგ როგორც ვიზუალური ხელოვნების შემთხვევაში, მუსიკა და ცეკვაც ბავშვებისთვის თვითგამოხატვის საშუალება უნდა იყოს. ამიტომ მიეცით მათ საშუალება, მიიღონ მდიდარი მუსიკალური გამოცდილება მრავალფეროვანი გზებით. ესენია:


- სხვადასხვა ჟანრის მუსიკის მოსმენა
- საბავშვო სიმღერების შესრულება
- მუსიკის თანხლებით ცეკვა და იმპროვიზება

- სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრა
- რიტმის, ტონალობის, ტემპის გამეორება
- მოძრაობის მიბაძვა
- სხვადასხვანაირი მოძრაობის წახალისება

ცეკვისას აღწერეთ, რას აკეთებენ ბავშვები, დაუსვით ღია შეკითხვები: „რას გაგონებს ეს მოძრაობა?“ „რა შეგიძლია, დაამატო?“ „რა მოხდებოდა, მუსიკა რომ შეგვეცვალა?“ თავად შეუერთდით აქტივობას, იცეკვეთ ბავშვთან ერთად, ოღონდ ნუ ასწავლით ცეკვას; უბრალოდ, გამოხატეთ საკუთარი თავი მოძრაობით, ისიამოვნეთ ერთად სიმღერით ან მუსიკის მოსმენით. შეგიძლიათ, შესთავაზოთ ლენტები და შარფები ცეკვის დროს გამოსაყენებლად.

მოიძიეთ ინტერნეტში ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ცეკვების ვიდეოჩანაწერები, აყურებინეთ ბავშვებს და წახალისეთ, თავადაც გაიმეორონ მოძრაობები და სხვადასხვანაირად, მუსიკის რიტმისა და ტემპის შესაბამისად იმოძრაონ. ნუ შეაფასებთ ბავშვის მიერ შესრულებულ მუსიკალურ, საცეკვაო ნომერს შემდეგი ფრაზებით: „ცოტა სუფთად იმღერე“, „ეს ფეხი ასე უნდა გედგას ცეკვისას“. დააკვირდით, რამდენად იღებს ბავშვი სიამოვნებას მუსიკის მოსმენითა და ცეკვით; შეეცადეთ, რომ ამ დროს კი არ დაიძაბოს და იმაზე იფიქროს, რამდენად „სწორად“ ასრულებს იღეთს, არამედ ლაღი, გახარებული და ბედნიერი იყოს.





ქაბა

როგორც მუსიკისა და ცეკვის შემთხვევაში, დრამის სივრცეც შეიძლება მოვანყოთ როგორც ჯგუფის ოთახში ასევე ეზოში. მთავარია, ეს უნდა იყოს ისეთი სივრცე, რომლის გარდაქმნა, გადაწყობა მარტივი იქნება ბავშვების თამაშის შესაბამისად. აქ ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, თავისუფლად იმოძრაონ, გარდაისახონ როლებში, დადგან სცენები და ა.შ.

საჭირო სივრცე

3 წლამდე

საშემსრულებლო ხელოვნების, კერძოდ, დრამისთვის, საჭირო სივრცის მოსაწყობად სულ პატარებისთვის მნიშვნელოვანია, გვექონდეს რბილი იატაკი, რომელზედაც ბავშვები შეძლებენ თავისუფლად მოძრაობას, ასევე - სარკეები კედელზე, რათა დააკვირდნენ და შეისწავლონ საკუთარი თავი. დაგჭირდებათ სათავსოც, სადაც რესურსს შეინახავთ.

3 წლის შემდეგ

უფროსი ბავშვების შემთხვევაში დრამის სივრცეში დაგჭირდებათ სხვადასხვა ტიპის ავეჯი, თეჯირი, თოჯინა-ხელთათმანები, მარიონეტები, ჩვეულებრივი თოჯინები. ასევე, შეიძლება გქონდეთ სარკეები კედლებზე, რათა ბავშვებმა შეძლონ საკუთარ და ერთმანეთის გამოსახულებებზე დაკვირვება.

საჭირო ხესუხი

3 წლამდე ბავშვებისთვის დრამის გათამაშებისთვის საჭირო უნარების განსავითარებლად მათ უნდა ჰქონდეთ წარმოსახვით თამაშებში ჩართვის საშუალება - თოჯინები, მანქანები, სათამაშო სახლი, ჭურჭელი, თოჯინა-ხელთათმანები. ეს ის მასალაა, რომელიც უფროსს აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიაღებინოს ბავშვს გათამაშებაში, თავად ბავშვს კი წაახალისებს, მოირგოს როლი და გაჰყვეს თამაშს. ამისთვის შესაძლოა, დაგჭირდეთ ბავშვის ზომის ავეჯი - სათამაშო სამზარეულო, სათამაშო დახლი ან სხვა ატრიბუტიკა; ასევე - დასურათებული წიგნები, რათა ბავშვებს საშუალება ჰქონდეთ, დაათვალიერონ ილუსტრაციები, განასახიერონ პერსონაჟები, მიბაძონ მათ ხმით, მოძრაობით და ა.შ.

3 წლის შემდეგ

ასაკის მატებასთან ერთად ვითარდება ბავშვების წარმოსახვის უნარი, შესაბამისად, მისი განვითარების ხელშესაწყობად უფრო და უფრო მეტი მასალა გვჭირდება - სხვადასხვა სეზონის, ზომის ტანსაცმელი, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ტანსაცმელი, ნიღბები, აქსესუარები, ნამდვილი ნივთები ან ბუტაფორია და ა.შ.; აგრეთვე - დისკები ზღაპრების, მუსიკის ჩანაწერებით, რომლებსაც ბავშვები სპექტაკლებისთვის გამოიყენებენ. თუ უმცროს ასაკში მხოლოდ მათთვის ნაცნობი და უშუალოდ განცდილი სიტუაციების შესაბამისი რეკვიზიტები გვჭირდება, ახლა უკვე ახალ, უცხო, უცნაურ, სადღაც გაგონილ და ნანახი ამბებთან დაკავშირებული რეკვიზიტებიც შეიძლება შევიტანოთ.

უფროსის სტატეგიები

დრამატული თამაშის ხელშესაწყობად უფროსის მხრიდან, უპირველესად, მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა და ბავშვის წახალისება, რომ მან გარემოში არსებული რესურსი თავისუფლად გამოიყენოს, მოსინჯოს, აღმოაჩინოს, ითამაშოს. ადრეული ასაკის ბავშვი თავდაპირველად მარტო თამაშობს, ეცნობა ნივთებს, იმეორებს უფროსების მოქმედებებს. მოგვიანებით ბავშვი სოციოდრამატულ აქტივობაში ერთვება - ცდილობს, ნაცნობი, რეალური სიუჟეტები გაითამაშოს. ამ ეტაპზეც უფროსის მხრიდან მას სჭირდება მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი გარემო, რომელიც წახალისებს ბავშვს და უბიძგებს თამაშისკენ. ბავშვის ზრდის კვალობაზე თამაში უფრო კომპლექსური ხდება და ნაცნობი მოქმედებების გამეორებასთან ერთად ბავშვი იწყებს საკუთარი იდეების ჩართვას თამაშის პროცესში. ის ამ დროს საკუთარ ფანტაზიას, წარმოსახვას მიმართავს. უფროსი კი აკვირდება ბავშვის თამაშს, შეაქვს ახალი ატრიბუტები, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერთვება სიტყვიერი მინიშნებით, ან - როგორც მოთამაშე, იმისთვის, რომ ახალი იდეები შესთავაზოს, თამაში გაამრავალფეროვნოს და გაახანგრძლივოს, ან საამისოდ სასურველი ქცევის მოდელირება გამოიყენოს. დრამატული თამაშის ხელშეწყობას უფროსი დროდადრო, ასევე, კონკრეტული აქტივობების დაგეგმვითა და შეთავაზებით შეძლებს.

3 წლამდე

წახალისეთ ბავშვები თამაშში მონაწილეობის მისაღებად; აღწერეთ ის მოქმედება, რომელსაც ბავშვი ან თქვენ განახორციელებთ; გაახმოვანეთ ემოცია. გამოიყენეთ დასურათებული წიგნები, აღწერეთ ილუსტრაციები, მიეცით ბავშვებს საშუალება, გაახმოვანონ წიგნის პერსონაჟები, ან მიბადონ მათ მოძრაობით. კითხვისას გამოიყენეთ თოჯინა-ხელთათმანები და მათი დახმარებით გააცოცხლეთ პერსონაჟები.

3 წლის შემდეგ

წახალისეთ ბავშვები დრამატულ თამაშში ჩასართავად, რომ მიმიკებით, სხეულის მოძრაობით გადმოსცენ სხვადასხვა ემოცია; შეიტანეთ ჯგუფში თოჯინა-ხელთათმანები, ნიღბები ან კოსტიუმები და წახალისეთ ბავშვები, განასახიერონ წაკითხული ისტორიები, თავად დაამზადონ რეკვიზიტები როლური თამაშებისთვის, კოსტიუმები, ნიღბები, მარიონეტები - წარმოდგენებისთვის და ა.შ.; მოიგონონ ამბები, რომლებსაც მერე განასახიერებენ; მოიმარაგეთ ფურცელი, კალამი და ჩაიწერეთ მათ მიერ მოთხრობილი ისტორიები. შეგიძლიათ, მისცეთ სტიმული ამბის შესათხზავად - ჩაყარეთ ტომარაში სხვადასხვა ნივთი და სათითაოდ ამოაღებინეთ ისინი ბავშვებს, თან სთხოვეთ, მოიგონონ ამბავი თითოეულ მათგანზე.

ხელოვნების აქტივობები

ვიზუალური ხელოვნება

3 წლამდე

▶ თითით ხატვა

ამ აქტივობისთვის დაგჭირდებათ თითით სახატავი საღებავი, რომელიც შეგიძლიათ, თავად დაამზადოთ.

თითით სახატავი საღებავი სახამებლით:

საჭირო მასალა: 3 კოვზი შაქარი, 1/2 კოვზი მარილი, 2 ჭიქა წყალი, 1/2 ჭიქა კარტოფილის ან სიმინდის სახამებელი, სხვადასხვა ფერის საკვები საღებავი.

მომზადების წესი: პატარა ქვაბში შეურიეთ ინგრედიენტები (საღებავის გარდა), დადგით ცეცხლზე და ოდნავ შეათბეთ, თან გამუდმებით ურიეთ ოდნავ გასქელებამდე. გადმოდგით ცეცხლიდან, გააციეთ, გაანაწილეთ ქილებში და შეურიეთ საკვები საღებავი. ასეთი საღებავი შეგიძლიათ, თავდახურული ჭურჭლით შეინახოთ მაცივარში ერთი კვირის განმავლობაში.

მრავალფეროვნებისთვის საღებავის მომზადებისას შეიძლება ვანილის ან პიტნის წვეთების დამატება - ასე თითით ხატვა ბავშვებისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო გახდება. ამავე საღებავით ბავშვებს შეუძლიათ, მსხვილი ფუნჯის გამოყენებითაც ხატონ.

თითით სახატავი საღებავი საპარსი ქაფით:

საჭირო მასალა: საპარსი ქაფი, საკვები საღებავი
მომზადების წესი: მოათავსეთ საპარსი ქაფი რამდენიმე ჯამში და დაუმატეთ სხვადასხვა ფერის საკვები საღებავი. წაახალისეთ ბავშვები, ფერადი საპარსი ქაფი ფურცელზე თითით გადაიტანონ.






► ფაქტურიანი საღებავით ხატვა

საჭირო მასალა: გუაში საღებავი, პატარა ჯამები, მარილი, სიმინდის ფქვილი, შვრიის ფანტელები („ჭერკულესი“), ხის ნახერხი, პანანინა მბრწყინავი ნამცეცები, ქვიშა, დაკუნული ქალაღდი, თხევადი საპონი, სქელი თეთრი ქალაღდი.

გადმოიღეთ ოთხი ფერის გუაშის საღებავი პატარა ჯამებში; ცალკე ჯამებში მოათავსეთ ზემოთ მოცემული მასალისგან დამზადებული მასა (თითო ჯერზე 4 ფერი საკმარისი იქნება). შესთავაზეთ ბავშვებს, შეურიონ თითოეულ ჯამში მოთავსებული მასა თითო ფერს და შემდეგ ფუნჯით ხატონ ფურცელზე.



► მარილიანი ცომით „ძერწვა“

ფერადი ცომით თამაში ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობაა. ამ დროს მათ წვრილი მოტორიკა და სენსორული უნარები უვითარდებათ. შეგიძლიათ, თავად დაამზადოთ საძერწი ცომი ქვემოთ მოცემული რეცეპტის გამოყენებით.

- ცომი სუფრის მარილით - საჭირო მასალა: 2 ჭიქა ფქვილი, 1/2 ჭიქა წმინდა მარილი, 1/2 კოვზი ზეთი, 1/2 ჭიქა წყალი, საკვები საღებავი
- ცომი მსხვილი მარილით - საჭირო მასალა: 2 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა მსხვილი მარილი, 1/2 კოვზი ზეთი, 1/2 ჭიქა წყალი, საკვები საღებავი
- სიმინდის ფქვილის ცომი - საჭირო მასალა: 2 ჭიქა სიმინდის ფქვილი, 1 ჭიქა წყალი, საკვები საღებავი.

მომზადების წესი სამივე რეცეპტის შემთხვევაში შემდეგია: შეურიეთ ერთმანეთს მშრალი ინგრედიენტები, დაუმატეთ წყალი, ზეთი და მოზილეთ ცომი ისე, რომ თითებზე აღარ გეკვრებოდეთ. დაყავით მასა გუნდებად, თითოეულს გაუკეთეთ თითით ჩაღრმავება და კოვზით ჩაასხით წყალში გახსნილი საკვები საღებავის ფხვნილი. ზილეთ ცომი, სანამ საღებავი მთლიანად არ შეერევა. საღებავთან ერთად შეგიძლიათ, ცომის გუნდებს შეურიოთ საკვები მბრწყინავი ნამცეცები (იყიდება საკონდიტრო ნაწარმის მაღაზიებში), სუნელი (დაფქული დარიჩინი, მიხაკი, ვანილი და ა.შ.).

- „მოხარული“ ქათქათა ცომი - საჭირო მასალა: 2 ჭიქა საკვები სოდა, 1 ჭიქა სახამებელი, 1½ ჭიქა წყალი, 1 კოვზი ზეთი


მომზადების წესი: შეურიეთ ინგრედიენტები ერთმანეთს, დადგით ნელ ცეცხლზე და ურიეთ, რომ არ მიიწვას, სანამ წყალი არ დაშრება და ერთგვაროვან მასას არ მიიღებთ.

ფერადი ცომით თამაშისას ბავშვებმა შესაძლოა, გამოიყენონ საძერწი ფორმები, ბლავგი საჭრელი დანები ფორმების გამოსაჭრელად.

► **ფერადი ნაკვალევი**

საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები, მარკერი, ფლომასტერი (3 განსხვავებული ფერი), ნებოვანი ლენტის, თეთრი ქაღალდი

სამი ცალი სხვადასხვა ფერის ფანქარი, მარკერი, ფლომასტერი ნებოვანი ლენტით ერთ კონად შეკარით. ნაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ, როგორ კვალს ტოვებს სამი განსხვავებული სახატავი საშუალება.



► **აბსტრაქცია პიპეტით**

საჭირო მასალა: პლასტმასის ან რეზინის პიპეტი, საკვები საღებავი, წყალი, სქელი ფურცელი

საკვები საღებავი გახსენით წყალში, მაგიდაზე მოათავსეთ სქელი ფურცელი, გაავსეთ საღებავით პიპეტი და მიეცით ბავშვს. თავდაპირველად შეგიძლიათ, თქვენ თვითონ აჩვენოთ მაგალითი, მოუჭიროთ ხელი პიპეტს და დააკვირდეთ, როგორ დაიფარება თეთრი ფურცელი ფერადი ლაქებით.

► ხატვა სხვადასხვანაირ ფურცლებზე

საჭირო მასალა: ფერადი ფურცელი, გაზეთის, ჟურნალის ქაღალდი, სხვადასხვა სახის სახატავი საშუალება (მსხვილი ფერადი ფანქრები, ფერადი მარკერები ან ფერადი ფლომასტერი, გუაშის საღებავი, ფუნჯი)

შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი სახატავად. ბავშვებს მოსწონთ იმაზე დაკვირვება, ერთი და იგივე სახატავი საშუალება სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდზე განსხვავებულ კვალს რომ ტოვებს.

► კოლაჟი


საჭირო მასალა: ფერადი ფურცლები, თეთრი ფურცელი, წებო

თავდაპირველად ბავშვებს მიეცით საშუალება, დახიონ, დააქუცმაცონ ფერადი ფურცლები. შემდეგ შესთავაზეთ, დაანებონ ისინი თეთრ ქაღალდზე საკუთარი გემოვნების შესაბამისად.

► ხის კუბების ანაბეჭდები

საჭირო მასალა: სხვადასხვა ფორმის ხის კუბები, გუაშის საღებავი, ერთჯერადი თეფში, თეთრი ქაღალდი

ერთჯერად თეფშზე მოათავსეთ გუაშის საღებავი; წაახალისეთ ბავშვი, ხის კუბის ერთი მხარე საღებავში ჩაყოს და დააკვირდეს, როგორ კვალს დატოვებს ის თეთრ ფურცელზე.



► ხელნაკეთი შტამპებით ბეჭდვა

საჭირო მასალა: ხის მართკუთხა კუბები ან ქაფქლასტის ფირფიტები (ასევე გამოდგება სქელი მუყაო), სხვადასხვა სახის მასალა - ლილვები, გასაღებები, ხის ჩხირები, თოკი, ფაფუკი მავთულის ღერო, მაქმანები და ა.შ., წებო-ემულსია (ე.წ. თეთრი წებო)


წინასწარ დაამზადეთ ხის შტამპები. ამისათვის დაგჭირდებათ ხის კუბები, ქაფპლასტის ფირფიტები ან სქელი მუყაო. ქაფპლასტისა და მუყაოს ფირფიტები დაჭერით ოთხკუთხედად და დაანებეთ რამდენიმე ფენა ერთმანეთზე, რომ მართკუთხა კუბის ფორმა მიიღოს. მიღებულ კუბებზე უნდა დააწებოთ ზემოთ ჩამოთვლილი მასალები, საგნები და დაელოდოთ გაშრობას.

შტამპების გამოსაყენებლად ერთჯერად თეფშებზე მოათავსეთ გუაშის საღებავი; წაახალისეთ ბავშვები, დაასველონ შტამპის ზედაპირი საღებავში და დაიტანონ ფურცელზე მისი ანაბეჭდი.

► გეომეტრიული ფორმების ტრაფარეტი

საჭირო მასალა: სქელი ქაღალდი, ქაღალდის საჭრელი საკანცელარიო დანა, პლასტმასის დაფა, გუაშის საღებავი, ღრუბელი, ერთჯერადი თეფში

ბავშვებთან ტრაფარეტის გამოსაყენებლად საგანგებოდ უნდა მოემზადოთ. მოიმარაგეთ სქელი ქაღალდი. თითოეულ ფურცელზე დახატეთ მარტივი გეომეტრიული ფორმები - წრე, ოთხკუთხედი, სამკუთხედი ან სხვა მარტივი ფიგურები - გული, ვარსკვლავი, ფოთოლი, ყვავილი და ა.შ. ნახატი ფურცელზე მხოლოდ კონტურის სახით უნდა იყოს დატანილი. მოათავსეთ ფურცელი პლასტმასის დაფაზე და ამოჭერით კონტური საკანცელარიო დანით. მიღებული მზა ტრაფარეტი უკვე შეგიძლიათ, ბავშვებთან გამოიყენოთ. მაგიდაზე მოათავსეთ ერთჯერადი თეფშები სხვადასხვა ფერის გუაშის საღებავებით, რომლებსაც თავ-თავისი ღრუბელი ექნება. თეთრ ფურცელზე დაადეთ გამზადებული ტრაფარეტი და წაახალისეთ ბავშვები, საღებავი ფურცელზე ღრუბლით დაიტანონ. როცა მთლიანად დაფარავენ, ტრაფარეტი ნელ-ნელა აიღეთ.



3 წლის შემდეგ

▶ ხატვა წებოზე

საჭირო მასალა: მუქი ფერის ფორმატი (ყავისფერი, ლურჯი ან შავი), წებო-ემულსია პლასტმასის ბოთლში, ქვიშა, მბრწყინავი ნამცეცები ან პასტელის ნაფშხვენები


თითოეული ბავშვისთვის მაგიდაზე მოათავსეთ ფერადი ფორმატის ნაჭერი, წებო-ემულსია ბოთლით; უთხარით მათ, წებო-ემულსიის გამოყენებით (ოდნავ მოუჭირონ ბოთლს, რომ წებო ნელა გადმოვიდეს და სასურველი კონტური მიიღონ) შეასრულონ რაიმე კომპოზიცია, შემდეგ კი ნახატს მოაყარონ ქვიშა, მბრწყინავი ნამცეცები ან პასტელის ნაფშხვენები და გაშრობას დაელოდონ.



▶ ცელოფანზე ხატვა

საჭირო მასალა: შესაფუთი გამჭვირვალე ცელოფანი, გუაშის ან აკრილის საღებავი, ფუნჯი

დაამაგრეთ გამჭვირვალე ცელოფანი კედელზე ან მაგიდის ფეხებზე, ან შეგიძლიათ, ორი სკამი ერთმანეთის მოშორებით დადგათ და ცელოფანი მათზე გადააკრათ. წაახალისეთ ბავშვები, ხატონ გამჭვირვალე ცელოფანზე ფერადი საღებავებით.




► თიხით ძერწვა

საჭირო მასალა: ბუნებრივი თიხა, ტოტები, ფოთლები, სხვადასხვა ბუნებრივი მასალა

მოიმარაგეთ ბუნებრივი თიხა (რომელიც საუკეთესო საძერწი მასალაა ბავშვებისთვის), ბუნებრივი მასალები, წყლიანი ჯამი ხელის დასასველებლად, ხის დაფა სამუშაოდ, ქსოვილის ნაჭერი ხელის გასაწმენდად.

მაგიდაზე დააწყვეთ ხის ზედაპირები, თიხის გუნდა, წყლიანი ჯამი, ბუნებრივი მასალები. შეგიძლიათ, წინასწარ გაამზადოთ ბარათები, სადაც ეწერება სიტყვები შესაბამისი ვიზუალური გამოსახულებით, მაგალითად: „გემი“, „ჩაიდანის“, „ქალაქი“ და ა.შ. წაახალისეთ ბავშვები, აირჩიონ ბარათები და შემდეგ მოცემული მასალით შექმნან მათი შესაბამისი კომპოზიციები. თუმცა, ასევე, შესაძლებელია, ბავშვებმა საკუთარი სურვილისამებრ მოიფიქრონ თემები და დაამზადონ შესატყვისი კომპოზიციები.




თუ ბუნებრივი თიხას ვერ იშოვით, ყოველთვის შეგიძლიათ, ჩაანაცვლოთ ის პლასტილინით ან მარილიანი ცომით.

► აბსტრაქტული ქანდაკებები თავისუფალი ნაწილებით

საჭირო მასალა: ყველანაირი მეორადი მასალა, რის შერეობაზეც კი შესაძლებელია: სამზარეულოს ქაღალდის მუყაოს ცილინდრები, ძველი დაშლილი ნივთების ნაწილები, კვერცხის კონტეინერები, პლასტმასის ბოთლების სახურავები და ა.შ., ნებო-ემულსია, ნებოვანი ლენტის, სტეპლერი

მოათავსეთ მეორადი მასალა მაგიდაზე. თითოეულ ბავშვს გამოუყავით მაგიდასთან სამუშაო სივრცე; უთხარით, თავისუფლად გამოიყენონ მასალები და დაამზადონ კონკრეტული ნივთები, ან, უბრალოდ, აბსტრაქტული ქანდაკებები.



► **პაპიემაშე**

საჭირო მასალა: ჯამი, ძველი ჟურნალ-გაზეთები ან ნებისმიერი მეორადი ქაღალდი, პურის ფქვილისგან მომზადებული წებო, მუშაობა მაგიდაზე გადასაფარებლად

„პაპიემაშე“ ფრანგული სიტყვაა და „დაღეჭილ ქაღალდს“ ნიშნავს. ასეთი ქაღალდით ბავშვებთან ერთად მრავალნაირი ნაკეთობის დამზადება შეიძლება. თავდაპირველად მოამზადეთ პურის ფქვილისგან წებო შემდეგი რეცეპტით: ¼ ჭიქა ფქვილი, ნახევარი ჩ/კ მარილი გახსენით წყალში, დადგით ნელ ცეცხლზე და ურიეთ, სანამ დულილს არ დაიწყებს; გადმოდგით და გააცივეთ. შეგიძლიათ, წებო შეინახოთ მაცივარში თავდახურული ქურჭლით 1 კვირის განმავლობაში.

ბავშვებს შესთავაზეთ, დახიონ მეორადი ქაღალდი 5-6 სმ სიგრძისა და 1 სმ სისქის ზოლებად. წებო ფართო ჯამში ჩაასხით; ბავშვებს უთხარით, ქაღალდის ზოლები დაასველონ და კარკასზე დაიტანონ. კარკასად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა რამ. თუ სფეროს ფორმის ნაკეთობის დამზადება სურთ, კარკასად გამოდგება გაბერილი ბუშტი - მასზე 3-4 ფენად უნდა დაანებონ ქაღალდის ზოლები. ასე შეიძლება დამზადდეს მრგვალი ფორმის ხილიც (ამ შემთხვევაში ბუშტს ძალიან არ გაგებრავთ), საზამთრო, ნესვი, ასევე, „პუტკუნა“ ცხოველები ან ნებისმიერი რამ, რასაც ბავშვები მოიფიქრებენ.

ზოგ შემთხვევაში კარკასად შესაძლოა, თავად დაჭმუჭნილი ქაღალდი გამოვიყენოთ. დავასველოთ ის წებოში, სველ ქაღალდს სასურველი ფორმა მივცეთ და შემდეგ ერთი ფენა ზოლებით დავფაროთ, გავაშროთ და შევლებოთ გუაშის საღებავით. ამ მეთოდით შეიძლება დამზადდეს თოჯინები - ქაღალდი უნდა დაიჭმუჭნოს თოჯინას

სხეულის ნაწილების ფორმის შესაბამისად. ეს ნაწილები ერთმანეთზე უნდა მივამაგროთ ნებოში დასველებული ქალადის ზოლების გამოყენებით, გაშრობის შემდეგ კი ისინი გუაში უნდა მოიხატოს და ქსოვილის ნაჭრებით გაფორმდეს. ამავე მეთოდით მზადდება ცხოველებისა და ფრინველების ფიგურები, სათამაშო საჭმელი და სხვა ნებისმიერი ნაკეთობა. მთავარია, ბავშვს საშუალება მივცეთ, მოიფიქროს, რა ნაწილებად შეიძლება დაიშალოს ესა თუ ის ფიგურა.

► **თოჯინები**

საჭირო მასალა:

წინდის თოჯინები - წინდა, ღილები, ბამბა გასატენად

ცელოფნის თოჯინები - ცელოფანი, ბამბა, პერმანენტული მარკერი

ბუნებრივი მასალებისგან დამზადებული თოჯინები - ხის ტოტები, ხის გადანაჭრები, ნებო- ემულსია

დამზადების წესი: წინდის ან ცელოფნის თოჯინების დამზადების პრინციპი ერთი და იგივეა. ბავშვები უნდა წავახალისოთ, წინდა ან ცელოფნის პაკეტი ბამბით გამოტენონ; წინდაზე სახის ნაკვეთებად დაამაგრონ ღილები, ხოლო ცელოფანზე მარკერით დაახატონ; ბუნებრივი მასალებით კი, უბრალოდ, უნდა ააწყონ სასურველი დიზაინის თოჯინა და ნაწილები ერთმანეთზე ნებოთი მიამაგრონ.

► **ნახატებიანი წიგნი**

საჭირო მასალა: სახატავი ფურცლები, სახატავი საშუალებები (ფერადი ფანქრები, გუაში, ნებისმიერი მასალა, რომლით ხატვაც ბავშვებს სიამოვნებთ), მაკრატელი, ნებო, მუყაო

დამზადების წესი: ბავშვებთან ერთად წინასწარ მოიფიქრეთ ამბავი, რომლის შესახებაც იქნება წიგნი. შემდეგ ეს ამბავი დაყავით ეპიზოდებად და ბავშვებს შესთავაზეთ, თითოეული ეპიზოდის შინაარსი ნახატებით გადმოსცენ. დაბეჭდეთ ტექსტი ან გაამზადეთ ხელნაწერი. წინასწარ აკინძეთ წიგნის ფურცლები, ბავშვებთან ერთად გაანაწილეთ ნახატებისა და ტექსტის მდებარეობა; დაანებეთ ნახატები და ტექსტის ბლოკები შერჩეულ ადგილას. ურჩიეთ ბავშვებს, მოიფიქრონ ყდის დიზაინიც. სათაური თქვენ დაანერეთ, ან აქაც ნაბეჭდი ტექსტი გამოიყენეთ. ყდა მუყაოზე დაანებეთ და აკინძულ წიგნს დაუმაგრეთ.


► **„ავტოპორტრეტი სარკეში“**

საჭირო მასალა: ნებისმიერი მასალა, რომლით ხატვაც ბავშვებს სიამოვნებთ, მაგიდაზე დასადგმელი სარკე, საქსოვი ძაფები, ქსოვილები, ნებო

წინასწარ გაამზადეთ თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური სახატავი საშუალებები და სარკე მაგიდაზე. წაახალისეთ, დააკვირდნენ საკუთარ სახეს, ნაკვეთებს და ისე დახატონ; შესაძლებელია, ხატვის შემდეგ მოუნდეთ ნამუშევრის გაფორმება საქსოვი ძაფებით ან ფერადი ქსოვილებით.

► **ქსოვა**

საჭირო მასალა: მუყაოს ყუთი, ბამბის სქელი ძაფი, საქსოვი ძაფები, ლენტები, ქსოვილის ნაჭრები, ბალახი, ღეროებიანი ყვავილები, მაკრატელი



ვიდრე ბავშვები ქსოვას დაიწყებენ, წინასწარ გაამზადეთ „საქსოვი დაზგა“. დახვრიტეთ მუყაოს ყუთი, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა, და გააბით ბამბის სქელი ძაფი. საქსოვად შეიძლება გამოიყენონ როგორც საქსოვი ძაფი, ასევე ლენტები, ერთმანეთზე გადაბმული ქსოვილის ნაჭრები, ბალახი და ა.შ.

მუსიკა

3 წლამდე

► მუსიკალური ბოთლები

საჭირო მასალა: პლასტმასის ცარიელი ბოთლები ხრახნიანი სახურავებით, სხვადასხვა სახის მარცვლეული - წინიბურა, მუხუდო, ბრინჯი, ბარდა, ხორბალი; ასევე, სხვა მასალები - მარილი, ქვიშა, წვრილი კენჭები.

წინასწარ დაამზადეთ პლასტმასის ბოთლების გამოყენებით საჩხარუნოები. თითოეული სახის მასალა ცალკე ბოთლში მოათავსეთ, რათა ყოველ მათგანს განსხვავებული ჟღერადობა ჰქონდეს. მიეცით ბავშვებს საშუალება, მოუსმინონ სხვადასხვანაირ ხმებს, რომლებსაც ბოთლები გამოსცემს.

► მუსიკალური ინსტრუმენტები


საჭირო მასალა: სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტები (ნამდვილი ან სათამაშო)

ამ აქტივობისთვის გამოდგება ნებისმიერი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლის მოპოვებასაც შეძლებთ. სულაც არ არის აუცილებელი, მასზე დაკვრა თავად იცოდეთ. უბრალოდ, ააჟღერეთ ეს ინსტრუმენტი, რომ სხვადასხვა ბგერა გამოსცეს. მიეცით ბავშვებსაც საშუალება, შეეხონ ინსტრუმენტს და თავად ააჟღერონ. გაამახვილეთ ყურადღება ბგერების ჟღერადობაზე.

► გიგანტური ქსილოფონი

საჭირო მასალა: სხვადასხვა ზომის ხის ფიცრები, აკრილის საღებავი, ლურსმანი, ჩაქუჩი

წინასწარ მოამზადეთ ხის ქსილოფონი ქვევით მოცემული ნიმუშის მიხედვით, შედგებთ ქსილოფონის ფერებში და ხელი შეუწყვეთ ბავშვებს, ააწყონ რიტმი.



► თავისუფალი ცეკვა


საჭირო მასალა: მუსიკალური ცენტრი, დისკები სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ჩანაწერით

ჩაერთეთ ბავშვებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკა და სთხოვეთ, მუსიკის თანხლებით თავისუფლად იმოძრაონ. თავადაც ჩაერთეთ ცეკვაში და სხვადასხვა ჟანრის მუსიკაზე განსხვავებულად, შესაბამის რიტმში იმოძრავეთ.

► ფერადი ლენტებით ცეკვა

საჭირო მასალა: საშუალო ზომის ხის რგოლები (რომ ბავშვმა მათი ხელში დაჭერა შეძლოს), ფერადი ლენტები, მუსიკალური ცენტრი

წინასწარ დაამზადეთ რგოლებიანი ლენტები - ფერად-ფერადი ლენტები, უბრალოდ, გამოკვანძეთ ხის რგოლებზე, დაურიგეთ ბავშვებს, ჩართეთ სახალისო მუსიკა და წაახალისეთ, იმოძრაონ ლენტებთან ერთად.



► **ცეკვა ჟღარუნებით**

საჭირო მასალა: ჟღარუნები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად, მუსიკალური ცენტრი, დისკი სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ჩანაწერით

მოასმენინეთ ბავშვებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, შესთავაზეთ, მუსიკის ხმას ააყოლონ ჟღარუნების რიტმი, შემდეგ კი ჟღარუნებთან ერთად იცეკვონ.

► **„სხეულის მუსიკა“**

საჭირო მასალა: თქვენი სხეული

თავდაპირველად საკუთარი სხეულის მეშვეობით მოასმენინეთ ბავშვებს სხვადასხვა ხმა, რაც კი შეგიძლიათ გამოსცეთ: ხმამაღლა სიმღერა, ჩურჩულით სიმღერა, ლილინი, პირმოკუმული ლილინი, პირზე ხელაფარებული სიმღერა, ლოყებზე ხელების დატყაპუნება, გაბერილ ლოყებზე ხელების დატყაპუნება, ენის ტკაცუნი, ტაშის დაკვრა, მუშტების საშუალებით ტაშის დაკვრა და ა.შ. თითოეული მუსიკალური რიტმის მოსმენის შემდეგ წაახალისეთ ბავშვები, თავად გაიმეორონ ეს ხმები; თვითონ მოიფიქრონ ხმის გამოცემის სხვა ხერხები.

3 წლის შემდეგ


► **„დააწყვილე ერთნაირი ხმაურები“**

საჭირო მასალა: ასანთის ცარიელი კოლოფები, სხვადასხვა სახის მარცვლეული - წინიბურა, მუხუდო, ბრინჯი, ბარდა, ხორბალი; ასევე, სხვა მასალები - მარილი, ქვიშა, წვრილი კენჭები; ფერადი ფურცელი, წებოვანი ლენტები

წინასწარ დაამზადეთ საჩხარუნოები ასანთის კოლოფების გამოყენებით. თითოეული სახის მასალა ცალკეულ ასანთის კოლოფებში მოათავსეთ, რათა ყოველ მათგანს განსხვავებული ზღერადობა ჰქონდეს. მიეცით ბავშვებს საშუალება, მოუსმინონ სხვადასხვანაირ ხმებს, რომლებსაც კოლოფები გამოსცემს.

► **ფერადი სტიკერების „მუსიკა“**

საჭირო მასალა: ფერადი ბარათები ან ფერადი სტიკერები, მუყაოს ქაღალდის ზოლი, ქსილოფონი



თითოეული ბავშვისთვის წინასწარ გაამზადეთ ინდივიდუალური ფერადი ბარათები, რომლებიც ქსილოფონის ფერებს უნდა შეესაბამებოდეს. დაურიგეთ ისინი ბავშვებს და წაახალისეთ, ქალაქის ზოლზე საკუთარი სურვილისამებრ დაალაგონ. მერე კი ქსილოფონის კლავიშები ბარათების ფერების შესაბამისი თანმიმდევრობით ააჟღერონ.


► ხელნაკეთი ინსტრუმენტები

საჭირო მასალა:

მარაკასისთვის - ცარიელი პლასტმასის ბოთლები, ლობიოს, ბრინჯის, წინიბურას მარცვლები


წაახალისეთ ბავშვები, პლასტმასის ცარიელ ბოთლებში ჩაყარონ მარცვლეული და სახურავი მჭიდროდ მოუჭირონ. დაეხმარეთ, რომ გააფორმონ მარაკასი ფერადი ქალაქით ან სტიკერებით.

დოლისთვის - თუნუქის ცარიელი ქილა, ბუშტი



ბუშტს მოაჭერით ის ნაწილი, საიდანაც იბერება. დაეხმარეთ ბავშვებს, ცარიელ თუნუქის ქილაზე ბუშტი ისე ჩამოაცვან, რომ დოლივით გადაჭიმული ზედაპირი მიიღონ. ასეთ დოლზე შესაძლებელია ხელით ან ხის კოვზებით დაკვრა.

გიტარისთვის - პლასტმასის თეფში ან მუყაოს ცარიელი ყუთი (წვენი ან რძის ყუთი), საკანცელარიო რეზინის რგოლები, მუყაო, წებო



დაეხმარეთ ბავშვებს, წამოაცვან რეზინები პლასტმასის თეფშს ან მუყაოს ყუთს (მუყაოს ყუთს წინასწარ ამოაჭერით წრიული ფორმა გიტარის მსგავსად). წებოთი დაუმაგრეთ გიტარას მუყაოს ტარი.

კასტანიეტები - მუყაოს ნაჭრები, ბოთლის ან ქილის ლითონის სახურავები, ნებო-ემულსია



შეაგროვეთ ბოთლის ან ქილის ლითონის სახურავები. წინასწარ გამზადეთ ბავშვის გაშლილი ცერა და საჩვენებელი თითების ზომის მუყაოს ნაჭრები (იხ. ნახატი). წაახალისეთ ბავშვები, ორად გაკვეთონ ისინი და დაანებონ შიდა მხარეს სახურავები ისე, როგორც ნახატზეა მოცემული. კასტანიეტები უფრო ადვილად მოსახმარი იქნება, თუ მუყაოს რეზინას წამოაცმევთ, რათა ბავშვმა მასში ცერა და საჩვენებელი თითების გაყოფა შეძლოს. სწორედ ამ თითების მოძრაობით უნდა ჟღერდეს კასტანიეტები.

როცა ინსტრუმენტები მზად იქნება, წაახალისეთ ბავშვები, შექმნან სხვადასხვა რიტმი მათი გამოყენებით. ჰკითხეთ, რომელი ინსტრუმენტის ხმა ისმოდა ყველაზე დიდხანს, ყველაზე ცოტა ხანს; შესთავაზეთ, გამოსცენ ხმადაბალი და ხმამაღალი ბგერები, შექმნან ჩქარი და ნელი ტემპის რიტმი. თითოეული ინსტრუმენტის ცალკე მოსინჯვის მერე კი შეეცადონ, ისინი ერთად ააჟღერონ და შექმნან ორკესტრი.

► „ჩქარა, ჩქარა, ნელა“

საჭირო მასალა: არაფერი

დასვით ბავშვები წრეზე; უთხარით, რომ ამ მუსიკალურ თამაშს ჰქვია „ჩქარა, ჩქარა, ნელა“. ასწავლეთ ბავშვებს პირობითი ნიშნები - უთხარით, რომ თქვენ ხართ დირიჟორი. როცა ხელის მტევნებს სწრაფად აამოძრავებთ, ე.ი. ტაში უნდა დაუკრან სწრაფად, ხოლო ნელა მოძრაობის შემთხვევაში - ნელა. ბავშვები იწყებენ ტაშის დაკვრას, თქვენ კი დირიჟორობით ტემპს უცვლით. ამის შემდეგ თავად ბავშვებს შესთავაზეთ დირიჟორობა.

► „პიანო-ფორტე“

საჭირო მასალა: არაფერი

დასვით ბავშვები წრეზე და ასწავლეთ მუსიკალური თამაშის წესი. ბავშვები მღერიან მათთვის საყვარელ სიმღერას (ისეთს, რომელიც ყველამ იცის). თქვენ დირიჟორი ხართ - როცა ხელებს ზევით ასწევთ, ბავშვებმა ხმამაღლა უნდა იმღერონ, როცა ქვევით დასწევთ - ხმადბლა.

► „დაუკარი დაირა“

საჭირო მასალა: დაირა

მოიმარჯვებთ დაირა და წაახალისებთ ბავშვები, იმოდროს დაირის რიტმში. როცა დაირა გაჩერდება, ბავშვები უნდა გაშეშდნენ. შეეცადეთ, დაირით სხვადასხვა რიტმი შექმნათ, ოღონდ ის არ უნდა იყოს ძალიან რთული, რომ ბავშვებმა ფეხის აყოლება შეძლონ. ჩვეულებრივი სიარულის შემდეგ შესაძლებელია, ყოველ ბავშვს თანმიმდევრობით მისცეთ საშუალება, აირჩიოს სიარულის მანერა, ხოლო დანარჩენებმა მიბადონ მას - ფეხისწვერებზე სიარული, ბაჭბაჭი, ჩაცუცქული სიარული, ხელგამლილი სიარული და ა.შ.

► „აბდაუბდა“ ცეკვა

საჭირო მასალა: სხვადასხვა ჟანრის ცეკვების ვიდეოჩანაწერები - ხალხური ცეკვები, ბალეტი, ტანგო, ვალსი, პოლკა, ჰიპჰოპი და ა.შ.

აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა ჟანრის საცეკვაო ნომრების ვიდეოჩანაწერები. თითოეული ჩანაწერის ყურებისას გაამახვილეთ ყურადღება იმ ძირითად პოზიციებზე ან ილეთებზე, რომლებსაც ამა თუ იმ ცეკვისას მოცეკვავეები იყენებენ. წაახალისეთ ბავშვები, იმოდროს მუსიკის თანხლებით, შეცვალონ პოზიციები - მაგალითად, ჰიპჰოპის მუსიკაზე ბალეტის ილეთები გამოიყენონ, ბალეტის მუსიკაზე - ტანგოსი და ა.შ.

► ზღაპარი ცეკვით

საჭირო მასალა: საბავშვო წიგნი სახალისო ზღაპრებით

წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი, დაუსვით ღია შეკითხვები პერსონაჟებთან დაკავშირებით; ამის შემდეგ წაახალისეთ, განასახიერონ ზღაპრის პერსონაჟები ცეკვით, გამოხატონ მათი განცდები და ემოციები სხეულის მოძრაობით.

► ცხოველების ანსამბლი

საჭირო მასალა: სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, ცხოველების მოძრაობის ამსახველი ვიდეოჩანაწერები


თავდაპირველად აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა ცხოველის მოძრაობის ამსახველი ვიდეოჩანაწერები - დათვების ბაჭბაჭი, ცხენების ჩორითი სიარული, თაგვის ცუნცული და ა.შ. წაახალისეთ, მიბადონ ამ ცხოველებს. შემდეგ მოასმენინეთ სხვადასხვა ჟანრის მუსიკა და შესთავაზეთ, მუსიკის თანხლებით ისე იმოდროს, თითქოს ცხოველები ცეკვავენ.

► „დაბმული“ ცეკვა

საჭირო მასალა: მუსიკალური ცენტრი და დისკი სხვადასხვა ჟანრის მუსიკის ჩანაწერით

შესთავაზეთ ბავშვებს, დადგინდნენ წყვილებად, ერთმანეთისკენ ზურგით. უთხარით, რომ, როცა მუსიკას ჩართავთ, ყურადღებით უნდა იყვნენ, რადგან სხეულის ის ნაწილები, რომლებსაც ხმამაღლა დაასახელებთ, ერთმანეთს არ უნდა მოაშორონ და ისე იცეკვონ. ასე ცეკვა განსაკუთრებით სახალისო იქნება სხვადასხვა ჟანრის მუსიკაზე. შეეცადეთ, სწრაფად ცვალოთ დასახელება სხეულის იმ ნაწილებისა, რომლებითაც ბავშვები ერთმანეთს უნდა „მიეწებონ“. ამით ცეკვა მათში კიდევ უფრო მეტ მხიარულებას გამოიწვევს.

ღამა



3 წლამდე

▶ „გაცოცხლებული“ თოჯინები

საჭირო მასალა: თოჯინა-ხელთათმანები.

მოიმარაგეთ თოჯინა-ხელთათმანები. სასურველია, ისინი განასახიერებდეს ცხოველებს, რომლებიც შეგიძლიათ, გაახმოვანოთ. გაითამაშეთ მარტივი დიალოგი თოჯინების გამოყენებით. თავდაპირველად ცხოველები ერთმანეთს უნდა გაეცნონ: „გამარჯობა, მე ძროხა ვარ, მუუუ!“; „მე კატა ვარ, მიაუუ!“ და ა.შ. წაახალისეთ ბავშვები, მიბაძონ ხმებს, რომლებსაც ცხოველები გამოსცემენ.

▶ ნივთებით თამაში

საჭირო მასალა: სხვადასხვა ნივთი, ჭურჭელი, მანქანები, თოჯინები

წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ, გამოიყენონ ჭურჭელი, დააძინონ თოჯინა, აჭამონ საჭმელი და ა.შ. გაახმოვანეთ მათი მოქმედება.

▶ „ვითომ-ვითომ“

საჭირო მასალა: არაფერი

მოთავსდით ბავშვების პირისპირ, შესთავაზეთ სხვადასხვა მოძრაობა და თან გაახმოვანეთ: „ვითომ-ვითომ ვიძინებ“ - ამ დროს თვალები დახუჭეთ და ხელის მტევნებს ისე ჩამოადეთ თავი, თითქოს ბალიშია; „ვითომ-ვითომ წყალს ვსვამ“ - ხელში დაიჭირეთ წარმოსახვითი ჭიქა და მოსვით წყალი; „ვითომ-ვითომ კბილებს ვიხეხავ“ - წარმოსახვითი ჯაგრისით გაიხეხეთ კბილები და ა.შ.

▶ ბალიშისპირების კოსტიუმები

საჭირო მასალა: ბალიშისპირები, მაკრატელი, პერმანენტული მარკერი

მოიმარაგეთ ბალიშისპირები. ერთ მხარეს ჩაჭერით ისე, რომ ბავშვის თავი გაეტეოს. წაახალისეთ ბავშვები, მოირგონ ბალიშისპირების კოსტიუმები; შეუძლიათ, გააფორმონ ისინი მარკერით და თავად შეთხზან ამბავი, რომელსაც ამ კოსტიუმებით გაითამაშებენ.

▶ სარკის წინ

საჭირო მასალა: არაფერი

სთხოვეთ ბავშვებს, დადგნენ წრეზე. ერთი მონაწილე სხვადასხვანაირად მოძრაობს, დანარჩენებმა კი ეს მოძრაობები უნდა გაიმეორონ.

3 წლის შემდეგ

▶ თამაში ბალიშით

საჭირო მასალა: საშუალო ზომის ბალიშები

წინასწარ მოამზადეთ საშუალო ზომის ბალიშები. წაახალისეთ ბავშვები, დაწყვილდნენ - ერთმა მენყვილემ ბალიში მეორეს უნდა მიანოდოს, მან კი გამოართვას. ამ თამაშში ყველაზე სახალისო თქვენი შემდეგი მითითებებია: „წარმოიდგინეთ, რომ ბალიში ძალიან მძიმეა და ისე გადააწოდეთ“; „ბალიში ძალიან ძვირფასი ნივთია და არ უნდა გატყდეს“; „ბალიში ძალიან მსუბუქია“; „საზიზღრობაა“; „ეკლიანია“; „გახურებული ჭიქაა“; „საყვარელი ლეკვია“; „ყინულის ნაჭერი“ და ა.შ. წაახალისეთ ბავშვები, გაითვალისწინონ ეს მითითებები ბალიშის გადაცემისას.

▶ სპექტაკლი ნიღბებით

საჭირო მასალა: საბავშვო ზღაპარი (ან ამბავი, რომელიც შესაძლოა, ბავშვებმა თავად შექმნან), პაკეტირებული ნიღბები, რომლებიც შეიძლება ბავშვებმა, ზღაპრის პერსონაჟების გარეგნობისა და ხასიათის შესაბამისად, თავად დაამზადონ

შეარჩიეთ ბავშვებთან ერთად ზღაპარი, ან სთხოვეთ მათ ამბის მოფიქრება, თქვენ კი ჩაინერეთ სცენარის სახით. დაეხმარეთ ბავშვებს ამბის შესაბამისი პერსონაჟების ნიღბების დამზადებაში, შემდეგ კი შესთავაზეთ, გამართონ წარმოდგენა ამ ნიღბების გამოყენებით.

▶ „გადაეცი ხმა“

საჭირო მასალა: არაფერი

წაახალისეთ ბავშვები, წრიულად მოთავსდნენ ხალიჩაზე. რომელიმე ბავშვი იწყებს თამაშს - გამოსცემს რაიმე ხმას, მომდევნო ბავშვი იმეორებს, შემდეგი განაგრძობს. ბავშვებმა ხმა, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გაავრცელონ. ასე შემოვივლის ხმა და ბრუნდება ისევ იმ ბავშვთან, რომელმაც დაიწყო. შემდეგ გვერდზე მდგომი იწყებს სხვანაირი ხმით, დანარჩენები თანმიმდევრულად გადასცემენ ერთმანეთს და ა.შ.

▶ „შენელებული კადრი“

საჭირო მასალა: ვიდეორგოლები

აჩვენეთ ბავშვებს ვიდეორგოლი იმის შესახებ, თუ როგორ მოძრაობენ ადამიანები წყალქვეშ ან კოსმოსში. წაახალისეთ, მიბადონ ამ მოძრაობებს, ანუ იმოძრაონ შენელებულად; წარმოიდგინონ, რომ წყალქვეშ არიან, ან კოსმოსში აღმოჩნდნენ, ძალიან მძიმე აბჯარი აცვიათ და ა.შ.

▶ „მარიონეტები“

საჭირო მასალა: არაფერი

შესთავაზეთ ბავშვებს თამაში, უთხარით: „წარმოიდგინეთ, რომ მარიონეტები ხართ და სხეულის ყველა ნაწილზე ძაფი გაქვთ გამობმული. მე ხმამაღლა დავასახელებ

სხეულის ნაწილს, გამოვქაჩავ უხილავ ძაფს, თქვენ კი იმ ძაფს უნდა გამოჰყვეთ“. სხეულის რომელ ნაწილსაც დაასახელებთ, ბავშვებმა ის წინ უნდა წასწიონ და დანარჩენი სხეული „გაიყოლონ“.

► ენის გასატეხები

საჭირო მასალა: ენის გასატეხები

წაუკითხეთ ბავშვებს ენის გასატეხები და წაახალისეთ, რომ გაიმეორონ - ჯერ ძალიან ნელა, შემდეგ საშუალო ტემპში, ძალიან ჩქარა, ძალიან ხმადაბლა, ძალიან ხმამაღლა, ტირილის იმიტაციით, სიცილის იმიტაციით, ბოხ ხმაზე, წვრილ ხმაზე და ა.შ.

► პანტომიმა

საჭირო მასალა: საბავშვო ზღაპარი ან ამბავი

წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი, ისაუბრეთ პერსონაჟებზე, ხელი შეუწყვეთ, გაინაწილონ როლები, გაითამაშონ დიალოგები. შემდეგ შესთავაზეთ, რომ ამბავი მხოლოდ სხეულის მოძრაობით, ჟესტებით, მიმიკებით გადმოსცენ.

თემატუხი მიმართულება წიგნიეხება

ჩას ნიშნავს წიგნიეხება?

თემატუხი მიმართულების განმახტება

ჩას ნიშნავს წიგნიეხება? ტერმინი „წიგნიეხება“ სხვადასხვა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ერთიანობა ცოდნისა, უნარებისა და დამოკიდებულებებისა, რომლებიც შესაძლებელს ხდის ენის ეფექტურ გამოყენებას სწავლისა და კომუნიკაციის მიზნით. ის მოიცავს ასევე კრიტიკულ აზროვნებას, წაკითხულის განხილვას, ანალიზს, შემოქმედებითობას, კომუნიკაციასა და არგუმენტირებულ მსჯელობას.

ჩას ნიშნავს წიგნიეხება ადრეულ ასაკში? წიგნიეხება ბავშვის განვითარების სტანდარტების შესახებ არსებული დოკუმენტის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც განსაზღვრავს ბავშვისათვის მხატვრული ლიტერატურის, წიგნების მიმართ პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას და სიამოვნების მიღებას ამ პროცესში.

წიგნიეხების მიმართულებას მხოლოდ ერთი სტანდარტის შედეგი აქვს: „ბავშვი ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებებით“. ეს, თავისთავად, ნიშნავს, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ბავშვი ხედავდეს წიგნს, როგორც მნიშვნელოვანი სიამოვნების მიღების წყაროს, რაც ამა თუ იმ ასაკში შეიძლება თვალსაჩინო იყოს სხვადასხვა შედეგითა და ინდიკატორით.



3 წლამდე

სულ ადრეულ ასაკში ბავშვი თავისებურად იკვლევს წიგნს, მის ფაქტურას, გემოს, შემდეგ ინტერესით უყურებს ილუსტრაციებს და ცდილობს, გადაფურცლოს გვერდები, სიამოვნებით ისმენს მოკლე ამბებს წიგნებიდან, ვითომ კითხულობს და თითს აყოლებს ნაწერს, წარმოთქვამს ბგერებსა და სიტყვებს.

3 წლის შემდეგ

უფრო მოზრდილ ასაკში ბავშვი მონაწილეობს კითხვის პროცესში, სვამს შეკითხვებს, იმეორებს ნაცნობ ადგილებს, ჰყვება ანალოგიურ ამბებს; ცდილობს, თვითონაც „დაწეროს“ და მოიგონოს რაიმე სახის ისტორიები.



სხვადასხვა უნახის განვითარება და წიგნიერება

ფიზიკური და სენსორული განვითარება

წიგნთან ურთიერთობა ბავშვებში, სხვა უნარებთან ერთად, ავითარებს ნატივ მოტორიკას, თვალისა და ხელის კოორდინაციას. სულ პატარებისათვის წიგნის ხელში დაჭერა, ფურცლების გადაშლა და თითით ჩვენება გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს.

სოციალურ-ემოციური განვითარება

სანამ წიგნის შინაარსის გაგებას დაიწყებენ, ბავშვები წიგნის კითხვის დროს სიამოვნებას იღებენ ნაცნობ უფროსებთან ახლოს ყოფნით, მათი ხმის ტემბრის მოსმენით. წიგნთან ასოცირდება დაცულობის განცდა, რომელსაც უქმნით ბავშვებს საყვარელი წიგნი ძილის წინ. უფრო მოზრდილი ბავშვები იწყებენ წიგნის ნახატებისა და შინაარსის დაკავშირებას გარემოსთან, ნაცნობ ადგილებსა და მოვლენებთან. წიგნები ხშირად ეხმარება მათ, გაიგონ, როგორ მოიქცნენ ამა თუ იმ სიტუაციაში.

შემეცნებითი განვითარება


წიგნები ეხმარება ბავშვებს სამყაროს აღქმასა და უკეთ გაგებაში, ისეთი ახალი ცნებების გააზრებაში, როგორიცაა: მძიმე - მსუბუქი, დიდი - პატარა, რბილი - მაგარი. სურათების აღქმასთან ერთად ბავშვები იწყებენ ისეთი ცნებების გააზრებას, როგორიცაა ზომა, რაოდენობა, სივრცითი მიმართებები: ზემოთ-ქვემოთ, -ში - გარეთ, ქვეშ - -ზე.

კომუნიკაციური უნახების, ენისა და მეტყველების განვითარება

წიგნის კითხვის დროს ბავშვები იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ივითარებენ სამეტყველო უნარებს; სწავლობენ ახალ სიტყვებს საგნების, მოვლენების, ნივთების, გრძნობების აღსანიშნავად. ბავშვებს უყვართ მარტივი ბგერებისა და სიტყვების მოსმენა ნაცნობი წიგნების კითხვისას. „მუუ-მუუ“, - ამბობს ბავშვი, როცა ძროხის სურათზე მივანიშნებთ. ორი-სამი წლის ბავშვები ცდილობენ, გაიმეორონ სიტყვები და ფრაზები, უფრო დიდები ჰყვებიან თავიანთ საყვარელ ეპიზოდებს და აყალიბებენ საკუთარ შეხედულებებს ამა თუ იმ ამბის შესახებ.

დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება

წიგნები შესაბამისი თემატიკით ხელს უწყობს ბავშვებში დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გამოვლენასა და განვითარებას. სხვადასხვა შინაარსის ამბების მოსმენით, ამა თუ იმ სიტუაციის გაცნობით ბავშვები ხვდებიან, როგორ იმოქმედონ სხვადასხვაგვარ გარემოში. ასეთი წიგნები ასწავლიან ბავშვებს ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესებს, სხვადასხვა ნივთის გამოყენებას; ზოგი წიგნი წაახალისებს ბავშვებს, ისწავლონ თასებისა და ღილების შეკვრა და ა.შ.



თემატუხი მიმახთულება წიგნიეხება - ჰიაქტიკაში მისი დანეხვის სცხაგევიები

საჭიხო სიხიცე

წიგნიერების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი სივრცის არსებობა ჯგუფის ოთახში და, შესაძლოა, ეზოშიც. ეს უნდა იყოს მყუდრო, წყნარი, კარგად განათებული ადგილი, სადაც ერთი ან რამდენიმე ბავშვი შეძლებს, კომფორტულად მოთავსდეს და ყურადღებით დაათვალიეროს წიგნები.

3 წლამდე

ჯობს, სულ პატარების სივრცე მთლიანად დაფარული იყოს რბილი იატაკით, რომელზედაც იქნება ბევრი პუფი თუ ბალიში. სულ პატარებისათვის წიგნების გამოფენის კარგი ხერხია ქსოვილის ან გამჭვირვალე პოლიეთილინის ჯიბაკები ან ღია თაროები, სადაც წიგნების ყდები გამოჩნდება.

3 წლიდან

უფროსებისათვის „წიგნიერების კუთხეში“ სიმყუდროვის შექმნა შესაძლებელია რბილი ინვენტარით, პატარა ხალიჩით, პუფებით ან სავარძლებით, დამატებითი განათებითა და მცენარეებით. სასურველია, წიგნები აქაც გამოფენილი იყოს თვალსაჩინოდ, თუმცა, ასევე, შეიძლება წიგნების დადება დაბალ მაგიდაზე ან თაროზე; ყველაზე მარტივი ხერხი კი იქნება კალათაში ან მუყაოს ყუთში ჩაწყობა, თუმცა ამ შემთხვევაში წიგნები კარგად არ გამოჩნდება.

თავდაპირველად შეგიძლიათ, დადოთ მხოლოდ რამდენიმე წიგნი, შემდეგ კი, თანდათანობით, როცა ბავშვები უკვე მიეჩვევიან მათ გამოყენებას, წიგნების რაოდენობა გაზარდოთ. სასურველია, მუდმივად ცვალოთ ან დაამატოთ ახალი წიგნები, რომ ბავშვებს ინტერესი არ გაუნელდეთ, მაგრამ, ასევე მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოთ წიგნები, რომლებიც მათ ძალიან უყვართ.

სასურველია წიგნიერების სივრცეში იყოს პატარა საწერი მაგიდა და საწერი მასალები, გამოაკრათ ანბანი და შტამპები, ხელნაწერი და ბეჭდური ტექსტების ნიმუშები. მნიშვნელოვანია, გარემო გაამდიდროთ სხვადასხვანაირი საწერი საშუალებებით, უჯრებიანი, ცალხაზიანი ფურცლებით და ა.შ.

ასევე, კარგი იქნება, ამ სივრცეში გქონდეთ რაიმე აუდიოსაშუალება, რომლის მეშვეობითაც ბავშვები მოუსმენენ დისკებზე, ფირფიტებზე ან კასეტებზე ჩაწერილ წიგნებს დიდი ყურსასმენების საშუალებით.

წიგნიერების სივრცეში დაგჭირდებათ რეკვიზიტები, რომლებიც წაახალისებს ბავშვებს, უამბონ ერთმანეთს მოთხრობები, ზღაპრები, ისტორიები (ასეთი რეკვიზიტებია თოჯინა-ხელთათმანები, ასევე მაგნიტური და ფლანელის ზღაპრის პერსონაჟები შესაბამისი დაფებით).

წიგნები მხოლოდ ამ სივრცეში არ უნდა იყოს განთავსებული. მათი დალაგება, თემატიკის გათვალისწინებით, სხვადასხვა ადგილას შეიძლება. მაგალითად, წიგნები ოჯახზე შეგიძლიათ, დაამატოთ დრამატული თამაშებისთვის განკუთვნილ სივრცეში; წიგნები ნაგებობების, ფერმის შესახებ - იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ასაწყობი კუბებით თამაშობენ; წიგნები სხვადასხვა ექსპერიმენტზე - მეცნიერების სივრცეში, ხოლო წიგნები ხელოვნებაზე - ხელოვნების ცენტრში.

აუცილებლად მოიმარაგეთ წიგნებიც, რომლებსაც ეზოში ყოფნის დროს წაიკითხავთ, ან ბავშვები სხვადასხვა სახის გარე სივრცეში დაათვალიერებენ.

წიგნების დახვევა, დასვრა და გაფუჭება ჩვეულებრივი ამბავია. ამან არ გაფიქრებინოთ, რომ წიგნები ბავშვებისათვის თავისუფლად ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. ყოველთვის წაახალისეთ ბავშვები, იზრუნონ წიგნებზე და გაუფრთხილდნენ მათ. ამაში საკუთარი მაგალითის ჩვენება დაგეხმარებათ.

გამოიყენეთ მხოლოდ ისეთი წიგნები, რომლებიც კარგ მდგომარეობაშია. ყოველთვის დაანებეთ, გააახლეთ დახეული წიგნები. ამით აჩვენებთ ბავშვებს, რომ წიგნების დახვევა კარგი საქციელი არ არის.

საჭირო ხესუხი

შეარჩიეთ საუკეთესო ხარისხის წიგნები ბავშვების უნარების, მათი განვითარების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. პერიოდულად ცვალეთ და განაახლეთ წიგნები, თუმცა დატოვეთ მათთვის საყვარელი წიგნები ხელახლა წასაკითხად. დაამზადეთ ხელნაკეთი წიგნები თავად ბავშვების ისტორიებით. ბავშვებს ძალიან უყვართ თავიანთი ფოტოების თვალჩინება, თავიანთი ამბების მოსმენა. ასევე, შეგიძლიათ სენსორული წიგნების აკინძვა სხვადასხვა ფაქტურის ქალაღითა და ქსოვილებით.

3 წლამდე

მთლად პატარებს მოსწონთ წიგნები მარტივი ილუსტრაციებით, რომელთა ყდა და ფურცლებიც შეიძლება დაღეჭო. წიგნი უნდა იყოს ქსოვილის, ვინილის ან მუყაოსი. ასეთი წიგნები ადვილად ინმინდება (ირეცხება), იოლად იფურცლება და სიმსუბუქის გამო ხელში დასაჭერად მოსახერხებელია.

სასურველია, წიგნები გაფორმებული იყოს ძლიერ კონტრასტული ფერებით, მარტივი ნახატებით ან ფოტოებით (როცა ერთ გვერდზე მხოლოდ ერთი-ორი საგანია აღბეჭდილი). ასევე, კარგია წიგნები ისეთი ნაწილებით, რომლებიც შეიძლება შეიგრძნო ან ამოძრავო, აქვს ნახვრეტები, მოძრავი ნახატები, სხვადასხვა ტექსტურა.

ილუსტრაციები უნდა ასახავდეს ნაცნობ საგნებს, როგორცაა: ბოთლი, საკვები, ტანსაცმელი, სათამაშოები, შინაური ცხოველები და ადამიანები. ტექსტი უნდა იყოს

იოლად აღსაქმელი და რიტმული, ან შეიძლება საერთოდ არ იყოს.

ბავშვები თანდათანობით იწყებენ წიგნების არჩევას თემის მიხედვით, ინტერესდებიან წიგნებით, რომლებიც გაფორმებულია მათთვის ნაცნობი საგნების, მოვლენების ილუსტრაციებით; ასევე, მოსწონთ წიგნები მარტივი ლექსებით, ფრაზების გამეორებით, უშინაარსო რითმებით.

სულ პატარებისათვის კარგია წიგნები მყარი ფურცლებით (თხელი მუყაო), მარტივი ისტორიებით ბავშვებზე, ცხოველებზე, ოჯახსა და ყოველდღიურ ყოფაზე; ისეთი ილუსტრაციებით, რომლებზე გამოსახული საგნებიც ბავშვმა შეიძლება იცნოს და მიუთითოს, დაასახელოს ან დათვალოს; წიგნები სიმღერების ტექსტებით, ლექსებით, გათვლებით.

ერთი წლიდან ბავშვები იწყებენ ამბის, შინაარსის გაგებას, განსაკუთრებით მოსწონთ ისტორიები ბავშვებზე, ცხოველებზე, რომელთა ყოველდღიური ამბებიც მათსაც ჰგავს. ამ ასაკის ბავშვები ადვილად აიგივებენ საკუთარ თავს პატარა წრუნუნასთან ან ბავშვთან, რომელიც ქოთანზე დაჯდომას სწავლობს.

ასაკის მატებასთან ერთად ბავშვები უკვე სიამოვნებას იღებენ წიგნის კითხვის მთელი პროცესით; მოსწონთ წიგნები, რომლებიც შეიძლება გადაფურცლონ, ილუსტრაციები, რომლებზედაც შეუძლიათ, მიუთითონ და დასვან კითხვები; გაიმეორონ რიტმული ფრაზები, რომლებიც შეიძლება უშინაარსო იყოს.

ბავშვები, რომლებსაც წიგნებს ხშირად უკითხავენ, გამოარჩევენ საყვარელ ნაწარმოებებს, რომელთა ხელახლა წაკითხვასაც ყოველდღიურად ითხოვენ.

ისინი მზად არიან, გაიმეორონ და შეავსონ რითმა ან გამოტოვებული სიტყვა ნაცნობ ფრაზებში. ხანდახან ბავშვები ცდილობენ, „წავიკითხონ“ წიგნი თქვენ, მეგობარს ან თოჯინას, მოჰყვენ და მახსოვრებულ ადგილებს. ზოგი უკვე ბოლომდე ისმენს მოთხრობას, ცდილობს, ჩაერთოს მასთან დაკავშირებულ ინტერაქციაში, რომელსაც უფროსი შესთავაზებს.

კახგი წიგნები სამ წლამდე ბავშვებისათვის:

- წიგნები, რომლებსაც აქვს მარტივი შინაარსი და თითოეულ გვერდზე რამდენიმე სიტყვა წერია;
- წიგნები ოჯახზე, გრძნობებზე, ყოველდღიურობაზე;
- წიგნები, რომლებშიც ილუსტრაცია და შესაბამისი სახელწოდება ერთმანეთთან ახლო-ახლო არის მოთავსებული; ანბანის წიგნები მარტივი ფერადი ილუსტრაციებით;
- წიგნები საყვარელი მოთხრობების, სიმღერების ტექსტებით; თითოეული თამაშის ამსახველი წიგნები, რომლებიც მოითხოვს ბავშვის აყოლასა და ჩართულობას;

- სასაცილო შინაარსის წიგნები;
- წიგნები, რომლებიც წაახალისებს ბავშვებს, იპოვონ და მიუთითონ რომელიმე ნახატი;
- წიგნები, რომლებშიც მოთხრობილია ისტორიები მათზე ან მათ მსგავს ბავშვებზე;
- წიგნები ცხოველებზე;
- წიგნები, რომელთა მოყოლასა და გათამაშებაში ბავშვებს შეუძლიათ, თვითონ მიიღონ მონაწილეობა;
- წიგნები, რომლებიც ეხმარება ბავშვებს, გაერკვნენ საკუთარ გრძნობებში, გაიაზრონ შიში, დაშორება, მღელვარება და სხვა განცდები;
- წიგნები სხვადასხვა პროფესიის პერსონაჟებითა და მათი დამახასიათებელი ატრიბუტებით;
- წიგნები მარტივი ცნებებით - ციფრები, ზომა, ფორმა, ანბანი, ფერი.

3 წლიდან

წიგნები, რომელთა პერსონაჟების ამბები მსგავსია და უკავშირდება ამ ასაკის ბავშვების რეალურ ამბებს, ყოველდღიურობას, ბავშვების ემოციებს, ოჯახს, მეგობრებს, ინტერესებს. თუ ბავშვს ცოტა ხნის წინ შეეძინა და ან ძმა, შეარჩიეთ წიგნი მსგავს ამბებზე; თუ ის გატაცებულია მანქანებით, გამოგადგებათ წიგნი მანქანებზე და ა.შ.;

წიგნები, რომლებიც გააფართოებს ბავშვების თვალსაწიერს და გააცნობს ქვეყნებს, ადამიანებს, ცხოველებსა და მოვლენებს, რომლებიც მათთვის სიახლეა;

წიგნები, რომლებიც ასახავენ ადამიანთა კულტურულ მრავალფეროვნებასა და ინკლუზიას, სხვადასხვა შესაძლებლობის, რასის, კულტურის, სოციალური ფენის ადამიანებისა და ისეთი ოჯახების ისტორიებს, რომლებიც სხვადასხვაგვარი ოჯახური შემადგენლობისაა; ისეთი პროფილის წიგნები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს, გაუგონ ერთმანეთს. მაგალითად, თუკი ჯგუფში არიან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ბავშვები, შეიტანეთ მათი კულტურის ამსახველი ზღაპრები, წიგნები მათ ყოფაზე, რაც ბავშვებს ერთმანეთის გაცნობას გაუადვილებს;

წიგნები, რომელთა კითხვის პროცესშიც ბავშვებს შეუძლიათ, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა; რომლებიც შეიცავენ ბევრ განმეორებით ფრაზას, ასევე, ლექსებს, სიმღერებს; რომლებშიც აღწერილი ან ნახატებით არის ნაჩვენები მოძრაობები, რომლებიც ბავშვებმა შეიძლება გაიმეორონ;

მნიშვნელოვანია, ასევე, მდიდარი ლექსიკური მარაგის შემცველი მხატვრული ლიტერატურის წაკითხვა ბავშვების სამეტყველო უნარების განვითარებისათვის.

უფროსის სტრატეგიები

ნიგნიერების განვითარებისათვის უფროსის ძირითადი როლი, ბავშვებზე დაკვირვებასთან ერთად, მათთან შესაბამის კომუნიკაციაში მდგომარეობს. ზოგ ბავშვს ოჯახში წიგნებთან ხშირად შეხების საშუალება აქვს, ზოგს კი - ნაკლებად. დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვს ყოველდღე წაუკითხეთ გარკვეული მოცულობის ტექსტი, ინდივიდუალურად ან მცირე თუ დიდ ჯგუფში. ქვემოთ მოცემულია პრაქტიკული სტრატეგიები, რომლებიც დაგეხმარებათ, მეტად ჩართოთ პროცესში ბავშვები:

ყურადღებით შეარჩიეთ წიგნი. აირჩიეთ წიგნები, რომლებიც თავადაც მოგწონთ და ფიქრობთ, რომ ბავშვებსაც მოეწონებათ. დარწმუნდით, რომ წიგნის ტექსტი არ არის ძალიან ვრცელი და ის ბავშვებს დააინტერესებს.

კარგად გაეცანით წიგნს, სანამ ბავშვებს წაუკითხავთ. წაიკითხეთ და დაფიქრდით, რომელი სიტყვები შეიძლება იყოს ბავშვებისათვის ახალი, უცხო და როგორ შეიძლება გააცნოთ მათი მნიშვნელობა; ასევე, დაფიქრდით, რა კითხვები შეიძლება დასვით ნახატების შინაარსთან დაკავშირებით.

მოიფიქრეთ წიგნის კითხვის დაწყების მაუნყებელი ნიშანი. შეგიძლიათ, შეარჩიოთ ნაცნობი მელოდია და გადააკეთოთ სიტყვები ისე, ბავშვებმა იცოდნენ, რომ ეს სიმღერა წიგნის კითხვის დროზე მიანიშნებს. შეგიძლიათ, შეარჩიოთ მეზღაპრის ქუდი ან მოსასხამი, რომლებსაც გამოიყენებთ წიგნის კითხვის დროს.

უამბეთ მოთხრობები. თავდაპირველად, წიგნის კითხვის დაწყებამდე, შეიძლება, უბრალოდ, უამბოთ მოთხრობის შინაარსი ან ისაუბროთ მასზე. ასევე, შეგიძლიათ, შეთხზათ უტექსტო წიგნებთან დაკავშირებული ამბები, ან გამოიყენოთ თოჯინები ამბის მოსაყოლად.

გახადეთ კითხვა ინტერაქტიური. შეიტანეთ დრამატული ხელოვნების მარტივი ელემენტები წიგნის კითხვაში - ხმის ტემბრის შეცვლით, ტონის აწვეითა და დაწვეით, მოძრაობების იმიტირებით. ჩართეთ ბავშვები წიგნის შინაარსის თხრობის პროცესში, შეჩერდით და დაელოდეთ მათ კომენტარებს, დასვით კითხვები. აჩვენეთ ბავშვებს ილუსტრაციები. გამოიყენეთ ვიზუალური ხერხები წაკითხულის გასათამაშებლად (თოჯინა-ხელთათმანები, პერსონაჟების სურათები ან სხვა ტიპის რეკვიზიტი). პერიოდულად გააყოლეთ თითო ტექსტის სტრიქონებს. მიეცით ბავშვებს საშუალება, „გადახტენ“ თავიანთ საყვარელ გვერდზე ან ილუსტრაციაზე. წაახალისეთ, გაიმეორონ, წაიმღერონ ფრაზა წიგნიდან; მიუთითეთ წიგნის დასასრულზე და ჰკითხეთ, როგორ დაასრულებდნენ თავად ამ ისტორიას.

მიჰყევით ბავშვებს. მზად იყავით, შეჩერდეთ, როცა ხედავთ, რომ ბავშვებს ინტერესი გაუნელდათ. ნუ აიძულებთ მათ, ისხდნენ გაუნძრევლად, როცა თქვენ კითხულობთ; მიეცით საშუალება, წამოწვენ ხალიჩაზე, მოკალათდნენ პუფზე, შეიცვალონ პოზიციები, ისე, რომ ხელი არ შეუშალონ სხვებს.

წაიკითხეთ ბევრჯერ. თუკი ბავშვებს მოსწონთ ან სურთ, წაიკითხეთ ერთი და იგივე

წიგნი ბევრჯერ. ბავშვებს ძალიან უყვართ საყვარელი ნაწარმოებების ხშირად მოსმენა.

დაუკავშირეთ წიგნები ბავშვების ყოველდღიურ ამბებს და, ზოგადად, ყოფას.

თუ გიჭირთ ბავშვის დამშვიდება ძილის წინ, გამოიყენეთ შესაფერისი შინაარსის ზღაპარი; თუ გსურთ, წაახალისოთ ბავშვებში დამოუკიდებლად ჩაცმის ჩვევა, ასევე გამოიყენეთ შესაბამისი შინაარსის მქონე ამბავი.

მიეცით ბავშვებს საშუალება, გაუზიარონ ერთმანეთს წიგნების შინაარსი. ერთმა ბავშვმა შეიძლება „ნაუკითხოს“ მეორეს ან თოჯინას. მას შემდეგ, რაც ბავშვები კარგად გაეცნობიან წიგნებს, შეუძლიათ ერთმანეთისთვის მათი მოყოლა და ილუსტრაციების ჩვენება.

წაიკითხეთ წიგნები როგორც დაგეგმილად, ასევე, სპონტანურად. მაგალითად, შეიძლება ყოველდღე გარკვეულ დროს დაგეგმილი გქონდეთ წიგნის კითხვა დიდ ჯგუფთან, მაგრამ ასევე, ნაუკითხოთ ბავშვების მცირე ჯგუფს ან ინდივიდუალურად რომელიმე ბავშვს, მით უფრო, თუ ისინი გამოთქვამენ ამის სურვილს და თავად მოგიტანენ წიგნს.

გამოიყენეთ წიგნის შინაარსი სხვადასხვა აქტივობისათვის. თუ წაიკითხავთ წიგნს მშენებლობის შესახებ, შესთავაზეთ ბავშვებს, კუბებით ააშენონ მსგავსი ნაგებობები, ან გაითამაშონ წიგნში წარმოდგენილი სიტუაციები, დახატონ პერსონაჟები და ა.შ.

3 წლამდე

მიიპყარით ბავშვების ყურადღება წიგნის კითხვის დაწყებამდე: „მოდი, ერთად დავათვალიეროთ ეს წიგნი“. ამ ასაკში უმჯობესია, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფში ნაუკითხოთ წიგნი და გამოიყენოთ შემდეგი სტრატეგიები:

- მიეცით ბავშვებს საშუალება, კომფორტულად დასხდნენ თქვენთან ახლოს;
- წიგნის წაკითხვას ნაუმძღვარეთ შესავალი, აჩვენეთ წიგნის ყდა, დაასახელოთ სათაური და ავტორი; დასვით შეკითხვა: „რას ხედავთ ყდაზე?“
- წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ილუსტრაციებს, სანამ თქვენ ტექსტს კითხულობთ. მაგალითად, ჰკითხეთ: „აბა, თუ იპოვით ყურშას ამ სურათზე?“
- გაახმოვანეთ ბავშვების შესაძლო აზრები: „ამ ბავშვს ხომ ისეთივე წითელი კაბა (მაისური, პერანგი, შარვალი) აცვია, როგორც შენ?“
- დასვით მარტივი კითხვები, რომ ხელი შეუწყოს ბავშვების მიერ წიგნის გააზრებას; გამოხატეთ ის აზრები, ემოციები, რომელთა გამოთქმაც მათ ჯერ ვერბალურად არ შეუძლიათ: „ნახე, დედა დაემშვიდობა, ხელი დაუქნია. მოდი, ჩვენც დავუქნიოთ ხელი, როგორც ამ წიგნში დედიკომ გააკეთა“.
- დაეხმარეთ ბავშვებს ყურადღების კონცენტრირებაში; წაახალისეთ,

გამოიცნონ შინაარსი: „ბებომ სათვალე დაკარგა, ხომ არ იცით, სად შეიძლება იყოს?“

- წაახალისეთ ბავშვები, სურათის მიხედვით გამოიცნონ, რა ხდება: „სად არიან ბავშვები? როგორ ფიქრობთ, წვიმა რომ წამოვიდა, ახლა პატარა გოგოს რა მოუვა?“
- შეჩერდით კითხვის დროს და წაახალისეთ ბავშვები, ჩასვან ნაცნობი სიტყვა: „ფისუნია... (კატა) მაგიდაზე ... (ახტა)...“
- უპასუხეთ ბავშვის ვერბალურ ან არავერბალურ მინიშნებებს წიგნის შინაარსზე: „შენ უჩვენებ იხვზე. ვიცი, რომ ძალიან მოგწონს.“
- დაუკავშირეთ წიგნში მოთხრობილი ამბავი ბავშვების რეალურ ცხოვრებას: „შენც ხომ გყავს ლეკვი, როგორც ბიჭუნას ამ წიგნში?“
- წიგნის დასრულების შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ მასში აღწერილ მოქმედებათა თანმიმდევრობა: „მერე ვისთან მივიდა რწყილი?“

3 წლიდან

თუ ბავშვების ჯგუფი მრავალრიცხოვანია, უმჯობესია, მხოლოდ ნაუკითხოთ წიგნი და მათი ჩართვის ისეთი გზები მოიხატოთ, რომლებშიც თითოეული ბავშვი მოახერხებს მონაწილეობას, ინტერესის შენარჩუნებას. როდესაც წიგნს ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფში კითხულობთ, გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სტრატეგიები:

- წაახალისეთ ბავშვები, იაზროვნონ და იფიქრონ კრიტიკულად: „როგორ ფიქრობთ, რატომ თქვა დედამ: „არა?“ „რას იზამდი, ანდროს ადგილას შენ რომ ყოფილიყავი?“
- დაეხმარეთ ბავშვებს, მოიფიქრონ გამოსავალი და ახალი იდეები: „როგორ ფიქრობ, კიდეც რა შეეძლო, გაეკეთებინა?“
- წაახალისეთ, გამოთქვან ვარაუდები: „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?“
- იმსჯელეთ გრძნობებზე: „როდესმე გიგრძნიათ თავი ისე, როგორც ტოპო-ტიპს?“ „ყოფილხართ კბილის ექიმთან?“
- წაახალისეთ ბავშვები, იპოვონ სიტყვები ტექსტში: „შეგიძლია მიპოვო, სად წერია „კატა“? ის ჰგავს შენს სახელს - კატო“.
- წიგნის კითხვის დასრულების შემდეგ იმსჯელეთ მასზე: „რა მოგეწონათ?“ „რომელი გმირი მოგეწონათ ყველაზე მეტად?“
- წაახალისეთ ბავშვები, გადმოსცენ ეპიზოდების შინაარსი: „გინდა, ამ თოჯინების დახმარებით მოგვიყვე, როგორ შეხვდა წითელქუდას მგელი?“



წიგნიეების აქცივობები

3 წლამდე

„ცხოველების ხმიანობა“

საწირო მასალა: წიგნი „ცხოველების ხმიანობა“

- წინასწარ მოამზადეთ წიგნი „ცხოველების ხმიანობა“; დასვით კითხვა: „როგორ იძახის ბუ?“ გააკეთეთ ბუს ხმის იმიტაცია, შემდეგ სხვა ფრინველებისა და ცხოველების ხმებს მიბაძეთ. წაახალისეთ ბავშვები, გაიმეორონ ხმები; მიჰყევით თანმიმდევრულად, შემდეგ არეულად გადაშალეთ ფურცლები და სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ, რა ხმას გამოსცემს ესა თუ ის ცხოველი, ფრინველი. შეგიძლიათ, გააკეთოთ არა მხოლოდ ხმის, არამედ მოძრაობის იმიტაციაც - ფრენა, ბაჭბაჭი, ხტუნვა და ა.შ.

„მოდი, ვნახოთ ვენახი“

საჭირო მასალა: წიგნი „მოდი ვნახოთ ვენახი“, პატარა კოვზები ან საჩხარუნოები, ვაზის ლერწები, ყურძენი, გუაში, პატარა მრგვალ ნაჭრებად დაჭრილი ღრუბლები, წებო-ემულსია

- წაუკითხეთ ბავშვებს სურათებიანი წიგნი „მოდი, ვნახოთ ვენახი“. კითხვის დროს წიგნი შეატრიალეთ და აჩვენეთ ბავშვებს ნახატები. წაახალისეთ ისინი, გაიმეორონ სიტყვები. შეგიძლიათ, გამოიყენოთ კოვზები ან საჩხარუნოები, რომ ბავშვები ტექსტის რიტმს აჰყვნენ. გაიმეორეთ რამდენჯერმე. როცა დარწმუნდებით, რომ ბავშვებმა ფრაზების უმეტესობა დაიმახსოვრეს, გამოტოვეთ სიტყვები და სთხოვეთ, აღადგინონ ისინი.
- მოიფიქრეთ, რა მუსიკა მოუხდება ამ ლექსს და წაახალისეთ ბავშვები, სხვადასხვანაირად იმღერონ ის მხიარული და სევდიანი მელოდიების თანხლებით.
- წინასწარ მოიმარაგეთ ვაზის პატარა ლერწები, ყურძენი, საღებავი და ყურძნის მარცვლის ფორმის მრგვალად დაჭრილი პატარა ღრუბლები. დაეხმარეთ ბავშვებს, ვაზის ლერწები ფურცელზე წებო-ემულსიის საშუალებით დააწებონ. მაგიდაზე დაუდეთ ნიმუშად ყურძენი, ხელი შეუწყვეთ ბავშვებს, პატარა ღრუბლებისა და საღებავის საშუალებით გააკეთონ ანაბეჭდები, რის შემდეგაც დაიბანენ ხელებს და დააგემოვნებენ ყურძენს.



„აბა გამოიცანი, როგორ მიყვარხარ“

საჭირო მასალა: ს. მაკბრეტნისა და ა. ჯირემის წიგნი „აბა, გამოიცანი, როგორ მიყვარხარ“

- წაუკითხეთ ბავშვებს წიგნი „აბა, გამოიცანი, როგორ მიყვარხარ“. წიგნის კითხვის დროს აჩვენეთ ბავშვებს და წაახალისეთ, გაიმეორონ შემდეგი მოძრაობები: მკლავების გაჭიმვა, ზემკლავის აჭიმვა, დანოლა და ფეხების ზემოთ აწევა, ახტომა.
- წაახალისეთ ბავშვები, დაასახელონ რაიმე შორი მანძილი, სადამდე უყვართ ვინმე: „ეზოდან ბალამდე“, „ჩემი სახლიდან აქამდე“, „აფრიკიდან სახლამდე“ და ა.შ.

„როგორ დავბანოთ ფუმფულა მამონტი“

საჭირო მასალა: მ. რობინსონისა და ქ. ჰინდლის წიგნი „როგორ დავბანოთ მამონტი“, ფუმფულა სათამაშოები, ტაშტი, წყალი, საპონი, ფურცლები, გუაში, ფუნჯები

- წაუკითხეთ ბავშვებს წიგნი „როგორ დავბანოთ ფუმფულა მამონტი“.
- წიგნის კითხვისას წაახალისეთ ბავშვები, გააკეთონ მოძრაობების იმიტაცია, თითქოს თვითონ იბანენ, ან აიღონ თითო ფუმფულა სათამაშო, რომელსაც ვითომ დაბანენ.
- წიგნის კითხვის შემდეგ შეიძლება შეარჩიონ რამდენიმე სათამაშო და დიდ ტაშტში ნამდვილი წყლითა და ქაფით დაბანონ.
- მიეცით ბავშვებს ფურცლები, დიდი ფუნჯები, საღებავები და შესთავაზეთ, დახატონ გაბურძენილი ტალახიანი მამონტი.

„ფარნის შუქზე“

საჭირო მასალა: ქ. უითჰერილისა და ა. ეჯსონის წიგნი „ფარნის შუქზე“, ფარანი, ფერადი ფურცლები, წინასწარ მომზადებული რუკა, ქსოვილები

- წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი „ფარნის შუქზე“. სასურველია, მანამდე ოთახი ცოტათი დააბნელოთ და ზღაპრის თხრობის დროს გამოიყენოთ ფარანი. ასევე, წინასწარ მოამზადეთ ფუმფულა სათამაშო კურდღელი. წიგნის წაკითხვის შემდეგ შეადგინეთ რუკა, რომელზედაც აღნიშნავთ ბაჭიების განვლილ გზას და დახატავთ მათ სოროს. წაახალისეთ ბავშვები, თითო გააყოლონ გზას და აღწერონ, ვინ შეხვდათ გზაზე კურდღლებს.
- შემდეგ ჯერზე წიგნის კითხვისას „ვითომ-ვითომ“ გაიარეთ ეს გზა, გააკეთეთ ფერადი ქაღალდების ბილიკი, ცისფერი ქსოვილით - „ვითომ-ვითომ“ ტბა, განასახიერეთ ცეკვა თავგებთან ერთად, ვაშლის ხე, თავკომბალების გუბურა, სორო და ნადიმი.

3 წლიდან**„თეთრი ლომი“**

საჭირო მასალა: ჯ. ჰელმორისა და რ. ჯონსის წიგნი „თეთრი ლომი“, ფერადი ფურცლები, თეთრი გუაში, ფუნჯები

- წაუკითხეთ ბავშვებს წიგნი „თეთრი ლომი“. კითხვის დროს სთხოვეთ, დაასახელონ ფერები, რომლებითაც ბავშვებმა შელესეს კედლები.
- ითამაშეთ „დამალობანა“;
- დაურიგეთ ფერადი ფურცლები და წაახალისეთ, თეთრი გუაშით დახატონ თეთრი ლომი.


„მართა და სამი დათვი“

საჭირო მასალა: წიგნი „მართა და სამი დათვი“, თექისაგან დამზადებული პერსონაჟები და მათი ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სამუშაო ფურცლები, რომლებზედაც გამოსახული იქნება ფიგურები, ასევე - მაკრატელი, მშრალი ნებო, სათამაშო დათვები, თოჯინა, ჭურჭელი და პატარა სკამები

- წინასწარ მოამზადეთ მუყაოსგან ან თექისგან გამოჭრილი პერსონაჟები და მათი ნივთები. წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი „მართა და სამი დათვი“, თან გაათამაშეთ

ფიგურები.

- წაახალისეთ ბავშვები, გააფორმონ მუსიკალურად ეს ზღაპარი; დაურიგეთ სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი და წაახალისეთ, გააჟღერონ ისინი ამა თუ იმ ეპიზოდის კითხვის მომენტში.
- წიგნის კითხვის დროს აჩვენეთ ბავშვებს სამი ზომის სკამის, თეფშისა და სანოლის ფიგურები; ხელი შეუწყვეთ, მიუსადაგონ ისინი ერთმანეთსა და პერსონაჟებს.
- წიგნის წაკითხვის შემდეგ დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ გამზადებული სამუშაო ფურცლები, რომლებზედაც არეულად იქნება გამოსახული იგივე პერსონაჟები და სხვადასხვა ზომის ნივთები. ბავშვებმა უნდა ამოჭრან ნივთების გამოსახულებები და დაანებონ ისინი შესაბამისი პერსონაჟების გასწვრივ.



- დრამატული სივრცე მოაწყვეთ, როგორც სახლი; შეიტანეთ სათამაშო დათვები და ერთი თოჯინა, ქურქელი და სხვადასხვა ზომის სკამები; დააკვირდით, როგორ ითამაშებენ ბავშვები სათამაშოებით, როგორ განავრცობენ ზღაპრის შინაარსს.

„იავნანა ლილისთვის“

საჭირო მასალა: ა. ლორთქიფანიძის წიგნი „იავნანა ლილისთვის“, A2 ზომის ფორმატი და მარკერები, ფერადი ფანქრები, მაკრატლები, დიდი ყურსასმენები, მუსიკალური ინსტრუმენტები

- წაუკითხეთ ბავშვებს წიგნი „იავნანა ლილისთვის“. კითხვის დროს შეიძლება სთხოვოთ თითოეულს, დაითვალონ საკუთარი ოჯახის წევრები, თქვენ კი ფურცელზე დაწერეთ შესაბამისი ციფრი.
- ბავშვებთან ერთად ჩამოწერეთ პლანეტების სახელები ფორმატზე და წაახალისეთ ბავშვები, დახატონ; თქვენ კი გამოჭერით და მიაკარით პლანეტა სახელწოდების გასწვრივ.
- ითამაშეთ ბავშვებთან ერთად თამაში, რომელსაც ლუნა და ლუკა თამაშობენ: დაასახელეთ ასო-ბგერა, ხოლო ბავშვებმა ჩამოთვალონ სიტყვები ან უაზრო ბგერათშეხამებები, დაწყებული ამ ასო-ბგერაზე, რომლებიც შეიძლება პლანეტების სახელწოდებებად გამოდგეს.
- ჰკითხეთ ბავშვებს, იციან თუ არა, რას ნიშნავს სიტყვა „ყრუ“.
- წაახალისეთ, აიფარონ ხელები ყურებზე, ან გაიკეთონ ყურსასმენები და ელაპარაკონ ერთმანეთს. ჰკითხეთ, რას გაიგებენ და რას გრძნობენ? მათი აზრით, როგორ უნდა გააგებინონ ადამიანს, რომელსაც არ ესმის? სცადონ, მოგონილი ჟესტების ენით აუხსნან ერთმანეთს რამე.

- მოიძიეთ რამდენიმე სურდოჟესტი და ასწავლეთ ბავშვებს.
- მოიმარაგეთ მუსიკალური ინსტრუმენტები და ერთად შექმენით რაიმე წყნარი რიტმი, რომელიც დააძინებს ლილის.

„ჰიპა ირჩევს პროფესიას“

საჭირო მასალა: ა. ჯანელიძისა და ა. ჩიღვინაძის წიგნი „ჰიპა ირჩევს პროფესიას“, ფერადი ფანქრები ან პასტელი, ფურცლები, ენციკლოპედია ან ლექსიკონი, ამა თუ იმ პროფესიისთვის საჭირო ატრიბუტები

- ბავშვებთან ერთად წაიკითხეთ წიგნი „ჰიპა ირჩევს პროფესიას“;
- წიგნის კითხვის დროს ჰკითხეთ ბავშვებს, თუ ჰყავთ კატები, ან თუ უნახავთ ასეთი კატა;
- ჰკითხეთ, იციან თუ არა, ვინ არის ასტრონავტი; თუ გაუგიათ, რას აკეთებს ასტრონავტი;
- ჰკითხეთ, თუ იციან, ვინ არის მსახიობი და რას აკეთებს ის;
- ჰკითხეთ, თუ იციან, რას ნიშნავს სომელიე და რას აკეთებს ის;
- ჰკითხეთ, თუ იციან, ვინ არის ვეტერინარი და რას აკეთებს ის;
- ჰკითხეთ მეტეოროლოგის შესახებ; რა იციან ამ პროფესიაზე?
- ჰკითხეთ, დეტექტივზე რა სმენიათ; ვინ არის მალაროელი?
- რას აკეთებს სვირინგის ოსტატი? რას აკეთებს მღებავი?
- ვინ არის დამლაგებელი? მწერალი?
- წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი ვარაუდები ამა თუ იმ პროფესიაზე;
- დახატონ, რა ასოციაციას იწვევს მათში თითოეული პროფესიის დასახელება.
- წაახალისეთ ბავშვები, თქვენი დახმარებით ენციკლოპედიაში ან ინტერნეტში მოძებნონ ინფორმაცია შესაბამისი პროფესიის შესახებ და გაარკვიონ, რას აკეთებს მისი წარმომადგენელი.
- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რომელი პროფესია უფრო მეტად შეეფერება კატას და რატომ?
- რომელი პროფესია მოეწონათ თავად მათ და რატომ?
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ამ პროფესიის ადამიანები.
- სთხოვეთ ბავშვებს, თითოეულმა ამოირჩიოს პროფესია, რომლითაც ყველაზე მეტად დაინტერესდა; ჰკითხეთ, რა ატრიბუტები სჭირდება ამ პროფესიას? როგორ უნდა შექმნან და მოაწყონ პროფესიის შესაბამისი გარემო?
- მოიმარაგეთ შესაბამისი ატრიბუტები და დრამატული თამაშების სივრცეში მოაწყვეთ გარემო გათამაშებისათვის.

„ოლი ნილი ბედნიერია“

საჭირო მასალა: ბ. და მ. შობერების წიგნი „ოლი ნილი ბედნიერია“, კალათა და ფერადი ქსოვილების პატარა ნაჭრები, სათამაშო ბეჭემოტი, სახატავი ფურცლები და პასტელები


- წაუკითხეთ ბავშვებს წიგნი „ოლი ნილი ბედნიერია“, წაახალისეთ ისინი, წიგნის კითხვის დროს მოძებნონ შესაბამისი ფერის ქსოვილი და მოარგონ ბეჭემოტს;
- კითხვის დასრულების შემდეგ ყველამ ამოირჩიოს თავისი საყვარელი ფერი და ისაუბროს, რატომ უყვარს ის. შემდეგ შეუძლიათ, დახატონ ნახატი თავიანთ საყვარელ ფერებში.

თემატუხი მიმახოულება მეცნიეხება

ხას ნიშნავს მეცნიეხება?

თემატუხი მიმახოულების განმახგება

რა არის მეცნიერება? შეიძლება ფიქრობდეთ, რომ მეცნიერება საინტერესო, მაგრამ, ამავე დროს, რთული სფეროა და მასში გარკვევა მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანებს შეუძლიათ; ან, იქნებ, პირიქით, ფიქრობთ, რომ, ვინაიდან მეცნიერება სამყაროსა და რეალობის შემეცნების ერთადერთი გზაა, ამიტომ ის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს? ყველას გვაქვს გარკვეული წარმოდგენა მეცნიერებაზე, მაგრამ დაფიქრებულხართ, როგორ განიმარტება ზუსტად ცნება „მეცნიერება“? თუ ლექსიკონში ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ ეს არის „ცოდნის სისტემა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ“.¹ მეცნიერული ცოდნა იმით ხასიათდება, რომ მის დასაგროვებლად იყენებენ ობიექტურ მეთოდებს, როგორცაა, მაგალითად, დაკვირვება და ექსპერიმენტები. მეცნიერება ცდილობს, ახსნას სამყაროს არსი და უპასუხოს კითხვებს, რომლებიც ადამიანებს გვიჩნდება. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვებისათვის მეცნიერების სწავლება გულისხმობს, ერთი მხრივ ადამიანის, საზოგადოებისა და სამყაროს შესახებ უკვე დაგროვილი ფაქტებისა და ინფორმაციის მიწოდებას, მეორე მხრივ, მეცნიერული მეთოდის გამოყენების ნახალისებას, რის საშუალებითაც შეიძლება ვიპოვოთ პასუხები ჩვენს კითხვებზე და გავიღრმავოთ ცოდნა.



დაკვირვებისხართ ადრეული ასაკის ბავშვს, რომელიც ლამობს, გაარკვიოს, რა მოხდება, თუ სათამაშოს ძირს დააგდებს; სურს, გადაამოწმოს, ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე ბრახუნის ხმას გაიგებს თუ არა; ცდილობს, გაარკვიოს, რა რეაქცია ექნება მშობელს ამ ქმედებაზე; გამოხატავს გაოცებას, როდესაც მოულოდნელად სათამაშო

¹ უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. 1-ლი გამოც. [თბ.] : ფანტაზია, 2006. [MFN: 136149] <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=137900>

ხმას აღარ გამოსცემს (რადგან ხალიჩაზე დაეცა, ან მშობელმა დაიჭირა)? ადრეული ასაკის ბავშვები მეცნიერები არიან. მათ უამრავი კითხვა აწუხებთ. აინტერესებთ: რატომ ციმციმებენ ვარსკვლავები? რატომ ტირის ბაჭია? რა მოხდება, თუ ამ ღილაკს ხელს დააჭერს? როგორ ააშენოს უფრო მაღალი კოშკი? რატომ უბუყბუყებს მუცელი? ეს უკიდევანო ცნობისმოყვარეობა მათ უბიძგებთ, ეძებონ პასუხები და მივიდნენ აღმოჩენებამდე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები მკაფიოდ განმარტავს, თუ რა მეცნიერულ ცოდნას უნდა აგროვებდეს ადრეული ასაკის ბავშვი სკოლამდელ დანესებულებაში. თემატური მიმართულება, რომელსაც ჰქვია „ჯანსაღი ცხოვრება და მეცნიერება“, აერთიანებს ექვს მეცნიერულ მიმართულებას მათი შესაბამისი სტანდარტებით: ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები, მათემატიკა, საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები და ტექნოლოგია. მოცემული სახელმძღვანელო მიჰყვება მეცნიერების მიმართულებების სტანდარტების დოკუმენტის მიერ შემოთავაზებულ პირობით დაყოფას.

იას ნიშნავს ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები?

ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებებია: ბიოლოგია, ანატომია, მედიცინა. მეცნიერების ეს მიმართულებები შეისწავლის ადამიანთან დაკავშირებულ მოვლენებსა და გამოცდილებებს და გვანვდის ინფორმაციას ადამიანის სხეულის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ადამიანზე ზრუნვის შესახებ.

იას ნიშნავს ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები ადრეულ განათლებაში?

როცა ბავშვი სვამს კითხვებს საკუთარი სხეულის, ჰიგიენური აქტივობებისა და ჯანსაღი ჩვევების შესახებ, აკვირდება და ახარისხებს საკვებს, ატარებს კულინარიულ ექსპერიმენტებს.

3 წლამდე ასაკის ბავშვისთვის ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს, რომ ჩაერთოს უფროსის მიერ ინიცირებულ ფიზიკურ აქტივობებში, დააკვირდეს და შეისწავლოს საკუთარი სხეული; ამასთანავე, შეადაროს და დაახარისხოს პირადი ჰიგიენის ნივთები (საპონი, კბილის პასტა, პირსახოცი, სავარცხელი და სხვ.), უფროსის მხარდაჭერით დაიცვას პირადი ჰიგიენა. ამ ასაკის ბავშვები, ასევე, შეისწავლიან კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს - აკვირდებიან, სინჯავენ და ყნოსავენ სხვადასხვანაირ საკვებს.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებისთვის ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს იმავეს, რასაც - სულ პატარებისათვის. გარდა ამისა, ისინი ცდილობენ, გამოარკვიონ ფიზიკური აქტივობების, ჯანსაღი კვების, ჰიგიენის მნიშვნელობა და მათი კავშირი ადამიანის ჯანმრთელობასთან; დაახარისხონ ქცევები ჯანსაღ და არაჯანსაღ კატეგორიებად; დააკვირდნენ და შეისწავლონ ადამიანის შინაგანი ორგანოები.

იას ნიშნავს სოციალური მეცნიერებები?

სოციალური მეცნიერებებია: ანთროპოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, არქეოლოგია, სოციოლოგია. ეს დისციპლინები შეისწავლის ადამიანის საზოგადოებასა და მასში არსებულ ინდივიდებს შორის ურთიერთობას.

ჩვენს სოციალურ მეცნიერებებში ახლად განთავსებული?

როცა ბავშვი აკვირდება დროში ცვლილებებს, უზიარებს აზრებს თანატოლებსა და უფროსებს, ინტერესდება და ეცნობა საკუთარი და სხვა ეროვნების კულტურასა და ტრადიციებს; აკეთებს პროგნოზს, თუ რა მოხდება შემდგომში.

3 წლამდე ასაკის ბავშვისთვის სოციალური მეცნიერებები ნიშნავს, რომ დააკვირდეს და აითვისოს სხვადასხვა სივრცე; ხოლო საკუთარი დაკვირვებების გაზიარებისას გამოიყენოს სივრცითი მიმართებებისა და დროის აღმნიშვნელი სიტყვები (მაგალითად, „ზემოთ“, „ქვემოთ“, „ჯერ“, „შემდეგ“ და სხვ.). ამ ასაკის ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, დააკვირდეს საზოგადოებაში უფროსების ქცევას, რომლებიც იცავენ სოციალურ დადგენილ ქცევის წესებს და იღებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვისთვის სოციალური მეცნიერებები ნიშნავს იმავეს, რასაც - სულ პატარებისათვის, თუმცა, ისინი, ასევე, ცდილობენ, დაუკავშირონ ერთმანეთს ძველი და ახალი მოვლენები, თანმიმდევრულად აღწერონ ექსპერიმენტის მიმდინარეობა, განასხვავონ და შეადარონ საკუთარი და სხვა ქვეყნის ეროვნული მუსიკა, ცეკვა, საკვები და ა.შ.; აკვირდებიან და ადარებენ სხვადასხვა ადამიანის გარეგნულ ნიშნებსა და ინტერესებს; განასხვავებენ მეგობრულ ქცევასა და ბულინგს; აკვირდებიან ადამიანებისა და სხვა ცოცხალი არსებების საქმიანობებს.

ჩვენს ბუნების შემსწავლელი მეცნიერებებში?

ბუნების შემსწავლელი მეცნიერებებია: ბიოლოგია, ეკოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ასტრონომია, გეოლოგია. მეცნიერების ეს მიმართულებები შეისწავლის ადამიანის ირგვლივ არსებულ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას და მათთან დაკავშირებულ მოვლენებსა და არტეფაქტებს.

ჩვენს ბუნების შემსწავლელი მეცნიერებებში ახლად განთავსებული?

როცა ბავშვი აკვირდება და შეისწავლის ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას; ახარისხებს ცხოველებსა და მცენარეებს; აკვირდება ამინდს და აკეთებს ჩანაწერებს ჩანახატებისა და დიაგრამების გამოყენებით.

3 წლამდე ასაკის ბავშვისთვის ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს, დააკვირდეს და შეგრძნებდეს შეისწავლოს ბუნებრივი მასალა და ამინდი; მონაწილეობა მიიღოს ცხოველის ან/და მცენარის მოვლაში; შეადაროს ერთმანეთს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვისთვის ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს იმავეს, რასაც - სულ პატარებისათვის, თუმცა, ასევე, ისინი ცდილობენ, დაახარისხონ განმეორებით გამოყენებადი და გადასაგები მასალა; დააკვირდნენ და შეადარონ ერთმანეთს ადამიანების საცხოვრებელი ადგილები და ტანსაცმელი; ასევე, დასვან კითხვები ბუნების, ცხოველების, მცენარეების ზრდისა და ცვლილებების შესახებ; გაუზიარონ თანატოლებსა და უფროსებს თავიანთი დაკვირვებები იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება და იცვლება ბუნება; იზრუნონ გარემოზე და ამოიცნონ გარემოს დამაბინძურებელი და დამაზიანებელი საგნები, მოვლენები (მაგალითად, კვამლი, პლასტმასი, ერთჯერადი გამოყენების ნივთები და სხვ.).

ჩას ნიშნავს მათემატიკა?

მათემატიკა არის ციფრების, რაოდენობების, მოცულობებისა და მანძილების მეცნიერება. ის ყველა დანარჩენი მეცნიერული მიმართულების საფუძველია.

ჩას ნიშნავს მათემატიკა ადრეულ განათლებაში?

როცა ბავშვი აკვირდება პატერნებსა და მიზეზშედეგობრივ კავშირებს; ახარისხებს ნივთებს ფორმისა და ზომის მიხედვით; იყენებს რიცხვებს ექსპერიმენტების მონაცემებისა და შედეგების აღსაწერად.

3 წლამდე ასაკის ბავშვისთვის მათემატიკა ნიშნავს, რომ დაითვალოს, დააჭგოფოს საგნები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით; შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ფორმისა და ზომის საგნები.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებისთვის ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს იმავს, რასაც - სულ პატარებისათვის, თუმცა, ისინი, ასევე, ცდილობენ, შეადარონ რაოდენობები და დაადგინონ რიცხვების მეტნაკლებობა ან ტოლობა; დაახარისხონ საგნები ფერის, ზომის, ფორმისა და წონის მიხედვით; დააკვირდნენ გეომეტრიულ ფორმებს.

ჩას ნიშნავს საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები?

საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებებია ფიზიკა და ქიმია. ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები შეისწავლის ფიზიკური მოვლენების, ენერგიების, საგნებისა და ნივთიერებების მახასიათებლებს - მაგალითად, მექანიკას, ელექტრობას, სითბოსა და სინათლეს.

ჩას ნიშნავს საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები ადრეულ განათლებაში?

როცა ბავშვი სვამს შეკითხვებს საგნებისა და მოვლენების შესახებ; აკეთებს პროგნოზებს და შემდგომ ატარებს ექსპერიმენტებს საგნებზე, ნივთიერებებსა და მოვლენებზე.

3 წლამდე ასაკის ბავშვისთვის საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს, რომ ითამაშოს ბუნებრივი რესურსით, როგორცაა, მაგალითად, ქვიშა და წყალი; ამასთანავე, შეგრძნებების საშუალებით დააკვირდეს ნივთიერებებისა და საგნების ფიზიკურ მახასიათებლებს.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებისთვის საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს იმავს, რასაც - სულ პატარებისათვის, თუმცა, ისინი, ასევე, ცდილობენ, დააკვირდნენ ფიზიკურ მოვლენებს, გააკეთონ პროგნოზი, თუ რა მოხდება ნივთიერებებითა და საგნებით მანიპულირებისას; ჩაატარონ ექსპერიმენტები და გაუზიარონ საკუთარი დასკვნები სხვებს; აღმოაჩინონ, რომ ნივთიერება შეიძლება არსებობდეს მყარ, თხევად და აირად მდგომარეობაში.

ჩას ნიშნავს ტექნოლოგია?

ტექნოლოგია გამოყენებითი მეცნიერებაა, რომელიც იყენებს ცოდნას მანქანებისა და ხელსაწყოების განსავითარებლად.

ჩას ნიშნავს ტექნოლოგია ახლედ განათლებაში?

როცა ბავშვი შესაბამისი დანიშნულებით იყენებს მისთვის ნაცნობ ტექნიკურ მოწყობილობებს, ექსპერიმენტირების დროს აგროვებს მონაცემებს ვიდეო/ ფოტოაპარატით, შლის გაფუჭებულ ტექნიკურ მოწყობილობას, რომ გამოარკვიოს, რა არის შიგნით; ადარებს და ახარისხებს სხვადასხვა პროფესიის შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობას.

3 წლამდე ასაკის ბავშვისთვის საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს, რომ პროგნოზირება გააკეთოს, თუ რა მოხდება, როდესაც დააჭერს ჩამრთველ და გამომრთველ ღილაკს ნაცნობ ტექნიკურ მოწყობილობაზე; დააკვირდეს და შეისწავლოს სამედიცინო და სამშენებლო ინსტრუმენტები.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვისთვის ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები ნიშნავს იმავს, რასაც - სულ პატარებისათვის, თუმცა, ისინი, ასევე, სვამენ კითხვებს სპეციფიკური ინსტრუმენტების, მანქანებისა და მათი დანიშნულების შესახებ; მიზნობრივად იყენებენ თავიანთ ყოველდღიურ ყოფაში არსებულ ტექნიკურ მოწყობილობებს (მაგალითად, ტელეფონს, ფოტოაპარატს, მუსიკალურ ცენტრს და სხვ.), ასევე, ტექნოლოგიებს ინფორმაციის მოსაპოვებლად.

სხვადასხვა უნახის განვითარება და მეცნიერება

მეცნიერების თემატური მიმართულება აერთიანებს კომპეტენციებს, რომლებიც განვითარების სფეროებს კვეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმიანობის სახეები და საგანმანათლებლო მომენტები, რომლებიც მეცნიერული კომპეტენციების განვითარებისკენ არის მიმართული, ასევე, ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას (განვითარებას მთლიანობაში).

ფიზიკური და სენსორული განვითარება – მეცნიერული აქტივობები ხელს უწყობს ბავშვის მოტორიკისა და შეგრძნებების განვითარებას. როცა ბავშვი ცდილობს, გააგროოს სხვადასხვა ფორმის ნივთები (მაგალითად, ბურთი, კუბი, წიქა, საშლელი და სხვ.), ან პიპეტით გადაანაწილოს ფერადი სითხეები, ის მეცნიერულ უნარებთან ერთად ნატიფ მოტორიკას ივითარებს. როცა ბავშვი დარბის საკუთარ გულისცემაზე დაკვირვების მიზნით, ან ეზოში მოფარფატე პეპელას დასდევს, ის, მეცნიერულ უნარებთან ერთად, უხეშ მოტორიკას ივითარებს. ბავშვებს სენსორული უნარები უვითარდებათ, როდესაც საგანზე ან ნივთიერებაზე დაკვირვების მიზნით ეხებიან მათ, რათა გაეცნონ ტექსტურას, გაიგონ ტემპერატურა; სინჯავენ ხილს მისი სიტკბოს ან სიმჟავის ხარისხის დასადგენად; აკვირდებიან, როგორ იცვლის ფერს ფერადი ფურცელი მზეზე; ყურს უგდებენ ეზოში მცხოვრებ ცოცხალ არსებებს, რომ დაადგინონ, ჩიტების გარდა, კიდევ რის ხმა ისმის.

სოციალურ-ემოციური განვითარება – მეცნიერული აქტივობების დროს ბავშვები ერთად მიდიან აღმოჩენებამდე და ჭრიან პრობლემებს. ისინი სწავლობენ თანამშრომლობასა და ერთმანეთთან ურთიერთობას; ადამიანისა და ბუნების შემსწავლელ მეცნიერებათა აქტივობების მეშვეობით ერთმანეთზე, ცხოველებსა და

მცენარეებზე ზრუნვის სურვილი უღვივდებათ, ხოლო ტექნოლოგიის აქტივობები მათ წესების დაცვასა და პასუხისმგებლობის აღებას ასწავლის.

კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება – მეცნიერების აქტივობები, ძირითადად, მცირე ჯგუფში ხორციელდება; ამასთანავე, მეცნიერება შედეგების სხვებისთვის გაზიარებას გულისხმობს. შესაბამისად, მეცნიერების აქტივობები საუკეთესო ადგილია კომუნიკაციური და ენობრივი უნარების გასავარჯიშებლად და გასამყარებლად. ბავშვები იმდიდრებენ სიტყვების მარაგს ისეთი ცნებების გააზრებით, როგორცაა: „ჯერ/მერე“, „შორს/ახლოს“, „ბევრი/ცოტა“ და სხვ.

შემეცნებითი განვითარება – მეცნიერული აქტივობები ხელს უწყობს სააზროვნო უნარების განვითარებას. ექსპერიმენტები, რომლებსაც ბავშვები ატარებენ, მოითხოვს მათგან კითხვების დასმას, ვარაუდების გამოთქმას, დაკვირვებას და აღმოჩენების გამოსახვას ნახატის, ნარატივის ან მოდელების საშუალებით.

დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება – მეცნიერების უნარების განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული ინიციატივის, ცნობისმოყვარეობისა და თავდაჯერებულობის (მოქნილობა და მედეგობა) ზრდასთან, რადგან მეცნიერული აქტივობების დროს ბავშვები სწავლობენ პრობლემების გადაჭრას, სხვადასხვა გზის მოსინჯვასა და შეუპოვრობას, გუნდურად მუშაობას; ამჩნევენ საკუთარ წარმატებასა და ზრდას. ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებების აქტივობები კი პირდაპირ უკავშირდება კვებას, ჰიგიენასა და ჯანსაღ ცხოვრების წესს. ამ აქტივობებით მიღწეული აღმოჩენები და დაგროვილი ცოდნა დამოუკიდებელი ჩვევების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

თემატუხი მიმართულება მეცნიერება - ჰიაქტიკაში მისი დანეხვის სტრატეგიები

იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ, თავიანთი თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობის შესაბამისად, ჩაატარონ ექსპერიმენტები და მივიდნენ აღმოჩენებამდე, მათ შესაბამისი გარემო უნდა შევუქმნათ. ეს გულისხმობს უფროსისგან სწორ მხარდაჭერას, რაც მოიცავს ფიზიკური და დროითი გარემოს ისეთნაირად მართვას, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერების აქტივობებში ბავშვების ჩართვას.

ჩვენი განწყობა და დამოკიდებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მოვახერხებთ მხარდამჭერი გარემოს შექმნას. უფროსების ნაწილი შფოთავს იმის გამო, რომ ვერ მოახერხებს თავის პრაქტიკაში მეცნიერების მიმართულების დანერგვას, რადგან თვითონ არა აქვს საკმარისი მეცნიერული ცოდნა. სინამდვილეში კი მნიშვნელოვანია თქვენი ცნობისმოყვარეობა, სურვილი, ბავშვებთან ერთად მიხვიდეთ აღმოჩენებამდე და არა ის, რა ცოდნასა და გამოცდილებას ფლობთ მეცნიერულ მიმართულებებში. თუ კარგად გავიაზრებთ, რომ ბავშვები მეცნიერებას ეცნობიან ყოველდღიურ ყოფაში არსებულ მოვლენებზე დაკვირვებით, მივხვდებით - მთავარია, წავახალისოთ მათი ცნობისმოყვარეობა და მათთან ერთად სამყაროს შეცნობამ ჩვენც სიამოვნება მოგვანიჭოს.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პრაქტიკაში მეცნიერების, როგორც თემატური მიმართულების, დანერგვა ყველანაირი გამოცდილებისა და განათლების მქონე უფროსს შეუძლია. ამისთვის რამდენიმე სტრატეგიის გამოყენება უნდა შევძლოთ, რომლებიც გულისხმობს საკმარისი დროის, საჭირო სივრცისა და რესურსის ორგანიზებას და უფროსის ინტერვენციას. მეცნიერების შესახებ თავში ეს სტრატეგიები არ არის განხილული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, რადგან, მათი სპეციფიკის მიუხედავად, ადრეულ ასაკში ყველა მათგანი გულისხმობს ყოველდღიურობაში მეცნიერების აღმოჩენას და არა მეცნიერული ფაქტების შესწავლას.

საჭირო სივრცე

მნიშვნელობა არა აქვს, რა ასაკის ბავშვებთან გვინწევს მუშაობა, მეცნიერებას არ სჭირდება სპეციფიკური სივრცე. ხელოვნების აქტივობა, ეზოს მოძრავი თამაშები, კვლინარია, სენსორული აქტივობები - ნებისმიერი საქმიანობა, რომლებშიც ჩართულია ადრეული ასაკის ბავშვი, ამავე დროს, მეცნიერული აქტივობაა, თუკი ის ამ პროცესში აკვირდება, იკვლევს, ადარებს, ითვლის, გამოაქვს დასკვნები. შესაბამისად, მეცნიერება ყველგანაა - სამზარეულოში, სათამაშო ოთახში თუ ეზოში, ხელოვნებისთვის, კუბებით თამაშისა თუ წიგნიერებისთვის გამოყოფილ სივრცეში.


3 წლამდე

ამ ასაკის ბავშვების შემთხვევაში, მეცნიერებისთვის განცალკევებული სივრცის მოწყობა აუცილებელი არაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ასაკში მეცნიერულ უნარებს ბავშვი ყველგან ივითარებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, მეცნიერული უნარების განსავითარებლად გამოვიყენოთ ნებისმიერი სივრცე, სადაც გადანიშნული იქნება ხელშემწყობი რესურსი.

თუმცა ვიცით, რომ არსებობს ორი განსაკუთრებული ადგილი, რომლებიც თავისთავად, უფროსის ხელშემწყობის გარეშე, უწყობს ხელს დაკვირვებისა და აღმოჩენების პროცესს. ესენია სენსორული სივრცე და ეზო.

ეზო ბუნებრივი ლაბორატორიაა აღმოჩენების საკეთებლად და პრობლემების გადასაჭრელად. ოღონდ შევთანხმდეთ - იგულისხმება ისეთნაირად მოვლილი და მოწყობილი ეზო, სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვების თავისუფლად მიშვება და მათ საფრთხე არ დაემუქრებათ. აქ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მრავალფეროვანი სივრცეები როგორც მოძრავი თამაშებისათვის (მაგალითად, სასრილო, საქანელა, სარბენი და საძრომიალო სივრცეები), ასევე სენსორული განვითარებისათვის (მაგალითად, ქვიშა და წყალი, სურნელოვანი მცენარეების ბაღი, სხვადასხვაგვარი საფარი).

სენსორულ სივრცეში მოქცეულია შეგრძნებების განვითარების ხელშემწყობი რესურსი. როგორც წესი, ეს სივრცე სენსორული მაგიდით არის აღჭურვილი, რომელშიც მოთავსებულია ქვიშა და/ან წყალი. შეიძლება სენსორული მაგიდის მაგივრად სენსორული ჯამები გამოვიყენოთ. სამ წლამდე ასაკისთვის უშუალოდ, ჯამის ზომა ისეთი იყოს, რომ არაუმეტეს სამი ბავშვის ერთად თამაშის საშუალებას იძლეოდეს.



3 წლის შემდეგ

სამი წლიდან ბავშვებს იგივე საჭიროებები აქვთ, რაც - სამ წლამდე ასაკის ბავშვებს (ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ). გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკში უმჯობესია, მეცნიერებისთვის დამატებით გამოცალკევებული სივრცე მოვანყოთ. ცენტრებად ორგანიზებულ სათამაშო ოთახში მეცნიერების ცენტრი უნდა გვქონდეს.

მეცნიერების სივრცე უნდა იყოს საკმარისად დიდი, რომ ბავშვებმა გუნდურად მუშაობა მოახერხონ. უმჯობესია, ის ექვს ბავშვს იტევდეს. ბავშვებისთვის შესაფერი ზომის სამუშაო მაგიდისა (რომელიც ბავშვებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით წრიული ფორმისაა) და სკამების გარდა, სივრცეში რესურსის მოსათავსებლად ბავშვების სიმაღლის თაროები გვჭირდება. ამავე სივრცეში ბავშვების დაკვირვებებისა და აღმოჩენების (დიაგრამების, ჩანახატების, ჩანაწერებისა და სურათების სახით) გამოსაფენი ადგილის გამოყოფა ხელს შეუწყობს ბავშვების ინტერესების გაღრმავებასა და მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების დარგები ძალიან მრავალფეროვანია, უმჯობესია, თითოეულ მათგანს ცალკეული კუთხე კი არ მოვუწყოთ, არამედ ყველა საჭირო რესურსი ერთ სივრცეში - მეცნიერების ცენტრში - მოვაქციოთ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბავშვების საჭიროებები და ინტერესები გვიბიძგებს საამისოდ და შესაბამისი შესაძლებლობებიც გვქონება, შეიძლება მოვანყოთ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის მეცნიერების ცენტრი. მაგალითად, შესაძლოა, ოთახში, მეცნიერების ცენტრთან ერთად, ცალკე გვქონდეს კომპიუტერული ცენტრი ან რობოტიკის სახელოსნო (სივრცე, რომელშიც ბავშვები გაფუჭებულ ტექნიკურ მოწყობილობებს შლიან და ნაწილებისგან რობოტებს/ ხელსაწყოებს აწყობენ). ასევე, შეიძლება განცალკევებით გვქონდეს ცოცხალი ბუნების სივრცე, რომელშიც მცენარეები ან/და ცხოველები გვეყოლება.

საჭირო ხესუხი

მეცნიერების სივრცისთვის გარემოს მოწყობა შესაძლებელია ყველანაირი ბიუჯეტის ფარგლებში. „მეცნიერული კვლევა“ რომ ნავახალისოთ, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ბუნებრივ და მეორად მასალაზე, რომელიც მრავალმხრივი გამოყენების საშუალებას იძლევა; ხოლო ფინანსური რესურსი უმჯობესია, ისეთ ტექნიკაზე დაიხარჯოს, რომელიც სხვადასხვა სიტუაციაში და ბევრჯერ შეიძლება გამოვიყენოთ. ასეთია, მაგალითად, ფოტოაპარატი ან რეტროპროექტორი და არა მიკროსკოპი. ადრეულ ასაკში ბავშვებმა უნდა აღმოაჩინონ, რომ სხვადასხვა სახის ტექნიკური მოწყობილობები ამა თუ იმ ფუნქციონზე დაკვირვებასა და კვლევაში გვეხმარება; შესაბამისად, ურთიერთობა ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომლებიც მათ ერთხელ უნდა მოიხმარონ და თანაც ზედმეტად მოსაფრთხილებელია, ადრეულ ასაკში რეკომენდებული არ არის.

მეცნიერული აღმოჩენების მხარდასაჭერად, ყოველდღიური და სხვა სივრცეებში გამოყენებული რესურსის გარდა (როგორცაა ხის კუბები, ცხოველებისა და ადამიანის ფიგურები, გუაშის საღებავები და სხვ.), მნიშვნელოვანია, მომარაგებული გვქონდეს სპეციფიკური რესურსი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, თითოეული

ბავშვის შემთხვევაში მივიღოთ **ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტებით** განსაზღვრული შედეგები.

3 წლამდე

სულ პატარებთან დაგჭირდებათ:

- ბუნებრივი მასალა: სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფოთლები, ქვები, ნიჟარები, ჯოხები (ფრთხილად იყავით, ბავშვები უმეტესადაა უსურველად არ დატოვოთ, როდესაც პატარა ზომის ნივთებით თამაშობენ);
- ასაკის შესაბამისი წიგნები, რომლებშიც ასახულია რიცხვები, სხეულის ნაწილები, ცხოველები, ფერები და სხვ.;
- ცოცხალი ბუნება: მცენარეები და ცხოველები; უმჯობესია თევზები (ამ ასაკში ბავშვებს უნდა მიეცეთ საშუალება, დააკვირდნენ ცოცხალ არსებებს; ასევე, იმას, თუ როგორ ზრუნავენ უფროსები მათზე);
- ქვიშა და წყალი, ნიჩაბი, ძაბრი, სხვადასხვა ზომის ქურჭელი და სხვ.;
- ნაცნობი პროფესიების რეკვიზიტები (მაგალითად, ფონენდოსკოპი, პოლიციელის ქუდი, ჩაქუჩი);
- კონტეინერები: სხვადასხვა ზომისა და მასალის თასები და ჩანთები, ურიკა;
- ტექნიკური მოწყობილობები: რეტროპროექტორი, პროექტორი, მუსიკალური ცენტრი და სხვ.

3 წლის შემდეგ

შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებთან შეგიძლიათ კვლავ გამოიყენოთ ყველაფერი, რაც სულ პატარებთან გჭირდებოდათ; ასევე, გაამდიდროთ სივრცე შემდეგი რესურსით:

- ასაკის შესაბამისი წიგნები და ენციკლოპედიები საქართველოს, ანატომიის, კოსმოსის, ბუნების, ისტორიის, კულტურებისა და სხვა მეცნიერული საკითხების შესახებ;
- ცოცხალი ბუნება: სხვადასხვა ფორმის, ზომისა და აგებულების მცენარეები და ცხოველები, რომლებზე ზრუნვაშიც თვითონ ბავშვები იქნებიან ჩართული;
- მასალა აღმოჩენების დოკუმენტირებისათვის: ფურცლები, რვეულები, ფლიპჩარტები, ფერადი კალმები და ფანქრები, მარკერები და საწერი დაფები;
- ხელსაწყოები: სახაზავი, სასწორი, თერმომეტრი, გამადიდებელი შუშა, ბინოკლი, პრიზმა, პიპეტი და სხვ.;
- ტექნიკა: ვიდეო/ფოტოაპარატი, პლანშეტური კომპიუტერი, კომპიუტერი, ყურსასმენები და სხვ.

უფროსის სტრატეგიები

მეცნიერების მიმართულების საგანმანათლებლო პრაქტიკაში დასაწერად პირველი რიგის ამოცანა ფიზიკური გარემოს ორგანიზებაა. რესურსების განახლებისა და პროვოცირების გამოყენებით შესაძლებელია კვლევისა და აღმოჩენის თანდაყოლილი სურვილის გაღვივება ბავშვებში.

თუმცა, ფიზიკური გარემოს სწორად მართვა და მეცნიერული აქტივობების დაგეგმვა არ არის საკმარისი მეცნიერული უნარების განვითარების ხელშესაწყობად; საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება უფროსის სტრატეგიებს, რომლებსაც ის უშუალოდ ბავშვთან ურთიერთობისას იყენებს.

ბავშვებთან კომუნიკაცია და საუბარი

ჩვენმა კითხვამ ან კომენტარმა შესაძლებელია, ბავშვი დააფიქროს და მიიყვანოს კომპლექსურ აღმოჩენამდე, ან, პირიქით, დააბნიოს და ინტერესი დააკარგვინოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, როდის და როგორ ვესაუბროთ ბავშვებს.

თუ ბავშვი ჩართულია რომელიმე საქმიანობაში, ავლენს ინტერესს და ამ დროს ახორციელებს დაკვირვებებსა და აღმოჩენებს, კომუნიკაციის წამოწყებამ შესაძლოა, მხოლოდ შეაფერხოს ეს პროცესი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი შეიძლება უფროსმა წამოიწყოს კომუნიკაცია ბავშვის ინტერესისა და მეცნიერული უნარების გასაღრმავებლად; ეს ხერხდება ბავშვის საქმიანობის რელევანტური კითხვის დასმით ან კომენტარის გაკეთებით.

- ნეტავ, რატომ...?
- როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ...?
- რატომ ფიქრობ ასე?
- რას ფიქრობ, რა მოხდება?
- შენი აზრით, ეს როგორ მოხდება?
- რა იცი ამის შესახებ?
- შენი აზრით, როგორ შეგვიძლია, გავიგოთ...?
- რა შეგიძლია, მითხრა ამის შესახებ?
- რამდენაირად შეგიძლია...?
- იდეები ხომ არ გაქვს ამის შესახებ?
- ხომ არ იცი/გაქვს იდეა, სხვანაირად როგორ შეიძლება...?
- შენი აზრით, და რით ჰგვანან ერთმანეთს?
- რას გრძნობ, რას განიცდი?



უფროსის მიერ დასმული შეკითხვა არა მარტო რელევანტური (ანუ ბავშვის უშუალო საქმიანობისა და ინტერესის შესაბამისი), არამედ ღიაც უნდა იყოს. ღიაა ყველა კითხვა, რომლებსაც ერთი მარტივი და სწორი პასუხი (მაგალითად, „კი“ ან „არა“) არ აქვს. ასეთი კითხვები დააფიქრებს ბავშვს და ხელს შეუწყობს მისი ზედა დონის

სააზროვნო უნარების განვითარებას. ისინი, ასევე, დიალოგის წამოწყების საუკეთესო გზაა. ღია კითხვის დასმის შემდეგ დაელოდეთ ბავშვს; მიეცით დრო, დაფიქრდეს და ჩამოაყალიბოს თავისი აზრი. დალოდება (პრაქტიკულად) არც ისე მარტივია; ამიტომ შეგიძლიათ, გონებაში ხუთამდე ან ათამდე დათვალოთ. კომუნიკაციის წამოწყების შემდეგ გაჰყევით ბავშვს, არ „მიაყაროთ“ კითხვები და თავს არ მოახვიოთ თქვენი აზრები; ესაუბრეთ იმაზე, რაც მას აინტერესებს და დააშენეთ ახალი უნარები და ცოდნა არსებულს. საუბრის წამოწყების შემდეგ შეგიძლიათ:

- გააკეთოთ კომენტარი და დაელოდოთ ბავშვის პასუხს ან რეაქციას;
- დაუსვათ ახალი კითხვა და დაელოდოთ ბავშვის პასუხს ან რეაქციას;
- დაამატოთ მცირეოდენი ინფორმაცია და დაელოდოთ ბავშვის პასუხს ან რეაქციას.

არ დაგავიწყდეთ, რომ ღია კითხვის დასმით თქვენ ბავშვისგან სწორი პასუხის მიღებას კი არ ცდილობთ, არამედ მის დაფიქრებას და ალაპარაკებას. შესაბამისად, წაახალისეთ მისი ნებისმიერი პასუხი, გამოხატეთ ინტერესი, დაუფიქრდით მის ნათქვამს და ეცადეთ, დაინახოთ მისი პერსპექტივა; ასწავლეთ, რომ ყოველგვარი პასუხი მისაღებია.

3 წლამდე ბავშვებთანაც, რომლებსაც პასუხის გაცემა არ შეუძლიათ, მნიშვნელოვანია, რომ უფროსს ჩვევად ჰქონდეს ღია კითხვების დასმა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს, რა აზრისაა და რას გრძნობს ბავშვი. ისინი განსხვავებულ გზებს იპოვიან კომუნიკაციის დასაწყობებლად - შესაძლოა, უესტების, მზერის, ხმების (ლულუნის) ან ცალკეული სიტყვების გამოყენებით გვიპასუხონ.

ღია კითხვებთან და დიალოგთან ერთად, მნიშვნელოვანია ბავშვებთან „საკუთარ თავთან საუბრის“ და „პარალელური საუბრის“ გამოყენება. ეს სტრატეგიები იძლევა მოდელირების საშუალებას; ბავშვები ისწავლიან, თუ როგორ ისაუბრონ, გამოიყენონ ახალი ტერმინები, იფიქრონ მეცნიერულად, გააკეთონ აღმოჩენები, დააკვირდნენ, შეამჩნიონ და ა.შ.

„საკუთარ თავთან საუბარი“ გულისხმობს იმის ხმამაღლა გახმოვანებას, რასაც აკეთებ ან ფიქრობ. „ყვითელი და წითელი საღებავი ერთმანეთს რომ შევეურიე, ნარინჯისფერი გახდა. ნეტავ, რა მოხდება, თუ ყვითელს ლურჯ საღებავს შევეურიე? ვფიქრობ, ახლაც სხვა ფერს მივიღებ... რა საინტერესოა, მართალი ვიყავი. მწვანე მივიღე! ნეტავ, რამდენი ფერის გაკეთება შემიძლია ასე? ერთი, ორი - ნარინჯისფერი და მწვანე... ორი ფერი უკვე გავაკეთე“.

„პარალელური საუბარი“ გულისხმობს ბავშვის ქცევის გახმოვანებას: „შენ ქვიშაში წყალი ჩაასხი და ატალახდა“.

მიუხედავად იმისა, რომ, ბუნებრივია, ღია კითხვებს უფრო ხშირად მიმართავთ 3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებთან, ვიდრე სულ პატარებთან, და დიალოგიც უფრო ხანგრძლივი, კომპლექსური იქნება, ზემოთ აღწერილი ყველა სტრატეგია ასევე უნდა გამოიყენოთ ადრეული ასაკის - სამ წლამდე და სამი წლის შემდგომი ასაკის - ბავშვებთან ურთიერთობისას.

სწავლისადმი პოზიტიური მიდგომის განმტკიცება

ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ნიშანსვებების, თემატურ მიმართულებებში სასწავლო შედეგების და სტანდარტებში განსაზღვრული ინდიკატორების შესწავლამ შესაძლოა, გვაფიქრებინოს, რომ ჩვენი, როგორც უფროსების, მიზანია, უზრუნველყოთ, რომ ბავშვმა დააგროვოს ფაქტობრივი ცოდნა და შეიძინოს უნარები, რათა შემდგომში მათი გამოყენება შეძლოს. თუ ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებებს სიღრმისეულად გავეცნობით, აღმოვაჩინოთ, რომ ზემოთქმულის წინაპირობა სწავლისადმი პოზიტიური მიდგომის ჩამოყალიბებაა. ბავშვებს, რომლებიც ცნობისმოყვარეები არიან, ინტერესით ერთვებიან სხვადასხვა საქმიანობაში, თანატოლებთან ერთად აკეთებენ აღმოჩენებს და ჭრიან პრობლემებს, სიღრმისეულად, მთლიანობაში უვითარდებათ კომპეტენციები და სკოლაშიც უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ.

ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა, ადრეული ასაკის ბავშვებს განვუმტკიცოთ სწავლისადმი პოზიტიური მიდგომა, რასაც, თავისთავად, მოჰყვება სასურველი შედეგი - ბავშვებს ჩვევად ექცევათ მეცნიერული ცოდნის დაგროვებისაკენ სწრაფვა და ექნებათ მისი გამოყენების უნარი. ფაქტობრივი ინფორმაციისა და სწორი პასუხების დასწავლის მაგივრად უნდა წავახალისოთ ბავშვებში ცნობისმოყვარეობა, ინიციატივა, ჩართულობა და თანამშრომლობა. სწავლისადმი პოზიტიური მიდგომის განსამტკიცებლად შეგიძლიათ:

- მოდელირება გაუკეთოთ სასურველ უნარს - ბავშვებისათვის თვალსაჩინოდ გამოხატოთ თქვენი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა;
- აღნიშნოთ, როდესაც ბავშვში დაინახავთ სასურველ უნარ-ჩვევას;
- დაგეგმოთ აქტივობები და პროექტები, რომლებიც გააღვივებს ბავშვების ცნობისმოყვარეობას და უბიძგებს მათ ჩართულობისა და თანამშრომლობისკენ;
- უზრუნველყოთ მასტიმულირებელი და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, რომელშიც ბავშვს საშუალება ექნება, ბოლომდე მიიყვანოს ექსპერიმენტი, უსაფრთხოდ გამოიყენოს სასურველი რესურსი და სხვ.;
- აქცენტი გააკეთოთ პროცესზე და არა შედეგზე - უმთავრესია, თუ რამდენად ავლენს ბავშვი სწავლისადმი პოზიტიურ მიდგომას და არა ის, თუ რამდენ პროფესიას ჩამოთვლის, ან სწორად ახსნის თუ არა წელიწადის დროების ცვლას;
- გამართოთ დიალოგი ბავშვებთან და არ მოუწყოთ გამოკითხვა - იმის მაგივრად, რომ ჰკითხოთ: „როგორი ამინდია დღეს?“ და, საჭიროების შემთხვევაში, სწორი პასუხი უკარნახოთ, გამართეთ მასთან დიალოგი და მიჰყევით ბავშვის აზრებს: „რას ფიქრობ, როგორი ამინდია დღეს? ... რატომ ფიქრობ ასე? ... მოდი, გადავამოწმოთ. ... ახლა ეზოში ვერ გავალთ, მაგრამ ამინდზე დაკვირვება ძალიან კარგი იდეაა. იქნებ, ეზოში გაუსვლელოდ მოვახერხოთ დაკვირვება? ... რას ხედავ? ... წვიმის წვეთებს ხედავ, არა? შეხედე, გუბეშიც ჩანს წვიმის წვეთები. ... ასეთ ამინდში როგორ გრძნობ ხოლმე თავს? ... მე მიყვარს წვიმიანი ამინდი, იმიტომ რომ, ვფიქრობ, ამ დროს უფრო სასიამოვნოა ცხელი ყავის დალევა და წიგნის კითხვა“.

მეცნიერული მეთოდის გამოყენების წახალისება

მეცნიერული მეთოდი გულისხმობს სამყაროსა და მასში არსებული მოვლენების შეცნობას დაკვირვების, ცდის, მონაცემების შეგროვების საშუალებით. ჰიპოთეზების შემუშავება, გადამოწმება, დასკვნების გამოტანა და მათი სხვებისთვის გაზიარება მეცნიერული მეთოდის მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

საგანმანათლებლო პრაქტიკაში მეცნიერების დანერგვა, პირველ რიგში, გულისხმობს მეცნიერული მეთოდის გამოყენების წახალისებას და შესაბამისი უნარების განვითარების ხელშეწყობას. ეს შესაძლებელია ნებისმიერი საქმიანობისა და თემის ფარგლებში. შესაბამისად, აქ მოცემული სტრატეგიები და ინტერვენციები უფროსმა უნდა გამოიყენოს მაშინ, როდესაც მეცნიერულ აქტივობას გეგმავს და მაშინაც, როცა ჩართულია სხვა ტიპის (მაგალითად, ხელოვნების, კულინარიის და ა.შ.) აქტივობებში.

ადრეული ასაკის ბავშვის შემთხვევაში მეცნიერული მეთოდის გამოყენების წახალისება გულისხმობს ხუთი უნარის განვითარების ხელშეწყობას. ესენია: დაკვირვება, დახარისხება, პროგნოზირება, ექსპერიმენტირება და კომუნიკაცია. ქვემოთ მოცემულია რჩევები, თუ როგორ შეგიძლიათ თითოეული ამ უნარის წახალისება 3 წლამდე და შემდგომი ასაკის ბავშვებში. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი რჩევის გამოყენება, რომლებიც სამ წლამდე ასაკს ეხება, მომდევნო ასაკის ბავშვებთანაც შეგიძლიათ.

დაკვირვება - გულისხმობს შეგრძნების ორგანოების გამოყენებას ახალი ინფორმაციის მიღებისათვის.

3 წლამდე ასაკის ბავშვებში დაკვირვების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- გააყოლოთ თვალი ბავშვის მზერას და აღწეროთ ის, რასაც, თქვენი აზრით, უყურებს;
- აღწეროთ ის საგნები, რომლებსაც შეიგრძნობს ბავშვი - „ვაშლი მჟავა“, „საღებავი ცივია“;
- ყურადღება მიაქცევინოთ გარემოში არსებული მოვლენებზე - „მოუსმინე, წვეთების ხმაა, ე.ი. წვიმს“; „შეხედე, ბურთი მაგიდის ქვეშ შეგორდა“;
- დაუსვათ კითხვები - „რომელი ბურთი უფრო რბილია?“ „შენი აზრით, რის ხმა ისმის?“

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებში დაკვირვების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- ბავშვების კითხვებზე პასუხის გაცემის მაგივრად შესთავაზოთ მათ, დააკვირდნენ და ერთად იპოვონ პასუხი - „გაინტერესებს, კურდღელი გახარებულია თუ არა? მოდი, დავაკვირდეთ. რას ხედავ? კი, კურდღელი იღიმება და თვალებიც გაბრწყინებული აქვს“;
- მოიმარაგოთ შემდეგი რესურსი: სახაზავი, გამადიდებელი შუშა და ბინოკლი;

- მოიმარაგოთ ფოტოაპარატი და სთხოვოთ ბავშვებს, გადაუღონ სურათი იმას, რასაც აკვირდებიან;
- დაუსვათ კითხვები და გააკეთოთ კომენტარები, რომლებიც უბიძგებს ბავშვებს, მოვლენებს უფრო სიღრმისეულად დააკვირდნენ;
- მისცეთ საშუალება, აწარმოონ დაკვირვების ჟურნალი - ბავშვები ყოველდღიურად დააკვირდებიან ამინდს და კალენდარში გააკეთებენ ჩანახატებს, თვის ბოლოს კი ააგებენ ამინდის ცვლილების გრაფიკს.

დახარისხება - გულისხმობს საგნების ან იდეების დალაგებას საერთო ან განსხვავებული მახასიათებლების მიხედვით.

3 წლამდე ასაკის ბავშვებში დახარისხების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- წაახალისოთ ერთი ნიშნით განსხვავებული საგნებით თამაში - მაგალითად, სხვადასხვა ზომის, მაგრამ ერთი და იმავე ფორმისა და ფერის ხის კუბებით;
- ყურადღება მიაქცევინოთ ნივთებისა და მოვლენების მსგავსებებსა და განსხვავებებზე;
- გაანაწილოთ რესურსი მახასიათებლების მიხედვით - ერთი და იმავე ფერის ფანქრები მოათავსოთ ერთად, სათამაშო მანქანები - ერთ კონტეინერში, ხოლო სათამაშო ცხოველების ფიგურები - მეორეში;

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებში დახარისხების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- გააკეთოთ ფოთლების, თესლების, კენჭების, ნიჟარების კოლექციები და მისცეთ საშუალება ბავშვებს, ითამაშონ;
- მოიმარაგოთ თასები და ყუთები, რომლებსაც ნივთების ან ილუსტრაციების დასახარისხებლად გამოიყენებენ;
- წაახალისოთ ბავშვები, თამაშის შემდეგ თვითონ დაალაგონ რესურსი შესაბამის ადგილას ან კონტეინერში: ფუნჯები - მწვანე ქილაში, ფანქრები ფერების მიხედვით - შესაბამის ჭიქებში, ფერადი ფურცლები და თეთრი ფურცლები - თაროზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ.

პროგნოზირება - ესაა იდეის ფორმირება იმის შესახებ, თუ რა მოხდება. პროგნოზირება გულისხმობს ჰიპოთეზის შემუშავებას უკვე არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით და იმის განჭვრეტას, თუ რა შეიძლება მოხდეს.

3 წლამდე ასაკის ბავშვებში პროგნოზირების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- მისცეთ საშუალება ბავშვს, გაიმეოროს ქმედება, რამდენჯერაც თვითონ მოინდომებს - ბურთებით სავსე ყუთი წააქციოს, მიმოფანტული ბურთები აკრიფოს და ჩაყაროს ყუთში, ისევ წააქციოს ყუთი და ა.შ.;
- „პარალელური საუბრით“ გაუხმოვანოთ ქმედება და მისი შედეგი; იმავე

ქმედების გამეორებამდე შეახსენოთ წინაზე მიღებული შედეგი - „ძროხას დააჭირე და „მუუ“ დაიძახა. ისევ ძროხას უნდა დააჭირო? ნეტავ, კიდე „მუუუ“-ს დაიძახებს?“

- გამოიყენოთ რუტინული და ნაცნობი აქტივობები, რომ ბავშვმა პროგნოზირება გააკეთოს - საკვების დანახვაზე/სუნზე უთხარით: „ნახე, წვნიანი მოიტანეს?“ ან: „წვნიანის სუნია, ნეტავ, რა მოხდება? უნდა ვჭამოთ“.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებში პროგნოზირების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- წაახალისოთ, ახსნან, რას ეყრდნობა მათი პროგნოზი - „რატომ ფიქრობ, რომ ...?“ „როგორ მიხვდი, რომ ...?“;
- წაახალისოთ ბავშვები, ცდების შედეგები და მოვლენებზე დაკვირვების მონაცემები ჩაინიშნონ ჩანახატების, გრაფიკებისა და მოდელების საშუალებით; შეახსენოთ მისი გამოცდილება და რელევანტური ინფორმაცია იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის პროგნოზირებასაც ცდილობს;
- წაახალისოთ პროგნოზირება ღია კითხვების დასმით - „შენი აზრით, რამ გამოიწვია ...?“ „იგივე რამ მოხდება, თუ ისევ ... იზამ?“
- გახსოვდეთ: უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა პროგნოზირება აკეთოს, ვიდრე ის, რომ სწორი პროგნოზირება აკეთოს. ამიტომ კი არ შეუსწოროთ, არამედ დაეხმარეთ, თვითონ აღმოაჩინოს და წაახალისეთ მისი თვითშეფასება, თავდაჯერებულობა.

ექსპერიმენტირება - გულისხმობს საგნების, მოვლენებისა და აქტივობების სისტემურ შესწავლას.

3 წლამდე ასაკის ბავშვებში ექსპერიმენტირების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- აცადოთ, ბავშვები ცდისა და შეცდომის გზით სწავლობენ - კვლევის პროცესშია ბავშვი, რომელიც ცდილობს, ფიგურა სხვადასხვა ფორმის ხვრელში გააძვრინოს, რომ გამოარკვიოს, რამდენნაირად შეუძლია ყუთში ფიგურის მოთავსება;
- ბავშვებთან ერთად დაგეგმოთ ექსპერიმენტები;
- გააცნოთ წიგნი ან მოკლე ანიმაციური ფილმი, რომლებშიც აღწერილია ექსპერიმენტი და შესთავაზოთ მისი ჩატარება; მისცეთ საშუალება ბავშვებს, ნახონ, რა ხდება (დააკვირდნენ ნიმუშებს, მიზეზშედეგობრიობას და დროში ცვლილებებს) - წაახალისეთ ისინი, მოზილონ მშრალი ნამცხვრის ცომი. ნამცხვარი გამოაცხვეთ ღუმელში, რომელზე დაკვირვებასაც შეძლებენ ბავშვები; აყურებიანთ გამომცხვარი ნამცხვრის ღუმლიდან გამოღების პროცესზედაც.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებში ექსპერიმენტირების უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- ექსპერიმენტირების დროს წაახალისოთ ბავშვები, გამოიყენონ პროგნოზირების, ანალიზისა და კომუნიკაციის უნარი;
- ექსპერიმენტირების პროცესში წაახალისოთ ბავშვები, გაუზიარონ თანატოლებსა და უფროსებს თავიანთი დაკვირვებები;
- წაახალისოთ ბავშვები, თვითონ მოიფიქრონ და დაგეგმონ ექსპერიმენტები - დაუსვით ღია კითხვები: „სად შეიძლება მოვიძიოთ ინფორმაცია ამის შესახებ?“ „რა შეიძლება გააკეთო, რომ გაარკვიო, მართალი ხარ თუ არა?“ „რა უნდა მოხდეს, თუ შენი პროგნოზი სწორია?“; ასწავლოთ ბავშვებს, რომ ექსპერიმენტირება სამი საფეხურისგან შედგება: 1. შეგროვება; 2. ორგანიზება; 3. ინტერპრეტირება და გაზიარება.

კომუნიკაცია - გულისხმობს იდეებისა და კვლევის შედეგების სხვებისთვის გაზიარებას.

3 წლამდე ასაკის ბავშვებში კომუნიკაციის უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- გამოხატოთ გულწრფელი ცნობისმოყვარეობა ბავშვის ინტერესების მიმართ;
- გაშიფროთ ბავშვის გამომეტყველებისა და ჟესტების მნიშვნელობა და ასე დაამყაროთ კომუნიკაცია;
- წაახალისოთ ბავშვები, ჩამოაყალიბონ იდეები სიტყვების გამოყენებით; გაუკეთოთ მათ ნათქვამს რეფორმულირება. თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ სწორად გაიგეთ, რაც მოისმინეთ, დაუსვით დამატებითი კითხვები.

3 წლის შემდგომი ასაკის ბავშვებში კომუნიკაციის უნარის განვითარების ხელშესაწყობად შეგიძლიათ:

- წაახალისოთ ბავშვები, ჩაინიშნონ იდეები ჩანახატების, ჩანაწერების (ჩანაწერებს აკეთებს უფროსი ბავშვის ნაკარნახევი სიტყვების გამოყენებით), ფოტოების, მოდელების შექმნით და გაუზიარონ ეს მონაცემები სხვებს;
- შეუქმნათ შესაძლებლობა ბავშვებს, გაუზიარონ თავიანთი იდეები და აღმოჩენები მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებს - მოაწყობთ „სამეცნიერო პიკნიკი“, მოინვიოთ სტუმრად მშობლები, გაატანოთ ბავშვებს თავიანთი მეცნიერული დაკვირვებების ჟურნალი შინ და სხვ.;
- დღის განრიგში დაამატოთ ყოველდღიური აქტივობა, რომლის დროსაც ბავშვები ერთმანეთს გაუზიარებენ იდეებსა და აღმოჩენებს.

მეცნიერების აქტივობები

ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები

3 წლამდე

▶ ადამიანის სხეული წიგნებში


საჭირო მასალა: ზღაპრები, სიმღერები და ლექსები ადამიანის სხეულის ნაწილებზე

მოიძიეთ ასაკის შესაბამისი ზღაპრები, სიმღერები და ლექსები, რომლებშიც ადამიანის სხეულის ნაწილები არის ნახსენები. სხეულის ნაწილის დასახელების დროს მიუთითეთ ეს ნაწილი თქვენს სხეულზე და წაახალისეთ ბავშვები, იგივე გააკეთონ. გასართულებლად შეგიძლიათ, სხეულის ნაწილის დასახელებას მიუსადაგოთ მოქმედება. მაგალითად, როდესაც „თვალს“ დაასახელებთ, თვალები ორჯერ ნელა დაახამხამოთ, „ფეხების“ ხსენებაზე ფეხები ოთხჯერ დააბაკუნოთ, „პირს“ რომ ახსენებთ, ჯერ ხმამაღლა დაამთქნაროთ და მერე გაიცინოთ.

▶ სხეულის ფაზლი

საჭირო მასალა: ადამიანის ფოტოსურათი ან ილუსტრაცია, მაკრატელი, წებო, ფურცელი

მოიძიეთ ფოტოსურათი ან ილუსტრაცია, რომელშიც ადამიანს ფეხები და ხელები გაშლილი აქვს. დაჭერით ის ნაწილებად: თავი, მარჯვენა ხელი, მარცხენა ხელი, ტანი, მარცხენა ფეხი, მარჯვენა ფეხი. წაახალისეთ ბავშვები, ააწყონ ადამიანის სხეული; მიეცით საშუალება, ნაწილების მოსათავსებლად მოსინჯონ სხვადასხვა შეუსაბამო ადგილი; თამაშის დასრულებისას კი თავიანთი ქმნილება ფურცელზე დაანებონ.



3 წლის შემდეგ

► „მოუსმინე გულისცემას“

საჭირო მასალა: არაფერი

წაახალისეთ ეზოში მორბენალი ბავშვები, დაუგდონ ყური თავიანთ გულისცემას. დაეხმარეთ, დააკვირდნენ, როგორ ცვლის ფიზიკური აქტიურობა გულისცემის სიჩქარეს და როგორ მოქმედებს მასზე დასვენება. თუ შესაძლებელია, მოიმარაგეთ ფონენდოსკოპი და პულსის გამზომი აპარატი. სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ, კიდევ რა ცვლილებებს განიცდის მათი სხეული სირბილისა და დასვენების დროს.

► „აღმოჩენების ლანგარი“

საჭირო მასალა: ლანგარი, მასალა დაკვირვებისათვის, დასაკვირვებელი ხელსაწყოები

მოიმარაგეთ ლანგარი, რომელსაც ბავშვებს გააცნობთ, როგორც „აღმოჩენების ლანგარს“ - აუხსენით, რომ პერიოდულად ეს ლანგარი მათ მაგიდაზე დახვდებათ, ზედ კი ეწყობა საინტერესო ნივთები დასაკვირვებლად, შესასწავლად და სათამაშოდ. შეგიძლიათ, ბავშვებს ლანგარზე დანყობილი დაახვედროთ:

- ჰიგიენის ნივთები (ხელსახოცი, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, დიდი და პატარა პირსახოცები, საპონი, შამპუნი, ყურის ჩხირები და სხვ.);
- ძილთან დაკავშირებული საგნები (კბილის ჯაგრისი, ძილის წინ წასაკითხი ზღაპრების წიგნი, ღამის პერანგი და სხვ.).



► „რომელია ზედმეტი?“

საჭირო მასალა: სხვადასხვა ტიპის საკვები

მოიმარაგეთ ხუთი სახის საკვების რამდენიმე წყება. აქედან ოთხი სახის საკვები ჯანსაღი უნდა იყოს, ერთი კი - არაჯანსაღი. მაგალითად, ვაშლი, კიტრი, პური, მანონი და შოკოლადის ფილა. არაჯანსაღი შეიძლება იყოს საკვები, რომელიც დიდი რაოდენობით შაქარს შეიცავს, დაძველებულია ან მომწამლავი საკვების გამოყენების შემთხვევაში, ეს საკვები ისე უნდა მოათავსოთ კონტეინერში, რომ ბავშვმა ვერ გახსნას; ან ასეთი საკვები იყოს სათამაშო. ორივე შემთხვევაში მას მიწებებული უნდა ჰქონდეს იარლიყი სიმბოლოთი „მომწამლავია“. სთხოვეთ ბავშვებს, იდენტიფიკაცია გაუკეთონ საკვებს, რომელიც ამ ჯგუფში ზედმეტია. თამაშის გასართულებლად შეგიძლიათ, წამდვილი ნივთების მაგივრად სიტყვიერად აღუწეროთ საკვები და შემდეგ ჰკითხოთ, რომელია ზედმეტი.

სოციალური მეცნიერებები

3 წლამდე

▶ საბავშვო ბაღის პროფესიები

საჭირო მასალა: პროფესიის (პროფესიების) შესაბამისი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები

მოიპატიჟეთ მზარეული (ასევე, დირექტორი, მეთოდისტი, მომწოდებელი (დისტრიბუტორი), დამლაგებელი, აღმზრდელები და სხვები) თქვენს ჯგუფში და სთხოვეთ, გაეცნოს ბავშვებს. წაახალისეთ ბავშვები, დასვან კითხვები. დაყავით ისინი მცირე ჯგუფებად; მიეცით საშუალება, დააკვირდნენ პროცესს სამზარეულოში და ნახონ, რას აკეთებს მზარეული. ჯგუფში შემოიტანეთ მზარეულის ხელსაწყოები (სათამაშო ან ნამდვილი): სანვნი, ქვაბები, ჩამჩა და ა.შ.

▶ საძრომიალო (შეძრომა, გამოძრომა, აძრომა)

საჭირო მასალა: სხვადასხვა ფორმის სკამები, დიდი ზომის ქსოვილის ნაჭრები, მუყაოს დიდი ყუთები, ფიცრები, პატარა კიბე და სხვ.

მოაწყვეთ სივრცე ისე, რომ ბავშვები ძრომილისას სხვადასხვა პოზიციაზე მოექცნენ - ზემოთ, ქვემოთ, შიგნით (სივრცეში, რომელიც მხოლოდ ერთ ბავშვს იტევს და უფრო დიდ დიდ სივრცეში), გარეთ.



3 წლის შემდეგ

► „გასეირნება ქალაქში“

საჭირო მასალა: მყარი მუყაო, ფურცლები და ფანქრები, მეორადი მასალა, ნებო, ნებოვანი ლენტი, მაკრატელი, საღებავები ან ფლომასტერები, პატარა ზომის სათამაშო მანქანა

გასეირნეთ ქალაქში საგზაო ნიშნებსა და სახლების მისამართებზე დასაკვირვებლად. თან წაიღეთ ჩანახატების გასაკეთებლად მყარი მუყაო, ფურცლები და ფანქრები. წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ და ჩაიხატონ საგზაო ნიშნები, რომლებიც შეხვდებათ, ასევე, სახლებზე განთავსებული მისამართის მინიშნებები (სახლის ნომერი, ქუჩის სახელი).

წაახალისეთ ბავშვები, ააწყონ ქალაქის მაკეტი სახლებითა და ქუჩებით (შეიძლება, ააწყონ მოდელი კუბების სივრცეში, ან გააკეთონ მაკეტი ხელოვნების სივრცეში); სთხოვეთ, სახლები გამოუგონონ ქალაქის ქუჩებს, ხოლო სახლებს დაუმზადონ მისამართის ამსახველი აბრები და ჩამოკიდონ. ქალაქში განთავსონ საგზაო ნიშნებიც (გამოიყენეთ სათამაშო ნიშნები ან დაამზადეთ ისინი ბავშვებთან ერთად).

წყვილში, ბავშვთან ერთად, დასხედით მაკეტთან ერთი და იმავე მხრიდან; მოიმარაგეთ მაკეტის შესაბამისი ზომის მანქანა ან/და ადამიანის ფიგურა. უთხარით ბავშვს, რომ ის მანქანა/ფიგურა იქნება, თქვენ კი ჩაიფიქრებთ სახლს, რომელშიც უნდა მივიდეს, ოღონდ ისე, რომ არ აჩვენოთ შერჩეული სახლი - აუხსენით გზა, გამოიყენეთ სიტყვები „ახლოს“, „შორს“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“. მინიშნებების მისაცემად გამოიყენეთ საგზაო ნიშნები და სახლების ნომრები. შეცვალეთ როლები. წაახალისეთ ბავშვები, წყვილებში თანატოლებთან ერთად ითამაშონ.



ბუნების შემსწავლელი მეცნიერებები

3 წლამდე

► სენსორული ჯამი

საჭირო მასალა: სენსორული ჯამი ან მაგიდა, ბუნებრივი მასალა

სენსორულ ჯამში მოათავსეთ ის ნივთიერებები და საგნები, რომლებიც გინდათ, რომ ბავშვებმა შეიმეცნონ. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ სენსორულ ჯამებში. ჯამში შეგიძლიათ, მოათავსოთ:

- ქვიშა
- მინა
- წყალი
- თოვლი
- ფოთლები
- კენჭები (ცოტათი დიდი ზომის)
- მანანის ბურღული
- წინიბურა



► „ბუნება ეზოში“

საჭირო მასალა: არაფერი

გაიყვანეთ ბავშვები ეზოში და წაახალისეთ, დააკვირდნენ მცენარეებს, ცხოველებს, ამინდს. ესაუბრეთ ბავშვებს ინდივიდუალურად და გაუმახვილეთ ყურადღება იმაზე, რაც მათ გარშემო ხდება: „ვხედავ, ცაში ღრუბლების მოძრაობას აკვირდები“, „ეს რა იპოვე? ეს რკოა. გინდა, შეაგროვო?“

► „დავაკვირდეთ ცოცხალ არსებებს“

საჭირო მასალა: ფურცლები და ფანქრები, ფოტოაპარატი, ცოცხალი არსებების გამოსახულებებით დასურათებული ბარათები

წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ცოცხალ არსებებს ეზოში: „როგორ მოძრაობს? რას აკეთებს? სად არის? რას ჭამს? სად ცხოვრობს? იკბინება? სახიფათოა? როგორ ხმას გამოსცემს? პატარაა თუ დიდი? რა ფერისაა?“ ბავშვების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესთავაზეთ, ამ არსებათა ჩანახატები გააკეთონ, ან ფოტოები გადაუღონ მათ.

მოიმარაგეთ დასურათებული ბარათები, რომლებზედაც გამოსახულია ეზოში აღმოჩენილი ცოცხალი არსებები. წაახალისეთ ბავშვები, დააწყვილონ თავიანთი

ნახატები/ფოტოები და ბარათები; დააჯგუფონ ის არსებები, რომლებიც დაფრინავენ და რომლებიც - არა; არსებები, რომლებიც იკბინებიან და რომლებიც - არა. წაახალისეთ, ამოირჩიონ ბარათი, გაითამაშონ მასზე ასახული არსების მოძრაობა და მიბადონ მის ხმას. შესთავაზეთ ბავშვებს, აღწერონ თავიანთ ჩანახატზე ასახული არსება; მიაწერეთ სურათზე მათივე სიტყვები.

3 წლის შემდეგ

► სენსორული ჯამი

საჭირო მასალა: სენსორული ჯამი ან მაგიდა, სხვადასხვა ნივთიერება და საგნები

სენსორულ ჯამში მოათავსეთ ის ნივთიერებები და საგნები, რომლებიც გინდათ, რომ ბავშვებმა შეიმეცნონ. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ სენსორული ჯამებში. გამოიყენეთ ეს პროცესი ღია კითხვების დასასმელად და ბავშვების იდეების გასავრცობად. წაახალისეთ ბავშვები, გააკეთონ ჩანაწერები, ჩანახატები, მარტივი გრაფიკები ან/და გადაიღონ ფოტოები თავიანთი აღმოჩენების აღსაბეჭდად. ჯამში შეგიძლიათ, მოათავსოთ:

- ყინული, თბილი წყალი კონტეინერებში, პიპეტები, მარილი
- თოვლი
- ჯეჯილი



► „აღმოჩენების ლანგარი“

საჭირო მასალა: ლანგარი, მასალა დაკვირვებისათვის, დასაკვირვებელი ხელსაწყოები

მოიმარაგეთ ლანგარი, რომელსაც ბავშვებს გააცნობთ, როგორც „აღმოჩენების ლანგარს“ - აუხსენით, რომ პერიოდულად ეს ლანგარი მათ მაგიდაზე დახვდებათ, ზედ კი ეწყობა საინტერესო ნივთები დასაკვირვებლად, შესასწავლად და სათამაშოდ.

შეგიძლიათ, ბავშვებს ლანგარზე დანყობილი დაახვედროთ:

- სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის კურკები, სხვადასხვა ზომის პინცეტები, კონტეინერები (შეიძლება გამოიყენოთ კვერცხის ყუთი);
- გამადიდებელი შუშა და ჭიანჭველების ტერარიუმი;
- სხვადასხვა ამინდის შესაბამისი ტანსაცმელი ან აქსესუარი: სხვადასხვა სახის ფეხსაცმელი (ბოტი, სანდალი, ბოტასი, ჩექმა და სხვ.), ქოლგა, მზის სათვალე, სხვადასხვანაირი ქუდი (ნაქსოვი, შლაპა, ბერეტი და სხვ.) და ა.შ.
- სხვადასხვა სახის ნივთები ან ბარათები ცოცხალ არსებათა გამოსახულებებით, რომელთა დაჯგუფებაც შეიძლება შემდეგი ნიშნების მიხედვით: ცოცხალი და არაცოცხალი არსებები, ცხოველი და მცენარე, წყლისა და ხმელეთის ცხოველები, შინაური და გარეული ცხოველები, ხილი და ბოსტნეული და სხვ.

► „სინოპტიკოსები სწავლობენ ამინდს“

საჭირო მასალა: თერმომეტრი, ქარის ბზრიალა (ფლიუგერი) ან ჟღარუნები, საზომი თასი, კალენდარი, ფურცელი, ფერადი ფანქრები და კალმები





წახალისეთ ბავშვები, ყოველდღიურად დააკვირდნენ ამინდს, გაზომონ ჰაერის ტემპერატურა, დააკვირდნენ ქარის ბზრიალას, რომ გაიგონ, რა ძალით უბერავს ქარი; წვიმის დროს უზოში დადონ საზომი თასი, რომ გაზომონ ნალექის რაოდენობა; სთხოვეთ, „ჩაინერონ“ ყოველდღიური დაკვირვებები კალენდარში ან/და დღიურში. ყოველი თვის ბოლოს წახალისეთ, ანალიზი გაუკეთონ თავიანთ დაკვირვებებს და ააგონ მარტივი გრაფები. როდესაც საკმარისი მონაცემები დაუგროვდებათ, შეადარეთ თვეები ამინდის მიხედვით - რომელი თვე იყო ყველაზე წვიმიანი? რომელ თვეში მოვიდა თოვლი? ცისარტყელა როგორ ამინდში გაჩნდა? ყველაზე მზიანი თვე რომელია? მიეცით საშუალება, დაუკავშირონ ამინდები წელიწადის დროებს.

მათემატიკა

3 წლამდე

▶ მათემატიკა წიგნებში

საჭირო მასალა: წიგნები, ზღაპრები, სიმღერები და ლექსები მათემატიკური სიდიდეებისა და კანონზომიერებების შესახებ

მოიძიეთ კონკრეტული ასაკის შესაბამისი დასურათებული წიგნები, ზღაპრები, სიმღერები და ლექსები, რომლებშიც ფიგურირებს ციფრები, ფერები, ფორმები; ასევე ზღაპრები და ლექსები, რომლებშიც მეორდება სიტყვები, ფრაზები (მაგალითად, „მოდი, ვნახოთ ვენახი“ ან „დათუნია დრუნჩასა“). წაუკითხეთ ბავშვებს და წაახალისეთ, დაათვალიერონ.

▶ სენსორული ჯამი

საჭირო მასალა: სენსორული ჯამი ან მაგიდა, სხვადასხვა ფერის, ზომისა და ფორმის საგნები

სენსორულ ჯამში მოათავსეთ ის საგნები, რომლებიც გინდათ, რომ ბავშვებმა შეიმეცნონ. წაახალისეთ ისინი, ითამაშონ სენსორულ ჯამებში. ორი განსხვავებული ნიშნის მქონე საგნების მოსათავსებლად გამოიყენეთ დანაყოფიანი ჯამი ან რამდენიმე ჯამი ერთად. ჯამებში შეგიძლიათ, მოათავსოთ:

- ქვიშაში ან წყალში სათამაშოდ - სხვადასხვა ზომის კონტეინერები, სათლები, ნიჩბები
- კუბისა და ბირთვის ფორმის ნივთები (მაგალითად, ხის პატარა კუბები ან დამუშავებული შუშის კუბები და ბურთები)
- სხვადასხვა ტექსტურის ქსოვილის ნაჭრები
- მწვანე და ყვითელი ფოთლები
- ქვიშა და მიწა
- რამდენიმე დიდი ზომის მძივი და ბევრი საშუალო ზომის მძივი

▶ „დალაგების დროა“

საჭირო მასალა: ჯგუფში არსებული ფიზიკური რესურსი, კონტეინერები, ბარათები საგნების გამოსახულებებით იარლიყების დასამზადებლად, მარკერი და წებოვანი ლენტო

თაროებსა და კონტეინერებს მიამაგრეთ იარლიყები (დასახელებითა და სურათით), რომლებიც ასახავს მათში მოსათავსებელ ნივთებს. წაახალისეთ ბავშვები, გამოყენებული სათამაშოები და ნივთები აქტივობის დასრულების შემდეგ დაახარისხონ და თავიანთ ადგილას დაალაგონ.

3 წლის შემდეგ

▶ „აღმოჩენების ლანგარი“

საჭირო მასალა: ლანგარი, მასალა დაკვირვებისათვის, დასაკვირვებელი ხელსაწყოები

მოიმარაგეთ ლანგარი, რომელსაც ბავშვებს გააცნობთ, როგორც „აღმოჩენების ლანგარს“ - აუხსენით, რომ პერიოდულად ეს ლანგარი მათ მაგიდაზე დახვდებათ, ზედ

კი ეწყობა საინტერესო ნივთები დასაკვირვებლად, შესასწავლად და სათამაშოდ.

შეგიძლიათ, ბავშვებს ლანგარზე დანყობილი დაახვედროთ:

- სამგანზომილებიანი ფიგურები: წრე, სფერო, კუბი, ცილინდრი, პირამიდა, კონუსი; ფურცლები და ფანქრები ჩანახატებისთვის;
- ნივთები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან შემდეგი ნიშნებით: დიდი - პატარა, გრძელი - მოკლე, ვიწრო - განიერი, მაღალი - დაბალი;

► „ერთად რამდენი ვჭამთ?“

საჭირო მასალა: ის, რასაც კვების დროს იყენებთ (ჭურჭელი და საკვები)

წაახალისეთ ბავშვები, დაგეხმარონ სუფრის გაშლაში. ერთად დათვალეთ, რამდენი ადამიანისთვის შლით სუფრას; სთხოვეთ, შესაბამისი რაოდენობის თეფშები დააწყონ. თქვენ კი განგებ არასწორად დაალაგეთ დანა-ჩანგალი. მიეცით კოვზების გროვა და სთხოვეთ, თითოეულ თეფშს თითო-თითო კოვზი მიუდონ გვერდით. სთხოვეთ, გადათვალონ, რამე ხომ არ აკლია, ან ზედმეტი ხომ არ არის; ჰკითხეთ, რამდენი დამატებითი ნივთი სჭირდებათ.

საკვები საერთო თასებში მოათავსეთ და გამოიყენეთ გადანაწილების პროცესი მათემატიკური უნარების განსავითარებლად. „ნეტავ, რამდენი კატლეტი შეგვხვდება? მაგიდასთან ხუთნი ვართ. ნიკამ დათვალა, რომ 5 კატლეტია, ე.ი. ყველას ერთი ცალი შეგვხვდება. აბა, ვნახოთ, გადავინაწილოთ“, „პირუე ყველამ თანაბრად გადავინაწილოთ. მარიამ, მგონი, შენ კიდევ უნდა დაიმატო. შეხედე, ნინოზე ნაკლები გაქვს. მოდი, სცადე, ტოლი რაოდენობის გახადო“.

► არქიტექტორები და მშენებლები

საჭირო მასალა: წიგნები არქიტექტურის შესახებ, კუბები, ფურცლები და ფანქრები

წაახალისეთ ბავშვები, ააშენონ სხვადასხვა ზომისა და ფორმის შენობები; მიეცით საშუალება, ინსპირაციისთვის დაათვალიერონ წიგნები; სთხოვეთ, აშენებული შენობების ჩანახატები გააკეთონ. საინტერესოა, სცადონ პირიქითაც - ფურცელზე გააკეთონ ჩანახატები შენობებისა, რომელთა აგებაც უნდათ და შემდეგ, ჩანახატების მიხედვით, კუბებით სცადონ მათი აგება.

საგნებისა და მოვლენების შემსწავლელი მეცნიერებები

3 წლამდე

► სენსორული ჯამი

საჭირო მასალა: სენსორული ჯამი ან მაგიდა, სხვადასხვა სახის ნივთიერებები და საგნები

სენსორულ ჯამში მოათავსეთ ის ნივთიერებები და საგნები, რომლებიც გინდათ, რომ ბავშვებმა შეიმეცნონ. წაახალისეთ ისინი, ითამაშონ სენსორულ ჯამებში, შეურიონ მოცემული ნივთიერებები ერთმანეთს და დააკვირდნენ. განსხვავებული ნიშნების მქონე ორი საგნის მოსათავსებლად გამოიყენეთ დანაყოფიანი ჯამი ან რამდენიმე ჯამი ერთად. ჯამებში შეგიძლიათ, მოათავსოთ:

- ქვიშა და წყალი
- თბილი და ცივი წყალი
- წყალი და თხევადი საპონი
- საკონდიტრო საღებავით შეღებილი სხვადასხვა ფერის საპარსი ქაფი

► რბოლა

საჭირო მასალა: ჩანთები, კონტეინერები, ურიკები, სხვადასხვა ზომისა და წონის ნივთები, წამწამი

დაეხმარეთ ბავშვებს, გამოავლინონ ყველაზე სწრაფი გზა ნივთების გადასაადგილებლად. მონიშნეთ რბოლის საწყისი ადგილი და ფინიში. მოათავსეთ ჩანთები, კონტეინერები, ურიკები, სხვადასხვა ზომისა და წონის საგნები საწყის ადგილას. წაახალისეთ ბავშვები, სცადონ, რომ მოცემული ნივთები სხვადასხვა ხერხის გამოყენებით მიიტანონ ფინიშთან. დაინიშნეთ დრო თითოეული ცდის ხანგრძლივობის გასაზომად. ისაუბრეთ ბავშვებთან, რომელი ხერხი უფრო მარტივი იყო, რომელი - უფრო სწრაფი; თუ საგანი მძიმეა, ჯობია, ხელით წაიღო თუ ურიკით გააგორო? და ა.შ.

3 წლის შემდეგ

► სენსორული ჯამი

საჭირო მასალა: სენსორული ჯამი ან მაგიდა, სხვადასხვა სახის ნივთიერებები და საგნები

სენსორულ ჯამში მოათავსეთ ის ნივთიერებები და საგნები, რომლებიც გინდათ, რომ ბავშვებმა შეიმეცნონ. წაახალისეთ ისინი, ითამაშონ სენსორულ ჯამებში. გამოიყენეთ ეს პროცესი ღია კითხვების დასასმელად და ბავშვების იდეების გასავრცობად. წაახალისეთ ბავშვები, ამ პროცესში გააკეთონ ჩანაწერები, ჩანახატები, მარტივი გრაფიკები ან/და გადაიღონ ფოტოები თავიანთი აღმოჩენების აღსაბეჭდად. ჯამში შეგიძლიათ, მოათავსოთ:

- ქვიშაში ჩამალული მეტალის საგნები და მაგნიტი
- საპარსი კრემი და საკონდიტრო საღებავები


► „აღმოჩენების ლანგარი“

საჭირო მასალა: ლანგარი, მასალა დაკვირვებისათვის, დასაკვირვებელი ხელსაწყოები

მოიმარაგეთ ლანგარი, რომელსაც ბავშვებს გააცნობთ, როგორც „აღმოჩენების ლანგარს“ - აუხსენით, რომ პერიოდულად ეს ლანგარი მათ მაგიდაზე დახვდებათ, ზედ კი ეწყობა საინტერესო ნივთები დასაკვირვებლად, შესასწავლად და სათამაშოდ.

შეგიძლიათ, ბავშვებს ლანგარზე დანყობილი დაახვედროთ:


- ფარანი და ბრჭყვიალა ნივთების კოლექცია, მაგალითად, სარკე, დისკი, პრიზმა და სხვ.;
- ნივთები, რომლებში გახედვაც შეიძლება, მაგალითად, ბინოკლი, კალეიდოსკოპი, სათვალე, გამადიდებელი შუშები და სხვ.;
- სოდა, შაქარი, მარილი, ძმარი, წყალი, ზეთი და ცარიელი კონტეინერები;
- სანრუპავები და სხვადასხვა მასის ბურთები;
- მაგნიტი, სხვადასხვა მეტალისა და სხვა ფაქტურის საგნები;
- სხვადასხვანაირად შეფერილი წყალი, ცარიელი კონტეინერები, პიპეტები;



► მზე და ფერები

საჭირო მასალა: ფერადი ფურცლები და სხვადასხვა ფორმის ნივთები

კარგ ამინდში წაახალისეთ ბავშვები, მზისგულზე დააწყონ ფერადი ფურცლები და ზედ განალაგონ სხვადასხვა ფორმის საგნები (მაგალითად, სარჭი, კალამი, პატარა სათამაშო მანქანა, ფოთოლი და სხვ.). რამდენიმე დღეში ნახავენ, რომ მზემ „ამოწვა“ ფურცლის ფერი იქ, სადაც მისი სხივი პირდაპირ ეცემოდა. სთხოვეთ ბავშვებს, დააწყვილონ ფურცელზე გაჩენილი ფიგურა და საგანი. მიეცით მათ საშუალება, გაარკვიონ, სხვადასხვა ფერს მზე ერთსა და იმავე დროში „ამოწვავს“? (შეადარეთ ერთმანეთს წითელი და ლურჯი ფურცლები).



► უბლეკი

საჭირო მასალა: კონტეინერი, წყალი და სახამებელი

უბლეკი არანიუტონური სითხეა. ბავშვებთან ერთად შეურიეთ 500 გრამ სახამებელს 250 გრამი წყალი და მიეცით მათ საშუალება, ითამაშონ უბლეკით. მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომის კონტეინერები. დაეხმარეთ ბავშვებს, აღმოაჩინონ, რომ ამ ნივთიერებას სითხის თვისებები აქვს, მაგრამ მასზე ძალისმიერი ზემოქმედებისთანავე მყარდება; მაგალითად, თუ მასში ხელს ჩავყოფთ და უცბად ამოღებას ვცდით ან დავარტყამთ, გამაგრდება.

ტექნოლოგია

3 წლამდე

▶ „მხოლოდ მუსიკაზე ვცეკვავთ“

საჭირო მასალა: მუსიკალური ცენტრი

აუხსენით ბავშვებს, რომ ამ თამაშში მხოლოდ მუსიკაზე ვცეკვავთ და, თუ მუსიკა გამოირთვება, უნდა გავშეშდეთ. აჩვენეთ მუსიკალურ ცენტრზე ჩამრთველ-გამომრთველი და წაახალისეთ ბავშვები, მართონ აპარატი, ოღონდ რიგი დაიცვან. სულ პატარებთან ითამაშეთ წყვილში - ბავშვმა მართოს ტექნიკა, თქვენ კი იცეკვებთ და გაშეშდით მუსიკის ჩართვა-გამორთვის კვალდაკვალ.

▶ „ვსწავლობთ მანქანებს“

საჭირო მასალა: ქვიშა და სხვადასხვა დანიშნულების სათამაშო მანქანები

მოიმარაგეთ სხვადასხვა დანიშნულების სათამაშო მანქანები: სატვირთო, პოლიციის, სახანძრო, სასწრაფო, ტრაქტორი და სხვ. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მანქანებით, დაატოვებინონ მათ ნაკვალევი ქვიშაში, დააჯგუფონ მანქანები იმის მიხედვით, ხმას გამოსცემენ თუ არა.

3 წლის შემდეგ


▶ „დაანწყილე ბარათები“

საჭირო მასალა: ბარათები სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გამოსახულებებით, თითოეული პროფესიის შესაბამისი ხელსაწყო ან ტექნიკური მოწყობილობა

მოიმარაგეთ ბარათები, რომლებზედაც გამოსახული არიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები (ექიმი, მეხანძრე, პოლიციელი, მშენებელი და სხვ.) და თითოეული პროფესიის შესაბამისი ინსტრუმენტი ან ხელსაწყო (ფონენდოსკოპი, მეხანძრის ხელთათმანები, ბორკილები, ჩაქუჩი და სხვ.). წაახალისეთ ბავშვები, დაანწყილონ პროფესიები და მათი შესაბამისი ტექნოლოგია.

▶ რობოტების აწყობა

საჭირო მასალა: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ძველი ტექნიკური მოწყობილობები, ჩაქუჩი, სახრახნისი, წებო



ბავშვებთან ერთად ინტერნეტში დაძებნეთ ვიდეორგოლები რობოტების შესახებ. იპოვეთ პასუხები მათ კითხვებზე: „რას აკეთებენ რობოტები?“ „ვინ აკეთებს რობოტებს?“ „როგორ აწყობენ რობოტებს?“ „როგორი რობოტები არსებობს?“. ბავშვებთან ერთად უყურეთ ვიდეორგოლებს.

ხელი შეუწყვეთ ბავშვებს, გამოიგონონ თავიანთი რობოტი. შეუძლიათ, თავდაპირველად ფურცელზე უბრალო ჩანახატი გააკეთონ, ან პირდაპირ რობოტების აწყობას შეუდგნენ. მიეცით ძველი ტექნიკური მოწყობილობები დასაშლელად და ნაწილების გამოსაყენებლად, რომ თავიანთი რობოტები შექმნან.

► შუქების შოუ

საჭირო მასალა: სხვადასხვა სახის მანათობელი ტექნიკური მოწყობილობები

ნახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ ტექნოლოგიები, რომ მოაწყონ შუქების შოუ. დაეხმარეთ, შოუს დადგამამდე გამოსცადონ სხვადასხვა სახის ტექნიკური მოწყობილობები; ნახონ, როგორ ანარეკლს ტოვებს ისინი კედელზე. მოიმარაგეთ ფარნები, ფერადი გამჭვირვალე ფორმები, პროექტორი და მისი მეშვეობით საჩვენებელი ვიდეორგოლი ან სურათები (ბავშვებს სთხოვეთ, სურათები თვითონ გადაიღონ), ნათურები სხვადასხვა სიძლიერისა და ფერის შუქით, ლაზერები და სხვ. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ, შეარჩიოთ მუსიკალური კომპოზიცია და ბავშვებს სთხოვოთ, მის მიხედვით ააწყონ შუქების შოუ.




თემატუხი მიმახითულებები სკოდამდედი განათლების კუხიკუღუმებში

ამ თავში ვიმსჯელებთ, თუ როგორ უნდა იმუშაონ გამჭოლი მიმართულებების განვითარებაზე სხვადასხვა ტიპის კურიკულუმებით მოსარგებლე ადრეული განათლების დაწესებულებებმა და აღმზრდელებმა.

თემატუხი კუხიკუღუმი

საქართველოს ადრეული განათლების სფეროში რამდენიმე ტიპის კურიკულუმი გამოიყენება. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია თემატური კურიკულუმი, რომელიც გულისხმობს აქტივობების დაგეგმვასა და სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას კონკრეტული თემების მეშვეობით.

მაგალითად, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, განისაზღვრება რამდენიმე თემა. ეს შეიძლება იყოს ოჯახი, ცხოველები, პროფესიები და სხვ. ამ თემებს აღმზრდელები ქვეთემებად დაშლიან და მათ შესაბამის აქტივობებს მოიფიქრებენ; აქტივობების მიზანი, თავის მხრივ, ბავშვების სხვადასხვა უნარის განვითარებაა. თემა „შინაური ცხოველები“




სქემაზე თემა „შინაური ცხოველები“ გაშლილია აქტივობებად და განვითარების სფეროების შესაბამის მიზნებად.

განვითარების ხუთი სფეროს გარდა, თემის დაგეგმვისას უნდა ვიფიქროთ თემატური მიმართულებების მიზნებსა და შედეგებზე.

მაგალითად, აღმზრდელი უნდა დაფიქრდეს, როგორ შეიძლება გამოიყენოს „შინაური ცხოველების“ თემა წიგნიერების, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროების განვითარებისათვის. ამიტომ ის კარგად უნდა იცნობდეს ამ მიმართულებებს, მათ სტანდარტებს და მოიფიქროს შესაბამისი მიზნები, აქტივობები;

მაგალითად:



ემეჩენტული კუიკულუმი

თემატური კურიკულუმისაგან განსხვავებით, ემეჩენტულ კურიკულუმში საერთო თემები არ იგეგმება; საქმიანობები მთლიანად გამომდინარეობს ბავშვების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან.

იმისათვის, რომ აღმზრდელს თემატური მიმართულებები არ გამოორჩეს, მან თავის შეფასების ფორმაში (ცხრილი იქნება ეს თუ პორტფოლიო) უნდა გაითვალისწინოს სწორედ თემატური მიმართულებების სტანდარტების ინდიკატორები და ბავშვს

ამ ჭრილშიც დააკვირდეს - მაგალითად, როგორ ერთვება ბავშვი შეთავაზებულ ხელოვნების აქტივობებში ; აინტერესებს თუ არა ცეკვისა და სიმღერის აქტივობებში მონაწილეობა; იღებს თუ არა სიამოვნებას წიგნებთან ურთიერთობით; აქვს თუ არა განვითარებული დაკვირვების უნარი; აინტერესებს თუ არა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება; ითვლის, ახარისხებს და აჯგუფებს თუ არა; როგორ იყენებს ტექნიკას? როგორ ატარებს ექსპერიმენტებს? და ა.შ.

ამის შემდეგ აღმზრდელი ითვალისწინებს თავის დაკვირვებებს და სთავაზობს ბავშვს მასალას, რომელიც დაეხმარება მას ამა თუ იმ თემატური მიმართულების შესაბამისი უნარის განვითარებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უფროსის დაკვირვებასა და დაგეგმილ აქტივობებს თემატური მიმართულებებისთვის.

დაკვირვება	რეფლექსია	მოქმედება შემდგომი განვითარებისთვის
<p>იოანა აკეთებს სამგანზომილებიან ფორმას მავთულის, თხილის ნაჭუჭებისა და თხისაგან. ბოლოს ამბობს: „ნახე, კალია გავაკეთე“.</p>	<ul style="list-style-type: none"> • იყენებს სხვადასხვა მასალას საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. • სიამოვნებას იღებს სხვადასხვა მასალაზე მუშაობით. 	<ul style="list-style-type: none"> • ვკითხავ: „მომიყვივი შენს კალიაზე. როგორ გააკეთე?“ • შევთავაზებ: „მოდით, ჩავიხედოთ წიგნში და დავათვალიეროთ კალიები“. • შევთავაზებ იდეას: „შენს კალიას სახლი არ სჭირდება? რით გავუკეთოთ?“
<p>ნიკო თითს აყოლებს ნახატებს წიგნში და ვითომ უკითხავს თოჯინას.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სიამოვნებას იღებს წიგნთან ურთიერთობით. • იცის, რომ წიგნს გარკვეული შინაარსი აქვს. • იაზრებს, რომ ადამიანები სიტყვებს კითხულობენ და არა ნახატებს. 	<ul style="list-style-type: none"> • შევთავაზებ ნიკოს, თვითონ აირჩიოს წიგნი ჯგუფური კითხვისთვის. • კითხვის დროს ნიკოსთან ერთად უნდა გავაყოლოთ თითი ნაწერს. • შევთავაზებ რეკვიზიტებს, რომ წაკითხული ამბები გაითამაშოს.
<p>სანდრო აგორებს სათამაშო მანქანას კუბებით გაკეთებულ ხიდზე. ის დასწევს ხიდს და აკეთებს დაღმართს, შემდეგ კი აღნიშნავს: „ნახე, უფრო სწრაფად მიდის!“</p>	<ul style="list-style-type: none"> • სანდრო აკვირდება მიზეზშედეგობრივ კავშირებს. • ცდილობს, გადალახოს წინააღმდეგობა და ინარჩუნებს კონცენტრაციას. • რა მასალები შევთავაზობ, რომ დავეხმარო ექსპერიმენტების ჩატარებაში? • რა კითხვები დავუსვა, რომ უკეთ გაიაზროს ეს მოვლენა? 	<ul style="list-style-type: none"> • შევთავაზებ სხვადასხვა მასალას დასაგორებლად, მაგალითად, ბურთებსა და კოჭებს. • ვკითხავ: „როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ უფრო გრძელ ფიცარს აიღებ?“ • დავეხმარები კუბების სივრცეში სხვადასხვანაირი დაქანებებისა და პანდუსების აგებაში და საშუალებას მივცემ, გარკვეული ხნის განმავლობაში ითამაშოს მათი გამოყენებით. • გარეთ სეირნობისას გავამახვილებ მის ყურადღებას პანდუსებზე; ვესაუბრები, როგორ მუშაობს ისინი.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ითვალისწინებს მიდგომას, როცა აღმზრდელი, ბავშვების ინტერესიდან გამომდინარე, ხელს უწყობს მცირე ან ფართომასშტაბიან კვლევას ბავშვების პატარა ან დიდ ჯგუფებში.

პროექტი შეიძლება იყოს როგორც ბავშვების, ისე უფროსების მიერ ინიცირებული. მნიშვნელოვანია, მან გამოიწვიოს ცოცხალი ინტერესი ბავშვებში და მათ შეძლონ პროექტის სამივე ფაზის (საკვლევი თემის შერჩევა, კვლევა, შეჯამება) განხორციელება.

აღმზრდელმა შეიძლება დაგეგმოს აქტივობები, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები, ერთი მხრივ, იკვლევენ საკითხს, მეორე მხრივ, განივითარებენ სხვადასხვა უნარს, რომლებიც განსაზღვრულია სტანდარტების დოკუმენტით.

როგორ უნდა გავითვალისწინოთ ამ შემთხვევაში თემატური მიმართულებები?


პროექტის თემა, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება გახდეს, მაგალითად, ჭიამაია, რადგან ბალის ეზოში ისინი ამ მწერს ხშირად ხედავდნენ და აკვირდებოდნენ. პირველ ფაზაში ბავშვებს შეიძლება გაუჩნდეთ კითხვები: როგორ დაფრინავენ, იზრდებიან და მრავლდებიან? რას ჭამენ, სად ცხოვრობენ ჭიამაიები? პირველივე ფაზაში ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაიგეგმოს კვლევითი აქტივობები, დაკვირვება მწერზე და სხვადასხვა ექსპერიმენტი, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები პასუხს გასცემენ ამ კითხვებს.

ვინაიდან პროექტის თემა ცოცხალი არსებაა, ეს თემა, ბუნებრივია, უფრო მეტად შეუწყობს ხელს მეცნიერების თემატური მიმართულების განვითარებას.

ამ შემთხვევაში, თავისთავად, დაიგეგმება ბავშვებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული ისეთი შედეგები, როგორიცაა: „ბავშვი აკვირდება და შეისწავლის ბუნებას და მასთან ადამიანების დამოკიდებულებას - აკვირდება ცოცხალ არსებებს ბუნებაში, ამჩნევს და სვამს შეკითხვებს მათი ზრდისა და ცვლილებების შესახებ; ასევე, შეუძლია, მარტივად მოჰყვეს, თუ როგორ იზრდება და იცვლება მცენარე, ცხოველი და ა.შ.“

მეორე ფაზა შესაძლოა, ასევე, მოიცავდეს აქტივობებს, რომელთა ფარგლებში ბავშვებმა უნდა დაათვალიერონ წიგნები ჭიამაიების შესახებ, მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით, დააკვირდნენ და ჩაინიშნონ დაკვირვების შედეგები სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით.

ეს ყველაფერი შეიძლება დაიგეგმოს ბავშვებთან ერთად, ქვემოთ მოცემული დაგეგმვის რუკის მიხედვით.



სად ცხოვრობს
ჭიამაია

- ჭიამაიების შესახებ წიგნის დათვადიეხება;
- ჭიამაიების სახლის მოძებნა ეზოში.
- ბუდის დამზადება

ჩამდენად
შოხს შეუძლია
გაფხინდეს

- ექსპერიმენტი მიყვავთ ჭიამაიას
- დავამზდოთ მაკეტი ხომელიც დაფხინავს

აქვს თუ ახა
თვადები და
პიჩი, ჩამდენი
ფეხი აქვს

- დაკვირვება ჭიამაიებზე გამაღიებელი შუშით, ჩანახატის გაკეთება ნატუჩიდან.
- შედაჩება ჭიამაიას ფოტოსთან.

ჩოგოჩ
მჩავდებდა და
იჩხებდა
ჭიამაია

- ინტერნეტში მოძებნა ინფორმაციის
- ექსპერიმენტის მოწვევა
- ჭიამაიას კვებების მოძებნა ფოტოებზე
- ფოტოების გადაღება

ნახატებისა და
სამგანზომილებიანი
კონსტრუქციების
საშუალებით
გადმოსცემს აჩხებსა
და ემოციებს

აჩხებს
ექსპერიმენტებს
საგნების
შესასწავლად
და იდეების
გამოსაცდელად

აჩაცოცხად და
ცოცხად ბუნებას
აკვირებდა და
შეისწავლის
ჩანახატების,
ჩანახატების
საშუალებით

ბუნებრივი მასალის,
მოვლენებისა და
ციხი სხეულების
შესასწავლად
იყენებს
ხელსაწყოებს

მესამე ფაზაში აქტუალური გახდება შეგროვებული მონაცემების რეპრეზენტაცია, ჩახატული დაკვირვებების, შედგენილი მათემატიკური ცხრილების წარმოდგენა, ასევე, საგამოფენო ექსპონატების დამზადება, როგორცაა კოლაჟი, სამგანზომილებიანი მაკეტი და ა.შ., რაც, თავისთავად, ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამოყენებას მოითხოვს.

ბიბლიოგრაფია

- Helm, J., & Katz, L. (2010). Young investigators: The project approach in the early years: Early childhood education series.
- Trister Dodge, Sherrie Rudick & Kai lee Berke (2006). The Creative Curriculum for Infants, Toddlers, and Twos. 2nd Edition, Teaching Strategies Inc.
- Diane Trister (2010). The Creative Curriculum for Preschool: Interest Areas, Vol. 2, Teaching Strategies
- Early Childhood Learning & Knowledge Center (n.d.). The Office of Head Start Teacher's Guide to the Discovering Science Webcast Series ჩამოტვირთულია <https://www.floridamuseum.ufl.edu/wp-content/uploads/sites/16/2017/03/Head-Start-Discovering-Science-Guide.pdf>
- საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798>
- თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე, ანა ჯანელიძე (2012). თამაშები და აქტივობები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის : მშობლისა და აღზრდელის, საქ. განათლ. და მეცნ. სამინ., UNICEF. ISBN 978-9941-0-1932-6
- ჰენდი, ლ. ტუნი, ლ. (2001). დრამისა და წარმოსახვითი თამაშების ხელშეწყობა ადრეულ ასაკში. დრამატული თამაში 0-დან 6 წლამდე. McGraw-Hill Education (UK)
- ARanson. (2013, November 11). Mixing Textures into Paint. Retrieved September 20, 2019, from <https://theimaginationtree.com/mixing-textures-paint/>
- Barbara. (2019, November 21). 37 Fun Drama Games and Activities: Drama Games. Retrieved September 29, 2019, from <https://www.kidactivities.net/drama-games-and-activities/>
- Robson, D. (n.d.). Composing Music With Stickers Using an Xylophone. Retrieved September 29, 2019, from <https://www.andnextcomes1.com/2013/08/composing-music-with-stickers-using.html>